## პარლამენტის თავმჯდომარე

# დაიწყო ბიუჯეტის განხილვა

გაიმართა პარლამენტის თავმჯდომარის და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელზეც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები წარმოადგინა.

ზურაბ ჟვანიამ თათბირზე საგანგებოდ აღნიშნა ის გარემოება, რომ საბიუჯეტო პროცესი კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში მიმდინარეობს და წარმოდგენილი პარამეტრები იძლევა იმის საფუძველს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი გაცილებით უკეთესად იქნება ორგანიზებული, ვიდრე ეს განვლილ პერიოდში იყო. ყველა სახის სოციალური გარანტია, საპენსიო და სახელფასო დავალიანებები, ყველაფერი ის, რაც ბიუჯეტის დაცულ მუხლებს უკავშირდება, ბიუჯეტის პოლიტიკური პრიორიტეტია და აუცილებლად შესრულდება. აღინიშნა, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი შეხედულებები როგორც საბიუჯეტო შემოსავლებთან, ასევე საბიუჯეტო სისტემის ახალ მოდელთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ინოვაციაა და მისი განხილვა თვის ბოლომდე აქტიურად გაგრძელდება. ზურაბ ჟვანიამ კომიტეტების თავმჯდომარეებს განხილვის პროცედურისა და ვადების ზუსტი განსაზღვრა დაავალა.

სავარაუდოდ, 25-26 აგვისტოს გაიმართება პა-



რლამენტის ეკონომიკური ბლოკის კომიტეტების ერთობლივი სხდომა.

**საქართველოს პარლამენტის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.**

## კანონმდებლები

# სააკაშვილი შარაძეს „წილში ჩაუჯდა“

მას შემდეგ, რაც საქართველოში იეღოველებმა ფეხი მოიკიდეს, პარლამენტარი გურამ შარაძე მათ ხმამაღლამოღებული ებრძვის. და იგი ამ ბრძოლაში აქამდე პარლამენტში მარტო იყო, მისი კოლეგები, მართალია, იეღოველებზე ცუდი აზრისა იყვნენ, მაგრამ ხმამაღალი განცხადებისაგან თავს იკავებდნენ.

მაგრამ 4 აგვისტოს პარლამენტარებმა ეს დუმილი დაარღვიეს და ყველაზე რადიკალური განცხადებების ავტორის, ანუ მიხეილ სააკაშვილის პირით იეღოველების წინააღმდეგ პირველად გაილაშქრეს. ამის მიზეზი გახდა იეღოველების მიერ სისხლის გადასხმაზე უარის თქმის მოხმირება.

როგორც მმართველი ფრაქციის ლიდერი აცხადებს, მსგავსი სექტების მოძლაერება საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე მისი მოქალაქეების სიცოცხლეს. ყველას აქვს უფლება, რაც სურს ის იქადაგოს, მაგრამ, როგორც კი ეს მოძღვრება სხვა პიროვნებას უარყოფითად შეეხება, ამას რელიგიის თავისუფლებასთან არანაირი კავშირი არ ექნებაო.

თუმცა, ფრაქციის ლიდერი შარაძისაგან განსხვავებით დღეს კატეგორიულად არ მოითხოვედა იეღოველთა სექტის აკრძალვას. მას ბევრად უფრო მომგებიანად მიაჩნია მათ წინააღმდეგ ფინანსური ბერკეტების გამოყენებით შეზღუდვების დაწესება. როგორც სააკაშვილი აცხადებს, თუ იეღოველების სექტა საქართველოში აიკრძალება, ისინი იატაკქვეშეთში გადაელენ და წამებულის იარლიყსაც მიიწებებენ. ეს კი მათი რიგების გამრავლებას უფრო შეუწყობს ხელს, – ფიქრობს მმართველი ფრაქციის ლიდერი.

რაც შეეხება რელიგიის კანონს, რომლის მიღებასაც გურამ შარაძე ითხოვს, საკამეილი ამაზე ჯერ არ საუბრობს. [illegible] ხელმწიფოსა და [illegible] დიდებ[illegible] რის კონკორდატის დადება აუცილებლად მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებული იქნება ეკლესიაზე იზრუნოს. ფრაქციის ლიდერის მოსაზრებით, უნდა აღირიცხოს ზარალი, რომელიც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ათწლეულების განმავლობაში მიადგა და მოხდეს მისი შეძლებისდაგვარად ანაზღაურება.

**ბექა ქადია.**

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
**http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika**

**ამ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2158 მკითხველი. მათ შორის, 59% აშშ-დან, 27% – საქართველოდან.**

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №210 (3611) შაბათი, 5 აგვისტო, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

## ვიზიტი

# სტრატეგიული პარტნიორობის პოტენციალი თვისებრივად ახალ მასშტაბს შეიძენს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშჩენკო მიიღო.**

შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს საქართველო-უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალი დონე, რომელსაც როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში სტრატეგიული პარტნიორობის შეფასება ეძლევა. ზურაბ ჟვანიამ და ვიქტორ იუშჩენკომ გამოთქვეს რწმენა, რომ ამ პარტნიორობის პოტენციალი უახლოეს მომავალში თვისებრივად ახალ მასშტაბს შეიძენს. ზურაბ ჟვანიამ განსაკუთრებით აღნიშნა უკრაინის ხელისუფლების კონსტრუქციული და კეთილმეზობლური პოზიცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. აღინიშნა აგრეთვე , რომ მნიშვნელობა აქვს ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას. სტუმრის შეფასებით, უკრაინა–საქართველოს პოტენციალი ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით, დიდ რეზერვს შეიცავს და მხარეთა ვალია ამ პოტენციალის სრული რეალიზაცია.

შეხვედრაზე განიხილეს მთელი რიგი რეგიონული პროექტების განვითარების პერსპექტივები.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იუშჩენკომ ჩანაწერი გააკეთა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში.



**საქართველოს პარლამენტის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი – საქინფორმი.**

# საქართველო-უკრაინა: თანამშრომლობა ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ

**უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იუშჩენკოს ოფიციალური ვიზიტი საქართველოში**

**4 აგვისტოს უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში ერთი დღის ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა. თვითმფრინავი, რომელმაც საპატიო სტუმარი სპეციალური რეისით კიევიდან ჩამოიყვანა, დაახლოებით პირველ საათზე დაჯდა თბილისის აეროპორტში.**

უკრაინის მთავრობის მეთაურსა და მის მეუღლეს თვითმფრინავის კიბესთან დახვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი მეუღლითურთ.

საპატიო სტუმრის პატივსაცემად შესრულდა უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. გაიმართა უკრაინის პრემიერ-მინისტრის დახვედრის საზეიმო ცერემონია. მისი დამთავრების შემდეგ ვიქტორ იუშჩენკო და უკრაინის მთავრობის დელეგაციის წევრები მთავრობის „კრწანისის“ რეზიდენციაში გაემართნენ.



გუშინ გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იუშჩენკოს პირისპირ საუბარი.

საუბარს ესწრებოდა სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი.

* * *

მთავრობის „კრწანისის“ რეზიდენციაში გაიმართა უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იუშჩენკოსა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის საუბარი. იგი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. შეხვედრის დამთავრების შემდეგ უკრაინის მთავრობის მეთაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კმაყოფილია მოლაპარაკების ტონალობითა და შედეგებით, რომლის მთავარი თემა იყო, როგორც მან თქვა, ორი სახელმწიფოს ეკონომიკური თანამშრომლობა.

* * *

უკრაინის პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოლაპარაკების პარალელურად „კრწანისის“ რეზიდენციაში მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა უკრაინა-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეთა ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობდნენ უკრაინისა და საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ადგილობრივი ადმინისტრაციების მეთაურები ორივე მხარის საქმიანი წრეების წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა ეფექტიანად, დინამიკურად, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ვითარდება. ამას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სოლიდური სამართლებრივი ბაზა.

იხ. მე-2 გვ.

ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა საქინფორმის ფოტოქრონიკას ეკუთვნის.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

**ნ. ამაღლობელის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ბირთვული ფიზიკის დარგის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის გამოჩენილი ფიზიკოსი, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნოდარ ამაღლობელი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

**ბატონო ნოდარ,**

**სიამაყით და სიამოვნებით მოვაწერე ხელი ამ განკარგულებას. თქვენ ხართ გამორჩეული რჩეულთა შორის, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს შექმნაში, მისი ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენაში მართლაც განსაკუთრებული როლი შეასრულა. მიუხედავად გადატანილი უბედურებისა, თქვენ დღესაც ქვეყნის თავისუფლებისა და ახლებურად მოწყობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ხართ. მჯერა, მრავალი და მრავალი წლის მანძილზე ასეთივე დარჩებით.**

ღრმა პატივისცემით,

**ედუარდ შევარდნაძე.**

## შევეწიოთ!



### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმო „ინჟპროექტი“ | – 500 ლარი; |
| შპს „დიო“ | – 150 ლარი; |
| შპს „ინდუსტრია-ბროკერი“ | – 3 ლარი; |
| იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგი | – 3.55 ლარი; |
| ივლიტე გასვიანი | – 10 ლარი; |
| ნუგზარ გასვიანი | – 10 ლარი; |
| ელენე რეზესიძე – გასვიანი | – 10 ლარი; |
| აკაკი გასვიანი | – 10 ლარი; |
| ირაკლი გასვიანი | – 10 ლარი. |

## პრესა

# ფრთხილად, კოლეგებო, ზურგს უკან საქართველოა!

– ჩვენი პროფესია ძალიან ძნელია. გვიბრძანებენ ამა თუ იმ თემაზე სასწრაფოდ წერილი გააკეთეო და თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ, თანაც ზუსტად უნდა შეასრულო ხელმძღვანელის მითითება.

– ჩემი რედაქტორი სამსახურში იმ ჟურნალისტს არ მიიღებს, რომელიც პრესაში ამ ათიოდე წლის წინათ მუშაობდა. კი შეიძლება შეასრულოს ერთი-ორი დავალება, მაგრამ მაინც ძველი ცხოვრების წესისაკენ მიუწევს გული და ბოლოს უეჭველად „დაიწვება“.

– შენთან, რომ უმიმროების წარმომადგენელი მოეიდეს და გითხრას: სახელმწიფოებრივი მოსაზრებით ამ საკითხზე ჯერჯერობით არ დაწეროთო, დათანხმდები?

– თუ ვგრძნობ, რომ ამით საქმე ფუჭდება, პიროვნების გადარჩენა ან მისთვის დახმარების გაწევა შემიძლია, ყასიდად დავეთანხმდები, მაგრამ სტატიას აუცილებლად გამოვაქვეყნებ.

**ორი გოგონას – ტელეკომენტატორისა და გაზეთის კორესპონდენტის დიალოგიდან.**

– ფრიად გახარებული ვარ პირველი პრემია რომ დავიმსახურე. ეს ერთობ ძნელია, რადგან დღეს ჟურნალისტები რაღაცას ჩვენით ვახერხებთ და სიბნელეში ხელის ცეცებით მიზნის მიღწევას ვცდილობთ. ამბობენ ძველი ჟურნალისტიკა პროპაგანდა იყოო.

**თბილისის მერიის მიერ პრემირებული ჟურნალისტის გამოსვლიდან.**

აი, ასეთმა საუბრებმა განაპირობეს ამ სტატიის დაწერა და რამდენადაც მსურს საკითხს ობიექტურად მოეფინო ნათელი, სტატიაში არც ერთ გაზეთსა და ტელეარხს არ ვაკონკრეტებ და არც ერთი თაობის ჟურნალისტის გვარს არ ვასახელებ. ჭეშმარიტება ერთია და მკითხველიც ყველაფერს ადვილად გაიგებს.

იხ. მე-4 გვ.

## რეგიონი

# გადასახადები მაინც ყველამ უნდა გადაიხადოს

**სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი შიდა ქართლის მხარეში**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა 3 აგვისტოს თავისი სამუშაო დღე ჩვეული რიტმით დაიწყო. დილით ადრე, ვიდრე აგვისტოს მწველი მზე დედაქალაქს მთელი ძალით დააცხუნებდა, სახელმწიფო მინისტრმა, ფინანსთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრების, მასმედიის წარმომადგენლების თანხლებით შიდა ქართლისკენ აიღო გეზი...

მადლიანი და მოსავლიანი მიწით გამორჩეული ქართლი უჩვეულოდ გამოიყურებოდა...



თვალს არ გამოპარეია, რომ წლევანდელმა გვალვამ დაღი ქართლსაც დააჩნია. გრადიციულად ამ დროს ბუნებაში ხალასი მწვანე – ზაფხულის ფერები სჭარბობს, პაერში კი მომავალი ჭირნახულის სასიამოვნო სურნელი ტრიალებს, ახლა კი ფართოდ გაშლილ ველებს, ყანებს, ვენახებსა და ხილის ბაღებს უფრო გვიანი შემოდგომის ფერები გადაკრაედა... მოწყენილად გამოიყურებიან ხეხილის ბაღები, გვალვამ არც ვენახები დაინდო...

იხ. მე-2 გვ.

## გიხაროდენ!

# სამ ძმა კვინიკაძეს გვანცა მიემატა

– სამი ვაჟიშვილის: ნუგზარის, ელგუჯასა და ოთარის მამა გახლავართ. სამი ბიჭის მშობლები – მე და ჩემი მეუღლე გოგონას ენატრობდით. აგვიხდა სურვილი. ამ დღეებში ნანას თბილისში (მშობლებთან მყავდა ჩამოყვანილი) გოგონა შეეძინა. გვანცა დავარქვათო, დავეთანხმეთ ძამიკოების (მათ შორის 4-5 წელიწადია განსხვავება) სურვილს.

ვიცი, ჩვენს სიხარულს გაიზიარებთ, ამიტომ მოგაკითხეთ, – გვითხრა რედაქციაში მოსულმა ზესტაფონელმა ნოდარ კვინიკაძემ.

– ნათქვამია, დედის ალაგმალაგო, მამის ციხე-ქალაქო, პაპის ოქროს გუთანო, ბებოს თეთრო მანდილო, მხრებზე წამოსასხამო. პაპების რა მოგახსენოთ, არ მოესწრნენ ამ შვილიშვილის დაბადებას, ბებიებმა კი რა არ მოუმზადეს გოგონას, ალბათ, თეთრი მანდილიც არ გამორჩებათ.



**ვულოცავთ კვინიკაძეების მრავალშვილიან ოჯახს გვანცას შემომატებას.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ინფორმაცია

**ქმნილ რეალურ მდგომარეობას. ეს გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძისა და გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის ხაჩკარიკის შეხვედრაზე.**

– ექსპერტთა მოხსენება, – თქვა დავით კირვალიძემ, – საფუძველი გახდება ევროპის ქვეყნების დონორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დახმარებას გაუწევენ საქართველოს. საქართველოსთვის შეიქმნება გვალვის შედეგების ლიკვიდაციის ხელშემწყობი სპეციალური პროექტი.

ბატონმა პასანმა, რომელიც იტალიში კურატორობს საქართველოს, აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს სასწრაფო დახმარების გასაწევად. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დავით კირვალიძეს აღუთქვა, რომ საქართველოში გაგზავნის საჭირო სურსათს.

### გვალვის შედეგების დასაძლევად

**საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ენდი ქამიერაშვილი რომიდან იტყობინება:**

გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ფაო) შექმნა სპეციალური მისია, რომლის ექსპერტებიც გაემგზავრებიან საქართველოში და დეტალურად შეისწავლიან სოფლის მეურნეობაში კატასტროფული გვალვის შემდეგ შე-

### დაიწყო სამხედრო ტექნიკის და ქონების გატანა

**რუსეთმა გუშინ დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებსა და საწყობებში არსებული საბრძოლო ტექნიკის და სამხედრო ქონების გატანა. ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ ვალერი მანილოვმა.**

მისი თქმით, უპირველესად სამხედრო ტექნიკა გატანილი იქნება ვაზიანის და გუდაუთის ბაზებიდან. ასევე აღნიშნა, რომ ტანკებს, ჯავშანმანქანებს და არტილერიას რკინიგზის პლატფორმებით ბათუმამდე ჩაიტანენ, საიდანაც შავი ზღვის ფლოტის გემებით გადაზიდავენ ტუაფსეს და ნოვოროსიისკის პორტებში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

## პალიტრა



„მამია მალაზონია ქმნის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს და თავიდან, უჩვეულო კუთხით „ყვება“ პოემას, მინიატურების ძველ ოსტატთა მსგავსად“, – წერს ლელა ოჩიაური მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც ჟურნალ „ომეგას“ № 8-ში არის გამოქვეყნებული.

„ომეგას“ ამ ნომრის შესახებ წერილი

იხ. მე-8 გვ.

## ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +17+22; დღისით +27+32.
მთაში: ღამით +14+19; დღისით +25+30.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +17+22; დღისით +26+31.
მთაში: ღამით +12+17; დღისით +23+28.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა.
ღამით +20+22;
დღისით +29+31.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

*5 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9060 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9600 ლარი |
| ევრო | 1 | 1.7720 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 ლარი. |

## ინტერპანორამა



ჯორჯ ბუში-უმცროსის გუშინდელი სიტყვა ფილადელფიაში გამართული რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე, რომელიც აშშ ამჟამინდელი პრეზიდენტის მკვეთრი კრიტიკით გამოირჩეოდა, ქვეყნის სამომავლო პოლიტიკის კარდინალურ ცვლილებას გამოხატავდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

გუშინ მთელმა დიდმა ბრიტანეთმა აღნიშნა დედა-დედოფლის დაბადების 100 წელი. საღამოს ბუკინგემის სასახლეში გაიმართა საზეიმო მიღება.



## უკანასკნელ საათს



გუშინ ჩეჩენი მოთარეშეები თავს დაესხნენ ავტოკოლონას, რომელშიც რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის გადამღები ჯგუფიც იმყოფებოდა. მსხვერპლი არ არის.

გუშინ რუსეთის ფედერალურმა ძალებმა შაროის რაიონში დაქირავებული არაბი მოთარეშეების რაზმი გაანადგურეს. ისინი საქართველოს საზღვარზე აპირებდნენ გადმოსვლას. მოკლულია 21 მოთარეშე. მეთაური – იემენელი აბდუ სალამ ზურკა დატყვევებულია.



## ბუნება

# მხოლოდ ენთუზიაზმით ტყეს ვერ დავიცავთ

**არადა, საქვეყნო ინტერესებისათვის აუცილებელია მისი მოვლა-გაფრთხილება**

ხანძრებმა გვალვებმა ქვეყნის ბევრ რეგიონში კრიტიკული ხანძარსაშიში მდგომარეობა შექმნა. იგი კი ტყის, და არა მარტო მისი დაუნდობელი მტერია: 1871 წელს ტყის ხანძარმა აშშ 1500-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ცნობილია ციმბირის დიდი ხანძარი 1915 წელს, რომელმაც 16 მილიონი ჰექტარი ტყე მოიცვა (საქართველოს ტყეების საერთო ფართობი სულ 3 მილიონ ჰექტარამდეა!). ბორჯომის ხეობაში გასული საუკუნის 80-იან წლებში მომხდარმა ხანძარმა 10 ათასი დესეტინა (9.153 ჰა) ტყე გაანადგურა... ასეთი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება. თუმცა, ეს იყო წინათ.

იხ. მე-4 გვ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

ვიზიტი

# საქართველო-უკრაინა: თანამშრომლობა ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ

(პირველი გვერდიდან)

1992 წლიდან მოყოლებული უკრაინამ და საქართველომ მიიღეს 102 ორმხრივი დოკუმენტი. აქედან ექვსი სახელმწიფოთაშორისი და დაახლოებით 40 სამთავრობათშორისოა. ოთხმოცზე მეტი ხელშეკრულება და შეთანხმება ძალმოსილი გახდა.



როგორც შეხვედრაზე ითქვა, ორი სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების წარმატებას ადასტურებს საქონელბრუნვის ზრდის დინამიკა. მიმდინარე წლის პირველი ნახევარწლეულის შედეგების მიხედვით საქონელბრუნვა ერთიორად და მეტად აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს. ამასთანავე, საქონელბრუნვა იზრდება როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ხარჯზე. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ორი სახელმწიფოს ნავსადგურებს შორის საბორნე გადასასვლელის ამოქმედებამ.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უკრაინისა და საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება როგორც ორმხრივი წესით, ისე საერთაშორისო პროექტების, კერძოდ, ტრასეკას ფარგლებში. მოიწონეს, რომ გაიმართება ტრასეკას 12 მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა. იგი გაიმართება აგვისტოს მეორე ნახევარში ბაქოში და მიეძღვნება ერთიანი სატარიფო პოლიტიკის შექმნის საკითხებს.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სხვა საკითხებიც, როგორიც არის ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში, უკრაინა–საქართველოს ერთობლივ საწარმოთა შექმნის პერსპექტივა.

* * *

**უკრაინისა და საქართველოს დელეგაციების გაფართოებული შემადგენლობის მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშჩენკო და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი.**

გიორგი არსენიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინისა და საქართველოს თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნება ორი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების მდიდარ ტრადიციებს, ბოლო წლებში განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდებოდა და დღეს მან სტრატეგიული პარტნიორობის დონეს მიაღწია. უკრაინა და საქართველო წარმატებით ურთიერთმოქმედებენ და მხარს უჭერენ ერთმანეთს არა მხოლოდ ორმხრივი წესით, არამედ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის, ტრანსეროვნული პროექტების ფარგლებში, ამასთანავე საერთო პოზიციებს ადგანან პრაქტიკულად ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხში. სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ორ სახელმწიფოს შორის არსებობს სოლიდური სახელშეკრულებო ბაზა და ეფექტიანად მუშაობს ეკონომიკური თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისი კომისია. მან გამოთქვა რწმენა, რომ უკრაინის მთავრობის მეთაურის ახლანდელი ვიზიტი მძლავრ სტიმულს მისცემს ორი სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის შემდგომ განვითარებას.

ვიქტორ იუშჩენკომ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და კმაყოფილება გამოთქვა უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის გამო. მან აღნიშნა, რომ უკრაინა და საქართველო დიდ დახმარებას უწევდნენ და უწევენ კვლავაც ერთმანეთს სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფო მშენებლობის პროცესში.

უკრაინის მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ უთუოდ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის გამიზნულ პოლიტიკას როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს ძალზე საჭიროა ვიმუშაოთ იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც აფერხებენ უკრაინისა და საქართველოს თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, ვეძებოთ პარტნიორობის ახალი მიმართულებები, დავდოთ ახალი ხელშეკრულებები და ხელი შევუწყოთ არსებული სამართლებრივი ბაზის უფრო ეფექტიანად ამოქმედებას.

– როგორც ვიქტორ იუშჩენკომ თქვა, უკრაინის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი საქართველოში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს ორი სახელმწიფოს შემდგომი დაახლოების გზაზე.

უკრაინისა და საქართველოს დელეგაციათა მოლაპარაკების დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები. გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი ორი ქვეყნის პარტნიორობის შემდგომი განვითარებისათვის.

* * *

**მთავრობის „კრწანისის" რეზიდენციაში საქართველოსა და უკრაინის დელეგაციების მოლაპარაკების მეორე ნახევარში მათ შეუერთდა ქართველ ბიზნესმენთა დიდი ჯგუფი.** თავიანთ უკრაინელ კოლეგებთან ერთად მათ წამოაყენეს წინადადებები, რომელთა მიზანია ორი სახელმწიფოს პარტნიორობის გააქტიურება სხვადასხვა დარგში, უწინარესად, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. კერძოდ, ითქვა, რომ მყარი კონტაქტებია დამყარებული უკრაინის მრეწველთა კავშირსა და საქართველოს გადასახადების გადამხდელთა კავშირს შორის. სამომავლოდ საქართველოს გადასახადების გადამხდელთა კავშირი აპირებს გახსნას თავისი წარმომადგენლობა კიევში, უკრაინის მრეწველთა კავშირი კი – თბილისში. აღინიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა უკრაინა-საქართველოს სავაჭრო სახლის შესაქმნელად, და უკვე ამა წლის სექტემბერში შესაძლებელი იქნება მის შედეგებზე ლაპარაკი.

ქართველმა და უკრაინელმა ბიზნესმენებმა ილაპარაკეს ტრანსპორტის, გადამამუშავებელი მრეწველობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში და სხვა სფეროებში თანამშრომლობის რეალიზებულ და პერსპექტიულ პროექტებზე.

* * *

**ქართველი და უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის კიდევ ერთ სიმბოლოდ იქცა თბილისში ერთი წლის წინათ გახსნილი უკრაინული საშუალო სკოლა, რომლის დაარსების ინიციატივა საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს ედუარდ შევარდნაძესა და ლეონიდ კუჩმას ეკუთვნით.**

**უკვე ტრადიციად იქცა საქართველოში უკრაინის პირველ პირთა ვიზიტებისას მათი ამ სკოლაში სტუმრობა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და 4 აგვისტოს სკოლას უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშჩენკო ეწვია.**

ქართულ და უკრაინულ ეროვნულ განსაცმელში გამოწყობილი სკოლის მოსწავლეები საპატიო სტუმარს, უკრაინული ტრადიციისამებრ, პურითა და მარილით შეეგებნენ.

– მიუხედავად იმისა, რომ სკოლა უკრაინულია, ქართული ენა აქ გაძლიერებულად ისწავლება. სასწავლებელში საქართველოში მრავალრიცხოვანი უკრაინული დიასპორის 25 ნორჩ წარმომადგენელს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები მათივე თანამემამულეები აზიარებენ განათლებას, – განუცხადა ვიქტორ იუშჩენკოს სკოლის დირექტორმა მიროსლავა კანკავამ. აღსანიშნავია, რომ უკრაინული სკოლა საქართველოს განათლების სამინისტროს ექვემდებარება, ხოლო მისი სასწავლო ლიტერატურითა და ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა უკრაინის მხარემ იკისრა.

ვიქტორ იუშჩენკომ თბილისის უკრაინულ სკოლას თავისი ქვეყნის მთავრობის სახელით დიდი უკრაინელი მწერლის ტარას შევჩენკოს პორტრეტი, ფერადი ტელევიზორი, სახელმძღვანელოები, საკანცელარიო ნივთები და სპორტული განსაცმელი გადასცა საჩუქრად.

სტუმარს ნორჩებმა თვითშემოქმედების კონცერტი გაუმართეს, სადაც ქართულ და უკრაინულ ენებზე აჟღერდა მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებები.

აქვე შეიკრიბნენ ჩვენს ქვეყანაში უკრაინული თემის წარმომადგენლები, რომელთა რიცხვი სადღეისოდ 40 ათასს აღემატება. მათი ძალისხმევით შექმნილია ათობით ქართულ-უკრაინული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ასოციაციები, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს ორი მოძმე ხალხის ტრადიციულ მეგობრობასა და ურთიერთობას.

* * *

**ნაშუადღევს მთავრობის „კრწანისის" რეზიდენციაში გაიმართა დოკუმენტებზე ხელმოწერის ცერემონია.**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა და უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იუშჩენკომ ხელი მოაწერეს სამთავრობო კავშირგაბმულობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს მთავრობისა და უკრაინის მთავრობის შეთანხმებათა ოქმებს, საქართველოსა და უკრაინის სამთავრობო დელეგაციათა მოლაპარაკების შედეგების შესახებ ოქმს და საქართველოს მთავრობისა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ოქმს მიწის ნაკვეთების მისამართებისა და მახასიათებლების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც გადაეცემა დიპლომატიური წარმომადგენლობების განთავსებისათვის საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის დადებული იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს შენობებისა და მიმდებარე მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის გადასახადებისაგან ურთიერთგათავისუფლებას.

ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსა და უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურის მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დიმიტრი აბესაძემ და უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ იგორ სობოლმა.

დაიდო შეთანხმება მცხეთა-მთიანეთის რეგიონსა და პოლტავის ოლქს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. მას ხელი მოაწერეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა მცხეთა–მთიანეთის რეგიონში კობა ბუჩუკურმა და პოლტავის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ევგენი ტომინმა.

საქართველოს გადასახადების გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა დარჩიამ და უკრაინის მრეწველთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა სერგი ჩებოტარმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს გადასახადების გადამხდელთა კავშირსა და უკრაინის მრეწველთა კავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ.

მიღებულმა დოკუმენტებმა მნიშვნელოვნად შეავსეს სამართლებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც ვითარდება უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობა.



* * *

**საქართველოში უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იუშჩენკოს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენციის გახსნისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა საპატიო სტუმარს უწოდა „ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, დინამიკური და პერსპექტიული ხელმძღვანელი პოსტსაბჭოურ სივრცეში".**

„ახლანდელი ვიზიტის დროს, – თქვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, – განვიხილეთ ჩვენი სახელმწიფოების თანამშრომლობის ფართო წრის საკითხები როგორც ორმხრივი წესით, ისე საერთაშორისო სტრუქტურების ფარგლებში. უკრაინამ განაცხადა, რომ მზად არის დაეხმაროს საქართველოს მისთვის რთულ პერიოდში და გამოუყოს 50 ათასი ტონა მარცვლეული ჩვენთვის მისაღები პირობებით. ეს ახლა ჩვენთვის უდიდესი შეღავათია".

გიორგი არსენიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნაყოფიერ პარტნიორულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს მდიდარი ისტორიული ტრადიციები, მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა, რითაც დაკავშირებული არიან ორი სახელმწიფოს ლიდერები – ედუარდ შევარდნაძე და ლეონიდ კუჩმა. „ასეთ საძირკველზე დამყარებულებს, არ გაგვიჭირდება ნაყოფიერი მოლაპარაკების წარმოება და ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღება", – დასძინა მან.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა თქვა, უკრაინის მთავრობის მეთაურის ახლანდელი ვიზიტი საქართველოში სათავეს დაუდებს ორი მეგობარი სახელმწიფოს პარტნიორობის განვითარების ახალ ეტაპს.

ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხელმძღვანელობა მაღალ შეფასებას აძლევს უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის დონეს. მან გამოთქვა რწმენა, რომ ორი სახელმწიფოს ახლანდელ მთავრობათა საქმიანობა ხელს შეუწყობს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის განვითარებას.

უკრაინის მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს არსებული ორმხრივი დოკუმენტების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. „ეკონომიკური თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ მთავარია განხორციელდეს 1999–2008 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დებულებები. ეს თვითკმარი დოკუმენტია, რომელიც ერთგვარ სამოქმედო პროგრამად უნდა მივიჩნიოთ",– აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. როგორც მან თქვა, მოლაპარაკების დროს მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ უნდა გააქტიურდეს მოლაპარაკების პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს მომავალში მოაწესრიგებენ უკრაინის მთავრობის მეთაურისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სპეციალური მემორანდუმები.

ვიქტორ იუშჩენკომ თქვა, რომ გამართული მოლაპარაკების დროს მხარეებმა დაწვრილებით განიხილეს ორი სახელმწიფოს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა, მიაღწიეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია საგადასახადო და სატარიფო პოლიტიკის მოდერნიზაცია. მან გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მხარემ გადაწყვიტა 35 პროცენტით შეამციროს ტარიფი ფოთის ნავსადგურში და აღუთქვა დამსწრეთ, რომ უკრაინა ადეკვატურ ზომებს მიიღებს.

მოლაპარაკების საგანი იყო ჰუმანიტარული სფეროც. კერძოდ, მიღწეულია ურთიერთგაგება იმ საკითხში, რომელიც ეხება საშუალო და უმაღლესი განათლების დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების ორმხრივ აღიარებას. პრაქტიკულად მიღებულია გადაწყვეტილება უკრაინულ-ქართული და ქართულ-უკრაინული ლექსიკონების შექმნის შესახებ, უკრაინის მხარემ მადლიერებით მიიღო წინადადება, მონაწილეობა მიიღოს კავკასიის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის მუშაობაში. ვიქტორ იუშჩენკომ მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელმძღვანელობას თბილისში მოქმედი უკრაინული სკოლისათვის მზრუნველობის გამო.

დასასრულ უკრაინის მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ უკრაინა-საქართველოს ურთიერთობას დიდი მომავალი აქვს, რადგან ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა გამიზნულია მორეული პერსპექტივისათვის.

უპასუხა რა კითხვას იმის შესახებ, სახელდობრ რომელი სფეროები იქნება უკრაინის პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სპეციალური მემორანდუმებით რეგლამენტირებული, ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ ეს, კერძოდ, ის საკითხებია, რომლებიც უკავშირდება სუუამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას, ტრასეკას პროექტის რეალიზაციას.

კითხვას, იყო თუ არა ახლანდელი მოლაპარაკება „თანასწორთა დიალოგი", საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა უპასუხა, რომ ეს იყო დიალოგი, რომლის დროსაც მხარეები ესწრაფვოდნენ ურთიერთგაგებას და მიაღწიეს მას, როცა განიხილავდნენ ორივე ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებს.

* * *

**4 აგვისტოს, საღამოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ელენე სტურუამ ოფიციალური სადილი გამართეს უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იუშჩენკოსა და მისი მეუღლის ქალბატონ ეკატერინე ჩუმაჩენკოს პატივსაცემად.**

ოფიციალურ სადილზე იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

* * *

**იმავე ღამეს, გვიან ღამით უკრაინის მთავრობის მეთაური ვიქტორ იუშჩენკო მეუღლითურთ და თანხლები პირები თბილისიდან სამშობლოში გაემგზავრნენ.**

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარს საზეიმო გაცილება მოუწყვეს. თვითმფრინავის კიბესთან ბატონ ვიქტორ იუშჩენკოსა და ქალბატონ ეკატერინე ჩუმაჩენკოს გულთბილად დაემშვიდობნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი და მისი მეუღლე ქალბატონი ელენე სტურუა.

**საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები.**

რეგიონი

# გადასახადები მაინც ყველამ უნდა გადაიხადოს

(პირველი გვერდიდან)

პირველად სახელმწიფო მინისტრმა კასპის რაიონის სოფელი ალაიანის გვალვისაგან განადგურებული კერძო ვენახები დაათვალიერა. სახელმწიფო მინისტრს მეგზურობას უწევდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში ირაკლი ბოჭორიძე. დაახლოებით 50 ჰექტარ პრივატიზებულ ტერიტორიაზე, საიდანაც საშუალოდ 9 ტონა ჩინურს, გორულ მწვანესა და თაკვერს აბარებდნენ ოკამის ღვინის ქარხანას, ახლა 2-3 ტონა მოსავალს ძლივს ვარაუდობენ.

– ამ ტერიტორიის მორწყვა ზონკარის წყალსაცავიდან ხდებოდა. მაშინ ზონკარზე 30 მილიონი კუბური მეტრი წყალი გროვდებოდა. ახლა 7 მილიონის თავმოყრა ძლივს ხერხდება. მეორე ზაფხულია, რაც მდინარე ქსანმაც იკლო, ამას გვალვა დაემატა და, შესაბამისად, მოსავალიც შემცირდა. გლეხი უარს ამბობს მიწაზე დაწესებული გადასახადის გადახდაზე, რადგან სათანადო მოსავალს ვერ იღებს, უჭირს გლეხს, – ეუბნება სახელმწიფო მინისტრს ირაკლი ბოჭორიძე. ახლა იმედი ისევ „მბრძანებელ" ბუნებაზე გვაქვს. აქ ხელოვნური გასარწყავება ვერ ხერხდება, თუ ამინდი გამოსწორდება და ცოტა ნალექიც წამოვა, ნამდვილად გვეშველება. თითქოს გვალვა არ ეყოფოდაო, სიცხისაგან გაჩანაგებულ ვენახს, რამდენიმე დღის წინათ კალიები შეესივნენ და „მათზე დაკისრებული საგანგებო მისიაც" საგანგებოდ უნაკლოდ შეასრულეს.



სოფელ ქვემო ჭალაში ამ დროს ქართლის ცნობილი ვაშლის მეურნეობა თავისი საუკეთესო ვაშლით ამარაგებდა ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონს, ახლა კი, გვალვის „წყალობით" სიმეტრიულად ჩამწკრივებული ვაშლის ხეები უმწეოდ გამოიყურებიან. ფინანსური სიდუხჭირის გამო ვერც ამ ტერიტორიაზე ხერხდება ნადარბაზევის წყალსაცავიდან წყლის ორმაგი გადაქაჩვა. ელექტროენერგიაზე დაწესებული გადასახადის პირობებში გლეხი ვერ ახერხებს ტერიტორიის მექანიკური სარწყავი სისტემებით დამუშავებას.

– თუკი ხელისუფლება ხელოვნური გასარწყავებისათვის ელექტოენერგიის საფასურის ნახევარს მაინც გამოყოფს, გლეხი თანახმაა გადასახადის მეორე ნაწილი თავად გაიღოს და მიწის დამუშავებასაც დაუბრუნდეს. წლევანდელმა კლიმატურმა პირობებმა შიდა ქართლში მოსავლის 90 პროცენტი დააზარალა, ეს ზარალი კი სახელმწიფოსა და გლეხს თანაბრად ეკუთვნის, – ამბობს ირაკლი ბოჭორიძე.

სახელმწიფო მინისტრმა გულდასმით მოუსმინა შიდა ქართლის სამხარეო ხელმძღვანელებს და მათ მხარდაჭერა, თანადგომა და ყოველგვარი შესაძლო დახმარება აღუთქვა.

მოგვიანებით გორის გამგეობის შენობაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შიდა ქართლის სამხარეო ხელმძღვანელობასა და მოსახლეობასთან ერთად რეგიონის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესახებ მსჯელობდნენ.

გაუცემელი ხელფასები და პენსიები, იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის გასაცემი დახმარების დავალიანება, სასმელი წყლით მოუმარაგებელი რამდენიმე სოფელი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფეროები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, – ასეთი იყო განსახილველი პრობლემები, რომელთა აღმოსაფხვრელადაც რეგიონში „ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და მისი მასშტაბის შემცირების " კომპლექსური პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს.

მაგრამ პრობლემათა მიუხედავად შიდა ქართლში მიმდინარე წლის ბოლო ექვსი თვის მონაცემები არც ისე უნუგეშოა: ადგილობრივ მრეწველობაში შესადარ ფასებში 19 მილიონ 262 ათასი ლარის პროდუქციაა გამოშვებული, დასაქმებულია 5340 ადამიანი, მიწის გადასახადის გეგმა 102 პროცენტით არის შესრულებული, გამოვლენილია კონტრაბანდული ტვირთების საკმაოდ მოცულობითი რაოდენობა, ადგილობრივი ბიუჯეტის შესების ტრადიცია არც ამჯერადაა დარღვეული. რეგიონში იმართება კულტურული ღონისძიებანი.

შიდა ქართლში ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების საკმაო რესურსი და პერსპექტივაა, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის საქმეში შიდა ქართლის მონაწილეობის დიდ იმედს იძლევა. სამწუხაროდ, ამ რესურსის ამუშავებისა და მთელი რიგი პროექტების ხორცშესხმის პროცესი ფინანსებს უკავშირდება, ამიტომაც დარბაზში შეკრებილი ქართლელები სულმოუთქმელად ელოდნენ ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის გამოსვლას.

– მერწმუნეთ, უპირველესად პედაგოგთა ხელფასების, პენსიონერთა და დევნილთა დავალიანების დასაფარად გამოვყოფთ თანხებს. დავალიანებას სავარაუდოდ აგვისტოში დავფარავთ, – დაამედა ზურაბ ნოღაიდელმა ქართლელები, რომლებმაც მას „ყველაზე პრინციპული ახლადდანიშნული მინისტრი" უწოდეს. შიდა ქართლის მხარეში 13 ათასზე მეტი დევნილია, უმეტესობა გორშია დასახლებული, რომელთაც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ სამომავლოდ გაეროს და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივად შემუშავებულ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა აღუთქვა. ერთ-ერთ პრიორიტეტად კი რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგება გამოკვეთა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ კონფლიქტის ზონაში დარჩენილი მოსახლეობის მიმართ, – აღნიშნა ვალერი ვაშაკიძემ.

შეხვედრის ბოლოს სახელმწიფო მინისტრის გამოსვლა არ იყო მხოლოდ ერთი რეგიონის პრობლემებით დატვირთული. ბატონმა გიორგი არსენიშვილმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სწორედ შიდა ქართლის ჭრილში წარმოადგინა. – ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა შიდა ქართლის, კონფლიქტის ზონის და, საერთოდ, მთელი ქვეყნის მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქოს. – თქვა მან. – თითოეული ჩვენგანის სიტყვა საქმეს არ უნდა დაშორდეს. პასუხისმგებლობა გვმართებს და, ვფიქრობთ, ახალი მთავრობა, რომელიც სულ რაღაც ორიოდ თვეა მუშაობას შეუდგა, თავს გაართმევს ამ მძიმე საქმეს.

სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა ბიუჯეტის შესრულების შესახებ და აღნიშნა, რომ გადასახადები, როგორი მძიმე მოსასმენიც უნდა იყოს, ყველამ უნდა გადაიხადოს. სხვანაირად ვერც ქვეყნის ბიუჯეტი შესრულდება და ვერც სოციალური პროგრამების დაფინანსება მოხერხდება.

**საქინფორმი.**

# უკრაინის პრემიერ-მინისტრის მეუღლე საქართველოს კულტურულმა მემკვიდრეობამ აღაფრთოვანა



**ეკატერინე ჩუმაჩენკოს – უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იუშჩენკოს მეუღლის, საქართველოში ვიზიტის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ქვეყნის კულტურული სიმდიდრის გაცნობას დაეთმო.**

*რამდენიმე შტრიხი ეკატერინე ჩუმაჩენკოს ბიოგრაფიიდან: იგი 1961 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩიკაგოში უკრაინელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. წარმატებით დაამთავრა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ვაშინგტონში, თეთრ სახლში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროში, აშშ სხვა სამთავრობო სტრუქტურებში. ეკატერინე ჩუმაჩენკო თავის ისტორიულ სამშობლოში, უკრაინაში 1991 წელს დაბრუნდა. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და უკრაინის ერთობლივ საქველმოქმედო ორგანიზაციას. არის საქველმოქმედო ორგანიზაცია „დაეხმარეთ ბავშვებს" დამფუძნებელი და პრეზიდენტი.*

ქალბატონმა ეკატერინე ჩუმაჩენკომ საქართველოში თავისი პირველი ვიზიტისას ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა ქართველთა ჭეშმარიტად საამაყო საგანძურიდან – სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმიდან დაიწყო.

სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ინახება გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული უნიკალური მატერიალურ-კულტურული ძეგლები, ეკატერინე ჩუმაჩენკომ განსაკუთრებული ინტერესით „საქართველოს ოქროს ფონდი" – ძველი ქართული ოქრომჭედლობის გამოფენა დაათვალიერა. სტუმარმა განაცხადა, რომ გამოფენამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ქართველი და უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და მეგობრული ურთიერთობის ნიშნად ქალბატონმა ეკატერინე ჩუმაჩენკომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად უკრაინელი მხატვრის მიერ შესრულებული ფერწერული ტილო „დავით გურამიშვილი" გადასცა. ეკატერინე ჩუმაჩენკომ დაათვალიერა მცხეთა, მისი ისტორიული ძეგლები – სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და ჯვრის მონასტერი.

**იმავე საღამოს ეკატერინე ჩუმაჩენკო საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" პრეზიდენტს ქალბატონ ნანული შევარდნაძეს შეხვდა.**

**საქინფორმი.**

## საბაჟო სისტემის რეორგანიზებამ ნაყოფი გამოიღო

საბაჟო სისტემის რეორგანიზებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის მოკვლევის სამმართველოს უფროსმა დავით ჯინჯოლავამ აცნობა, 2000 წლის პირველ ექვს თვეში გამოვლენილი იყო 768 სამართალდარღვევა, 1 ივლისიდან კი გამოვლენილია 316 ფაქტი, ანუ წლის დამდეგიდან გამოვლენილ სამართალდარღვევათა 27 პროცენტამდე. პირველი ექვს თვეში აღიძრა 11 სისხლის სამართლის საქმე, 1 ივლისის შემდეგ კი – 9. წლის დამდეგიდან გამოტანილია 748 დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, 1 ივლისიდან გამოტანილია 200-ზე მეტი დადგენილება, ანუ დადებულ ადმინისტრაციულ სახდელთა თითქმის მესამედი. მკვეთრად გაიზარდა დადებულ ადმინისტრაციულ სახდელთა თანხობრივი ოდენობაც – ჯარიმების სახით ამოღებულია 141 800 ლარი, აქედან 1 ივლისიდან 20 950 ლარი, ანუ საერთო თანხის 15 პროცენტი.

წლის დასაწყისიდან მასალების მოკვლევათა პროცესში ტვირთების განბაჟებით ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით შეტანილია 1 980 629 ლარი, 1 ივლისის შემდეგ კი – 1 511 880 ლარი, ანუ წლის დასაწყისიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩარიცხულია თანხის 76 პროცენტზე მეტი.

**ინფორმაცია მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

პროკურატურა

# მილიონები თაღლითური ფირმისათვის

ნათქვამია, – თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო. ამ გაჭირვებულ საქართველოში მესაჭმელი აღარაფერია, მაგრამ მოედინებიან და მოედინებიან უცხოელები თუ მინაურები თითის სალოკადაც და ჯიბის-სატენადაც.

ჯერაც არავინ უწყის თუ ვინაა არჩილ ხელიძე. გვარი და სახელი ქართული აქვს, მაგრამ უცხოვრია რუსეთის ფედერაციის ომსკის ოლქის დაბა მიშკალენკიში. ალბათ, იფიქრა, – გაივსო ფულით მარიფათიანი ხალხი ჩემს სამშობლოში, მე აქ ფეხმორთხმული რისთვის ვიჯდეო და გამოუწევია თბილისისაკენ.

გზა დიდი იყო გამოსაელელი. როგორც ჩანს, ა. ხელიძემ გულდასმით გაიხსენა ოსტაპ ბენდერის მაქინაციები და ფულის კეთების მისეული ოპერაციები საკუთარი მანიპულაციებითაც გაამდიდრა. კერძოდ, დედაქალაქში ჩამოსულმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში უხეში დარღვევებით დაარეგისტრირა შპს „მერა“, რომლის მთავარი მიზანი ჩვენი ისედაც წელმოწყვეტილი ბიუჯეტის დაწრეტა გახლდათ.

ბედი არ გინდა? გაუმართლა კიდეც!

საღ? როგორ? ხომ იცით, ლავებს ამღვრეულ წყალში იჭერენ. დღეს ჩვენი ენერგეტიკა ისეა ამღვრეული, რომ იქ ვეშაპებსაც ბლომად დაიჭერ და ბეჰემოტებსაც. აი, ამ სფეროში დატრიალდა „მერაც“. ოღონდ ის, ხან ჩანს, ხან – არა, ვითომც არც თვითონაა აზრზე, – რა ხდება და არც ისინი, ვინც მის მაქინაციებს გასაქანს აძლევს.

მამ ასე: 1999 წლის 1 ივლისს იქმნება საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი“ (ახლა „დამთხვევას“, – ზუსტად ამ წელს და ამ დღეს შეიქმნა შპს „მერაც“), რომელიც ენგურჰესიდან იღებს ელექტროენერგიას და მსხვილ კლიენტებს ასყიდებს. ასყიდებს, მაგრამ ფულს უკან დროულად ვერ იღებს. ვალი ვალს ემატება და სადღაც 11 მილიონ ლარს სცილდება. „ენგურჰესს“ გული უწრილდება, ონსილა ელევა და საშველად სწორედ „მერას“ უხმობს, – არიქა, რამე მიშველეო. და აქ 2000 წლის 15 თებერვალს შპს „ენგურჰესსა“ (დირექტორი გ. მიქაია) და შპს „მერას“ შორის ფორმდება უნომრო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დამკვეთი, ანუ „ენგურჰესი“ გადახცემს „შემსრულებელს“, ანუ „მერას“ სამი მილიონი ლარის მოთხოვნის უფლებას საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან“.

„შემსრულებელს“, საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან“ შეთანხმებით, ეს თანხა უნდა ამოეღო 2000 წლის 20 ივლისამდე. აქედან 70 პროცენტი უნდა მიეცა „ენგურჰესისათვის“, 30 პროცენტი კი, – გასამრჯელოს სახით, – დაეტოვებინა თავისთვის. ხელშეკრულება დამოწმებულია, ერთის მხრივ, „მერას“ დამფუძნებლის ა. ხელიძის, მეორე მხრივ „ენგურჰესის“ დირექტორის მოადგილის ნ. სართანიას ფაქსიმილიებით.

რახან ხელშეკრულება გაფორმდა, მანქანაც ამოქმედდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა 2000 წლის 31 მარტს ეროვნული ბანკის ანგარიშიდან სს „საქართველოს საფოსტო ბანკს“ გადაურიცხა 300 ათასი ლარი. საგადასახადო დავალებაში ამ გადარიცხვის საფუძვლად მიჩნეულია საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და შპს „მერას“ წერილები.

ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველომ 300 000 ლარი „საფოსტო ბანკის“ ანგარიშზე გადარიცხა იმავე დღეს, დაუყოვნებლივ!

საგადასახადო დავალების ტექსტში სახაზინო სამსახურის მიერ ეს წერილი 2000 წლის 24 თებერვალს საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ გენერალური დირექტორის ო. შალამბერიძის სახელით გაგზავნილია როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომში (დ. ონოფრიშვილთან), აგრეთვე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ა. ჯორბენაძესთან), რომელთა კომპეტენციამიც უშუალოდ შედიოდა წერილში მითითებული საფინანსო ოპერაციების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მიღება.

კერძოდ, ი. შალამბერიძე სს „ენგურჰესის“ წერილის საფუძველზე ითხოვდა, საკუთარი ასიგნების ხარჯზე, პენსიონერების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანგარიშში, სამი მილიონი ლარის ფარგლებში, შპს „მერასთან“ ანგარისწორების წარმოებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ წერილი, მისი პირდაპირი ადრესატის, ანუ ფინანსთა მინისტრის კანცელარიის გვერდის ავლით 28 მარტს მოხვედრილია სახელმწიფო სახაზინო სამსახურში და მეორე დღესვე ვიზირებულია უშუალოდ მისი უფროსის ვ. ნახუცრიშვილის მიერ ასეთი რეზოლუციით: „ბ-ნ ნადირაშვილს, განსახილველად“.

„საფოსტო ბანკის“ ანგარიშზე 300 ათასი ლარის გადარიცხვის ფაქტი დადასტურებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სპეციალური წერილითაც (დირექტორი ვ. ნახუცრიშვილი, მთავარი ბუღალტერი გ. ბაქრაძე). მასში მითითებულია, რომ სახაზინო სამსახურმა ცენტრალიზებული წესით 31 მარტს, სხვადასხვა საგადასახადო დავალებებით, სულ გადარიცხა 2.975.000 ლარი, მათ შორის 300000 ლარი.

18 აპრილს დ. ონოფრიშვილისა და ა. ჯორბენაძისადმი გაგზავნილ წერილში ი. შალამბერიძე აღნიშნავს, რომ ელექტრობაზრის წერილი, რომლის მიხედვითაც შესრულებულია 31 მარტის გადარიცხვა, „სამწუხაროდ, ყალბი აღმოჩნდა“, რაც „აშკარაა ყოველგვარი შემოწმების გარეშე“. იგი არაა რეგისტრირებული ელექტრობაზრის კანცელარიაში, მისი ნომერი არ შეესაბამება მიღებული რიგითობის წესს, არაფერი იცის შპს „მერას“ შესახებ და ა. შ. აქედან გამომდინარე, ი. შალამბერიძე მოითხოვს 31 მარტს განხორციელებული ოპერაციის შედეგების ანულირებას.

ამით თითქოს გამოკვეთილია საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელიც, ფაქტობრივად, არ ცნობს არც შპს „მერას“ საფინანსო ოპერაციებში მონაწილეობას და, ბუნებრივია, არც 2000 წლის 31 მარტის გადარიცხვის კანონიერებას. ასეთ შემთხვევაში ლოგიკური იყო ი. შალამბერიძის მოთხოვნის დაკმაყოფილება, 300 ათასი ლარის უკანონო გადარიცხვის გაუქმება.

საქართველოს სახაზინო სამსახურმა არა მარტო არ დააკმაყოფილა ი. შალამბერიძის თხოვნა გადარიცხვის გაუქმების შესახებ, არამედ 2000 წლის 26 ივნისს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს“ აუწყა, რომ ოპერაცია შესრულებულია არა საგადასახადო დავალებაში რეალურად მითითებული საფუძლის, არამედ ელექტრობაზრის და „ენგურჰესის“ წერილების მიხედვით.

ელექტრობაზრის ერთ-ერთი წერილით, მათი თანხებიდან 300 ათასი ლარი უნდა ჩარიცხოდა შპს „ენგურჰესს“. მაშასადამე, ფაქტობრივად, გადარიცხვა უნდა განხორციელებულიყო ელექტრობაზრის კუთვნილი თანხებიდან „ენგურჰესის“ ანგარიშზე და არა სს „საფოსტო ბანკის“ ანგარიშზე. მით უფრო, რომ „ენგურჰესის“ წერილში (დირექტორი გ. მიქაია, მთავარი ბუღალტერი ჯ. ცუცხუბაია) საუბარია 300 ათასი ლარის მოცულობის ფინანსური დახმარების გაწევაზე ელექტრობაზრის მხრიდან, რაც, ფაქტობრივად, აბათილებს სახაზინო სამსახურის მცდელობას როგორმე კანონიერად წარმოსახოს 31 მარტის გადარიცხვა.

სამწუხარო ისაა, რომ საქმე არ დამთავრდა არც 31 მარტით და არც 300 ათასის გადარიცხვით. 2000 წლის 31 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური შპს „მერას“ „საფოსტო ბანკში“ ურიცხავს ერთ მილიონ ლარს; იმავე დღეს თავად „საქართველოს საფოსტო ბანკს“ ხაზინა „აძლევს“ ისევ ერთ მილიონ ლარს, ხოლო მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას, 50 000 ლარს.

ამ შემთხვევაში, გადარიცხვებს საფუძვლად უდევს ი. შალამბერიძის 2000 წლის 15 მაისის წერილი ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის ვ. ნახუცრიშვილის სახელზე, რომელიც სახაზინო სამსახურში შესულად ნაჩვენებია წერილის გაგზავნის დღეს, ანუ 15 მაისს. რატომღაც ამჯერად ი. შალამბერიძე უკვე არაფერს ამბობს შპს „მერაზე“, რომლის გამოც იგი წინა პერიოდში ცდილობდა 31 მარტის გადარიცხვის ანულირებას, და რომლის სახელზეც უნდა ჩარიცხულიყო მისსავე წერილში შპს „ენგურჰესის“ წერილში მოხსენებული 2,7 მილიონი ლარი (ჯერ 300 ათასი ლარი).

დიახ, 2000 წლის 15 მაისს სახელმწიფო სახაზინო სამსახურში იმავე დღეს შესულადაა ნაჩვენები შპს „ენგურჰესის“ 2000 წლის 15 მაისის წერილი (ნ. სართანია, ჯ. ცუცხუბაია) შპს „მერაზე“ 2,7 მილიონი ლარის ჩარიცხვის მოთხოვნით. ეს წერილი, როგორც სახაზინო სამსახურის კადრების სამმართველოს უფროსის ზეინაბ მახარაშვილის ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, სახაზინო სამსახურში სინამდვილეში შესულია არა 15, არამედ 18 მაისს და დავთრებში გატარებულია წინა თარიღით სამსახურის მთავარი ბუღალტრის გიორგი ბაქრაძის თხოვნით. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ სახაზინო სამსახურში საერთოდ არ არის რეგისტრირებული შპს „მერას“ 15 მაისის წერილი, რომელშიც საზოგადოების დირექტორი ა. ხელიძე (წერილში მისი გვარიც კი არასწორადაა ჩაბეჭდილი) ვ. ნახუცრიშვილისაგან ითხოვს ელექტრობაზრის და „ენგურჰესის“ წერილების საფუძველზე ერთი მილიონი ლარის „საფოსტო ბანკში“, ერთი მილიონი ლარის შპს „მერაში“ და 50 000 ლარის „თბილკომბანკის“ სასარგებლო მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში ჩარიცხვას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხაზინა განგებ ძალით „ამარაგებს“ ფულით „მერას“.

კერძოდ, ამ ფირმის ანგარიშსწორების ანგარიშის გამოყენებით სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან 2000 წლის 31 მაისს ჩარიცხულია ერთი მილიონი ლარი, 15 მაისს კიდევ ერთი მილიონი ლარი, რაც, აგრეთვე, სახელმწიფო კუთვნილი თანხების გატაცების ნიშნებს შეიცავს. გარდა ამისა, „მერას“ უშუალო მონაწილეობით 31 მარტს სს „საფოსტო ბანკში“ გადარიცხულია 300 000 ლარი, მისივე ხელშეწყობით მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში სს „თბილკომბანკის“ სასარგებლოდ გადარიცხულია 50 000 ლარი.

მეტიც, როგორც ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინსპექციის (გ. კაკულია) მონაცემებით ირკვევა, შპს „მერას“ რეგისტრაციის დღიდან არავითარი ანგარიშსწორება სახელმწიფო ბიუჯეტთან არ უწარმოებია, და საქვეყნო სალაროსთვის არაფერი შეუმატებია.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ მიერ სახაზინო სამსახურის მეშვეობით წარმოებული ფინანსური ოპერაციები, თავიანთი ეკონომიკური შინაარსით, უმეტეს შემთხვევაში გულისხმობენ სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე აკუმულირებული თანხების ხელახალ გამოყენებას დამატებითი ღირებულების, საბაჟო და სხვა სახის გადასახადების, სახელმწიფო სახსრების მეშვეობით განმეორებითი გადახდის გზით. ფაქტობრივად, საგადასახადო და საბაჟო უწყებების მიერ ე. წ. „ვეშები“ სრულდებოდა მხოლოდ თანხების ქაღალდზე ბრუნვის ჩვენებით, ახალი ფულადი მასის წარმოქმნის გარეშე, რითაც ბიუჯეტის ხარჯზე დამატებით სპეცშემოსავლებს იღებდნენ. წინასწარი მონაცემებით ამგვარ ოპერაციებში მონაწილეობდნენ სხვა ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობასაც შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან.

არავინ უწყის, ამ ორგანიზაციებში კიდევ რა კომბინაციები აღმოჩნდება. თუმცა ყველაფერზე პასუხს გაგვცემს საქართველოს გენერალური პროკურატურა, სადაც საკუთრივ მოპოვებული მასალების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე. საქმეზე წინასწარ გამოძიებას აწარმოებს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი. ეს წინასწარი გამოძიება განსაკუთრებულ კონტროლზე აყვანილი ჰყავს თავად გენერალურ პროკურორს. გამოძიების შედეგებს მთელი საზოგადოება დაწვრილებით შეიტყობს.

ენახოთ, „მერას“ კიდევ ვინ მიუჯდება გვერდით!

**ბონდო გულიაშვილი.**

ისტორია

# ქრთამი ჯოჯოხეთს მუდამ იურვებს

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 6, 1983) მექრთამეობა ასეა განმარტებული: დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას და ავტორიტეტს. მექრთამეობის სახეებია: ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა. აქვე მითითებულია, რომ ქრთამის აღებად ითვლება, როცა სამსახურებრივი ქმედობის შესრულებისა და შეუსრულებლობისათვის თანამდებობის პირი პირადად ან შუამავლის მეშვეობით იღებს ფულს თუ სხვა მატერიალურ ფასეულობას, ან გამოელის რაიმე ქონებრივ გამორჩენას.

საინტერესოა, თუ როგორ განმარტავდნენ ქრთამს ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფები საბა ორბელიანი და დავით ჩუბინაშვილი.

საბა ორბელიანი ქრთამს განმარტავდა როგორც „საცოდავ ძღვენს“ და საილუსტრაციოდ უთითებდა ძველი აღთქმის ქართული თარგმანის შესაბამის ტექსტს. „საცოდავი“ ამ შემთხვევაში ნიშნავდა ცოდვის (დანაშაულის) ჩადენისათვის გამიზნულ ძღვენს.

თვით ლათინურიც, დიდი იურისტების ენა, ნათლად ვერ მიჯნავდა „საცოდავ“ ძღვენს მართებული, ზნეობრივად, კანონმდებლობით გამართლებული ძღვენისაგან.

ენახოთ, როგორ განმარტავდა ქრთამს პროფ. დავით ჩუბინაშვილი:

ქრთამი – „იძულებით და უსამართლოდ მირთმეული ძღვენი საქმის გასარიგებლად“, და საილუსტრაციოდ ძველი აღთქმიდან ისაია წინასწარმეტყველის ქართულ თარგმანს და აგრეთვე, ფსალმუნის (XIV, 5) სათანადო ადგილს უთითებს.

ისაია წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ: „რომელნი განამართლებენ უთნოსა ქრთამისათვის და სამართალსა მართალისასა აღიღებენ“ (5,23).

ფსალმუნის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ვინც ფულს ვახშით არ გასცემს და ქრთამს უდანაშაულოზე არ აიღებს, ამის მოქმედი არასოდეს წაფორხილდება“. (ფს. 14,5).

ფსალმუნის ავტორს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად მიაჩნდა უდანაშაულო ადამიანისაგან ქრთამის აღება.

მამასადამე, უკვე „ძველი აღთქმის“ თანადროულ ებრაულ სამართალში ქრთამი სასტიკად იყო დაგმობილი.

ესე იგი, იმ ხანებში, – ადრეფეოდალურ ხანაში, როდესაც ქართველები ბიბლიას თარგმნიდნენ ქართულად, ქრთამის აღებას უკვე ჰქონდა მნიშვნელობა დანაშაულებრივი ქმედებისა, თუმცა, ეს სიტყვა ჯერ კიდევ ტერმინად არ იყო ჩამოყალიბებული, რადგანაც ის სხვა აზრითაც იხმარებოდა.

ფეოდალურ საზოგადოებაში რანგით დაბალი პირის მიერ მასზე მაღლამდგომისათვის ძღვენის, საჩუქრის მირთმევა არ ითვლებოდა საძრახის ქმედებად. ქრთამი ამ შემთხვევაში ნიშნავდა კანონიერ გასამრჯელოს, მირთმეულ ძღვენს. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ქართული სამართლებრივი ხასიათის საბუთებში ზოგჯერ ქრთამი კანონიერ გასამრჯელოსაც ნიშნავდა.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეოთხე ტომში პროფ. ი. დოლიძემ გამოაქვეყნა XVI-XVIII საუკუნეების სასამართლო განჩინებები, სადაც ხშირად ქრთამი სწორედ კანონიერი გასამრჯელოს მნიშვნელობით არის ნახმარი.

ანალოგიური ვითარებაა „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“, რომელიც დაახლოებით XIV საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი.

„ვეფხისტყაოსანშიც“ ქრთამი იმავე გაგებით იხმარება, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, სადაოა მხოლოდ ერთი სტროფი:

„ვინ არ მისცემს ქადებულსა მოურავსა მოიმდურვებს,
თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს“...

შესაძლოა ამ სტროფის საფუძველია ქართული ანდაზა: „ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო“. არც ის არის გამორიცხული, რომ თვით ამ ანდაზის წყარო „ვეფხისტყაოსანი“ იყოს.

მოთა რუსთაველთან ეხედებით გამოთქმას ოქროს მრაველის შემძლეობის შესახებ.

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა“ (სტრ. 1197). მონებს (მსახურებს) ოქრო მეფისადმი შიშსაც კი ავიწყებს და მონები მეფისადმი მიცემულ პირობას ისე ივიწყებენ „ვითა ერთისა გზირისა“. ეს ცხოვრებისეული რეალობაა, მაგრამ დიდი პოეტი მას არ იწონებს.

1123 წელს შედგენილ ანდერძში დავით აღმაშენებლისა, ქრთამი იხსენიება უარყოფით კონტექსტში მძიმე დანაშაულის მნიშვნელობით. თუ ვინმე, დიდი თუ მცირე „ქრთამისათვის“ ანდერძს გააყალბებდა, ე. ი. ქრთამს ახლებდა და ანგარებით ანდერძს შეცვლიდა, მას ემუქრებოდა საშინელი წყევლა-კრულვა, უმძიმესი საეკლესიო სასჯელი. თვით ანდერძის ტექსტით მეფე ღმერთს ევედრებოდა, რომ მექრთამე „გონებისა, ცნობასა ხედვისაგან ოხერ ყავ“-ო. იგულისხმება, რომ ასეთ მექრთამეს საერო სასამართლოც მკაცრად განსჯიდა, საეარაუდოა, რომ სიკვდილით დასჯიდა.

1259 წელს შედგენილ კახა თორელის შეწირულობის საბუთში ჩაწერილია, რომ თუ წინამძღვარი ან სხვა ვინმე ქრთამს აიღებს, ასეთი პირი კრულია ღმრთისა პირითა (ქართ. სამ. ძეგლები. 11,61) და მონასტრის კრებულ ასეთ დამნაშავეს „გააბედითებს“. გაბედითება კი გაუბედურებასა და განადგურებას ნიშნავდა (დ. ჩუბინაშვილი).

თუ რომელიმე „მღდელი“ ბერი ქრთამს აიღებდა და „თავისი ქრთამისათვის მონასტერს სამსახურს დააკლებდა, მას მონასტრიდან გააძევებდნენ.

თანდათან ქრთამი უპირატესად უკანონო გასამრჯელოს მნიშვნელობით – „საცოდავი ძღვენის“ მნიშვნელობით იხმარება საბუთებში და სამართლის ძეგლებში. ასეთებია მეფე ერეკლეს პირველის ბრძანება (XVII ს. დასასრული). ბერძნულიდან ნათარგმნი სამართლის ძეგლი „ქორწინებისა თაეთათვის“.

**გიორგი ნადარეიშვილი.**

პოლიცია

# მიითვისეს 254 ათასი ლარი

სენაკის რაიონში პენსიების მითვისების გახმაურებული საქმის გამოძიების პროცესში, დანაშაულის ახალ-ახალი ფაქტები ცხადდება.

შსს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა მალხაზ ლიპარტიამ განაცხადა:

ამ დღეებში დამთავრდა რევიზია. დადგინდა რომ ბოროტმოქმედებმა მიითვისეს არა 137 ათასი ლარი, რაც პირველადი გამოძიების მსვლელობისას გამოვლინდა, არამედ 254 ათასი. გარდა ამისა, არამიზნობრივად დახარჯულია 40 ათასი ლარი. ე. ი. თითქმის 300 ათასი ლარი მოჰპარეს გაჭირვებულ ადამიანებს.

3 აგვისტოს სისხლის სამართლის საქმეზე ახალ გარემოებათა გამო (მითვისებული თანხის ოდენობის 137.000 ლარიდან 254.000 ლარად გაზრდასთან დაკავშირებით) ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა და დაკავებულ იქნა სენაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი ბუღალტერი ლამზირა ბიგვავა, რომელსაც ბრალი ედება სენაკის პენსიონერთა საპენსიო თანხებიდან 12.000 ლარის მითვისებაში.

წინასწარი გამოძიებისას ლამზირა ბიგვავამ აღიარა დანაშაული და იკისრა მითვისებული თანხის დაბრუნება. ამიტომ მის მიმართ არ განხორციელდა არანაირი აღმკვეთი ღონისძიება. ამის შემდეგ მან გადათქვა პირველი ჩვენება. ამიტომ გამოძიებამ, რაკი მას გააჩნია ლ. ბიგვავას მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი მასალები, დააყენა მისი დაპატიმრების წინადადება, რაც განხორციელდა კიდეც.

და კიდევ ერთი: მითვისებული 254 ათასი ლარი საპენსიო თანხიდან სამართალდამცავებმა უკვე ამოიღეს 45 ათასი ლარი.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

მეცნიერთა აზრი

# უნდა დამოკლდეს გრძელი ხელი

კორუფცია „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მიხედვით, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა და თანამდებობის პირთა მოსყიდვაა; თუმცა, ადამიანებს მოვლენების თავისებური ხედვა აქვთ. მაგალითად, პოლიტიკოსები და სწავლულები კორუფციას შეიძლება განსხვავებულად აღიქვამდნენ...

– როგორ წარმოგიდგებათ კორუფცია ჩვენთან და „სხვაგან“, რას მოელით დაწყებული ბრძოლიდან, თქვენ რას გააკეთებდით უპირველესად?

ამ კითხვებით მივმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორ ვიცე-პრეზიდენტს.

აკადემიკოსი ზურაბ თევზაძე:

– მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მდგომარეობა ისეთია, რომ სიტუაცია გამოსწორების დიდ არჩევანს არ გვიტოვებს. ამდენად, მე პირადად მივესალმები კორუფციასთან ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ აქ სრული წარმატება თითქმის შეუძლებელია. მივესალმები იმიტომ, რომ ნაწილობრივი წარმატებაც სასიკეთოდ დაეტყობა ქვეყანას.

ამ ურჩხულს უმაღლესი განვითარებისა და კეთილდღეობის ფაზაში მყოფი სახელმწიფოებიც ვერ სპობენ. კორუფცია იმის კორუფციაა, რომ უშუალოდ იურიდიული კანონმდებლობა მას ძნელად აფიქსირებს, თუნდაც დანაშაული აბსოლუტურად აშკარა იყოს; მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში არსებობს რაღაცნაირი შეთანხმება, – კორუფციონერებმა იციან, რომ მათ მხოლოდ გარკვეულ ნიშნულამდე ეპატიებათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ რაიმე წილს შეახვედრებენ საზოგადოებას. შეიძლება ჰელმუტ კოლის მაგალითი მოვიყვანოთ, რომელიც სასარგებლო ჰიროვნება გახლდათ და არის გერმანიისათვის, ეგებ მთელი მსოფლიოსთვისაც. თუმცა, ასე განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში ხდება.

**დევს ფული, წადი და აიღე, თუ გაქვს საკმარისად გრძელი ხელი. შესაფერისი ფონი ასეთი ხელისათვის არის ქვეყანაში დამკვიდრებული ზოგადი დაუსჯელობა თუ განუკითხაობა.**

საქართველოში კი, სამწუხაროდ, ერთმანეთს დაემთხვა ეგრეთ წოდებული ველური კაპიტალიზმის, ანუ კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ხანა და კორუფციის პერიოდი. კორუფციაზე მიტანილი იერიშებიდან მე მოველი მის შეზღუდვას იმ დონემდე, რა დონეზეც ეს არის დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებში.

აკადემიკოსი ზიზი სანაძე:

– ის, რასაც კორუფციას ვუწოდებთ, სინამდვილეში გაცილებით რთული ცნებაა, ვიდრე, მისი ინტერპრეტირება და შეფასება; არა იმიტომ, რომ ჩვენს მასმედიას, პოლიტიკოსებს თუ სხვა მოაზროვნე ადამიანებს ეს არ ესმით, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო თუ სახალხო ქონების მითვისების თვითონ ფორმები არის ძალზე ცალსახა და პრიმიტიული. სქემა დაახლოებით ასეთია: საიდანღაც მოდის მუქთა ფული (ეს შეიძლება იყოს ჰუმანური დახმარება, სესხი თუ ბანკში დაბანდებული, ყაჩაღისათვის მისაწვდომი თანხები) და უსაზღვროდ ამდიდრებს გრძელხელიანს; დევს ფული, წადი და აიღე, თუ გაქვს საკმარისად გრძელი ხელი. შესაფერისი ფონი ასეთი ხელისათვის არის ქვეყანაში დამკვიდრებული ზოგადი დაუსჯელობა თუ განუკითხაობა.

მოსახლეობაში, გნებავთ, ჩვენს ყოფიერებაში, ამას ვეძახით ქურდობას, ყაჩაღობას, შეიძლება სხვა სიტყვებიც მოვიგონოთ და საბოლოოდ მივალთ იმ ცნებამდე, რომელსაც კორუფციას ვუწოდებთ; ესე იგი, ეს არის არსებული სახელმწიფო თუ სახალხო ქონების მოხვეჭის ფორმა დაუსჯელობის ფონზე. ასე თუა, მამინ აღარ დავიწყებ დაპარაკს იმაზე, რომ სახელმწიფო მიყვანილია კატასტროფამდე, რომ გრძელხელიანი კაცები სხვადან საკმაოდ მკვიდრ სკამებზე და რომ მითვისების მრავალსახეობა თვალწინაა – ეს ყველამ კარგად ვიცით.

რა უნდა გავაკეთოთ? პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს ფონი, მოიჭრას გრძელი ხელი, შექანდეს სკამი...

**თამაზ ებანოიძე.**

სასამართლო

# „ხოცვა ნადირთა მცირეთა“

**სასამართლოს საქმიანობა სარკეა, რომელშიც თვალნათლივ ჩანს თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლა ამა თუ იმ დანაშაულთან, მათ შორის კორუფციასთან და როგორია მისი შედეგები. ამჯერად ამ „სარკეში“ ჩახედვა თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს დავით სულაქველიძეს ვთხოვეთ.**

**თავის არსებობის მანძილზე – წელიწადსა და სამ თვეში საოლქო სასამართლოს 311 სისხლის სამართლის საქმე განუხილავს, აქედან კორუფციული ხასიათისაა – 16.**

**ვინ არიან ეს კორუმპირებულები. ვინც ქვეყანას აქცევს და ხალხის ქონებას იჯიბავს?**

**უმუშევრები, ფოსტის მოხელეები, უბნის ინსპექტორები, თვეობით ხელფასის შემყურენი, რომლებიც საკუთარი თავისა და ოჯახის წევრთა ფიზიკური გადარჩენის მიზნით 50-დან 200 დოლარამდე „საკბილოს“ ძებნაში განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ. აქედან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 13-ს, 2 გამართლდა, ერთი საქმე შეწყდა.**

– სპეციალური სუბიექტების მიერ ჩადენილ დანაშაულებს და მექრთამეობის საქმეებს საოლქო სასამართლო იხილავს, მაგრამ ჩვენთან არც ერთი მსხვილი საქმე არ შემოსულა, – ამბობს ბატონი დავითი, – ჩემი აზრით, წერილმანი დანაშაულის აღსაკვეთად სოციალური რეფორმები უნდა განხორციელდეს, მსხვილ კორუფციაზე კი პირდაპირი დარტყმაა საჭირო. შეიძლება ამ უმძიმესი დანაშაულის ერთ-ორ წელიწადში მოსპობა ვერ მოხერხდეს, მაგრამ შემცირება და იმ მასშტაბებამდე დაყვანა, არსებით გაელენას რომ ვერ ახდენდეს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სოციალურ მდგომარეობაზე, შესაძლებელია, თუ იქნება პოლიტიკური ნება. ეს კი დღეს ცხადად იკვეთება. ახლახან სამართლებრივ და სასამართლო განვითარების პრობლემებზე ამერიკაში მსოფლიო კონფერენცია გაიმართა. იქ წარმოდგენილი იყო პრობლემების ფართო სპექტრი. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი იყო კორუფციასთან ბრძოლის პრობლემა, რომელიც მწვავედ დგას მრავალ ქვეყანაში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეებმა კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად მიიჩნიეს არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა და სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი ამ სახის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრება.

ჩვენში ეს ბრძოლა კოორდინებულ ხასიათს უნდა ატარებდეს და მასში აქტიურად უნდა ჩაებას აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურა. საბოლოო სიტყვა კი სასამართლო ხელისუფლებას ეკუთვნის. ჩვენ მზად ვართ კორუფციული ხასიათის საქმეთა განსახილველად და კანონის შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

**„დიდსა ვერ მოჰკლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“, – ასეთია სადღეისოდ ჩემი თვალით დანახული რეალური სურათი.**

**ამ სურათის დინამიკურობა კი მარტოოდენ ძალოვანი სტრუქტურების ნებაზე არ არის დამოკიდებული. ეს კარგად იცის ყველამ და გამოსავალიც ასევე ყველამ უნდა ვიპოვოთ!**

**ლეილა კოშკაძე.**

ერიჰაა!



# ზარალის ანაზღაურება არავის ადარდებს

**კარგა ხანია ტყის უკანონო ჩეხვაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ დღემდე ამ საქმეს საშველი არ დაადგა. საშველი არ დაადგება არც ხელმრუდეთა საკადრისად დასჯას და არც სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.**

1998-99 წლებში და წლევანდელ პირველ კვარტალში ხე-ტყის უკანონო ჩეხვის ფაქტებზე ქვეყანაში აღიძრა სისხლის სამართლის 600 საქმე. ზარალმა შეადგინა 740 ათასი ლარი. აქედან გამოძიებისას ამოღებულია 20 ათასი, ხოლო მოკვლევისას – 23 ათასი. ეს არის დაახლოებით 3-4 პროცენტი, ესე იგი – ზღვაში წვეთი. ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის ოლქებში, თბილისში, აჭარაში ამ მხრივ თითიც არ განძრეულა.

ხაშურის რაიონის სასამართლოს განაჩენით სსკ 178-ე მუხლის II ნაწილით ვინმე ტ. გოგოლაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით (ზარალი 1094 ლარი), ხოლო ნ. ნოზაძეს გამასწორებელი სამუშაოები 1 წლის ვადით (ზარალი 920 ლარი). ამათგან, არც ერთს ზარალი არ აუნაზღაურებია.

მაშ, რისთვის გვჭირდება ამდენი ან სისხლის სამართლის საქმეები, ან სასამართლოთა განაჩენები?

**ბადრი იაშვილი.**

ფაქტები

- ლიბერალურ-ეკონომიკური პარტიის თავმჯდომარის ბესო ჯუღელის აზრით, საქართველოში, რომელიც პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს შორის პირველ ადგილზეა კორუფციის მასშტაბით, სახელმწიფო ჩინოვნიკები უცხოელ ინვესტორებს ყველა პირობას უქმნიან ქვეყნიდან წასასვლელად.

ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, საქართველო პირველ ადგილზეა დსთ ქვეყნებს შორის, სადაც უცხოელი ინვესტორები ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეებს, ქრთამის სახით, საშუალო წლიური შემოსავლის 8 პროცენტს უხდიან. საქართველოს შემდეგ მოდიან სომხეთი – 6,8, აზერბაიჯანი – 6,5, უზბეკეთი – 5,7, ყირგიზეთი – 5,6, ყაზახეთი – 4,7, რუსეთი – 4,1 პროცენტით.

ბესო ჯუღელმა განაცხადა, რომ ამერიკელ ექსპერტთა მიერ დასახელებული ციფრები საკმაოდ მაღალია. უცხოელი ინვესტორი წლიური შემოსავლის ბრუნვიდან 40 პროცენტს ქრთამის სახით ადგილობრივ სახელმწიფო ჩინოვნიკებს უხდის, რაც ნებისმიერ ქვეყანას უარყოფით იმიჯს უქმნის.

- შსს-ს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის მიცემის წაქეზებასა და დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ამხილეს ქუთაისის შპს „სისხლის ბანკის“ მთავარი ექიმი, 63 წლის მედეა გვათუა და მთავარი ბუღალტერი, 34 წლის შორენა გაბრიაძე.

მათ „სისხლის ბანკში“ შემოწმებაზე მისული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციის თანამშრომლებისთვის ქრთამის მიცემაზე წააქეზეს ამ შპს-ს განყოფილების უფროსი, აგრეთვე, ბუღალტერიიდან ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩამოწერეს 2000 ლარი და მიითვისეს.

გამოძიებას აწარმოებს ქუთაისის საოლქო პროკურატურა.

- 31 ივლისს დუშეთის საგზაო პოლიციის მე-3 განყოფილებისა და საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული ჯგუფის თანამშრომლებმა ნატახტარის საგუშაგოზე დააკავეს ავტომანქანა ლაზი, რომელსაც მართავდა გორის რაიონის სოფელ შავშვებში მცხოვრები 40 წლის იუზა გიუნაშვილი. მის მგზავრებს გადაჰქონდათ 1460 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

საქართველოს რესპუბლიკა
№210. შაბათი. 5 აგვისტო. 2000 წელი.

პრესა

# ფრთხილად, კოლეგებო, ზურგს უკან საქართველოა!

(პირველი გვერდიდან)

იქიდან მოკიდებული, რაც ქართული ანბანი შეიქმნა, არ ყოფილა მსოფლიოში არც ერთი მწიგნობრული დარგი, რომ საქართველოს თავისი წონიანი სიტყვა არ ეთქვა. არც ჟურნალისტიკაა გამონაკლისი. მართალია, იგი ვერ შეედრება ათასხუთასწლოვან ქართულ ლიტერატურას, მაგრამ პრესა საქართველოში არც გუშინ გაჩენილა და არც ოქტომბრის რევოლუციის წლებში.

ქართულ პრესას და, შესაბამისად, ჟურნალისტურ საქმიანობას, ჩვენთან, არც მეტი არც ნაკლები, ას ოთხმოცი წლის ისტორია აქვს.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენ და ჩვენი წინამორბედი თაობები დიდი ილიას პუბლიცისტიკაზე, ფელეტონებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ წერილებზე ვიზრდებოდით.

ყველაფერი ეს თითქმის მთლიანად არის თავმოყრილი ამ საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოცემული მწერლის ხუთ ტომეულში, საიდანაც სამი სწორედ მისი მოღვაწეობის ამ სფეროს წარმოგვიდგენს.

აი, ის უპირველესი ჩირაღდანი, რომელიც გაგვინათებს იმ ბნელს, სადაც ზოგიერთები უამისოდ და ხელისცეცებით აპირებენ გზის გაკვლევას.

ქართულ ჟურნალისტიკას, ისე, როგორც ლიტერატურას, თავისი განვითარების საფეხურები აქვს და დღევანდელი გადასახედიდან რაც რაგინდ კრიტიკულად შევაფასოთ კომუნისტური იდეებისადმი მისი ერთგულება, გარკვეულ პერიოდებში იბეჭდებოდა ისეთი პუბლიცისტური და სხვა ჟანრის სტატიები და მასალები, რომლებიც პოლიტიკისაგან თავისუფალი იყო და თემის გახსნით, ჩანაფიქრისა და აზროვნების დონით ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ეხმაურებოდა.

ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს დიდი ომის ოთხი წელი, რაც ქართველი ჟურნალისტებისათვის ასეთი მშფოთვარე ცხოვრებისა და შემოქმედების ამოუწურავ თემად იქცა.

მეორე მსოფლიო ომი, ანუ როგორც საბჭოთა კავშირში უწოდებდნენ – დიდი სამამულო ომი, არამც და არამც ქართველებისთვის სხვისი ომი არ იყო. მისი მნიშვნელობის არასწორი ინტერპრეტაცია, რატომღაც, ამ ბოლო ათწლეულში გაჩნდა. ფაშიზმი აშკარად აცხადებდა თავის ზრახვებს – მსოფლიოს დამორჩილებას და არიული რასის გაბატონებას ქადაგებდა. საფრთხე მართლაც რეალური იყო.

რაც ელოდა საქართველოს ფაშიზმის გამარჯვების შემთხვევაში, ამაზე ნაცისტური წყაროები მოგვითხრობენ: კავკასიისა და, განსაკუთრებით, შავიზღვისპირეთის არიელთა მამულებად და დასვენების ზონებად გადაქცევა, ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (ვინც მოსამსახურედ არ გამოდგებოდა) ამოხოცვა, ან შუა აზიის ტრამალებისკენ გარეკვა.

დიახ, ეს არ იყო სხვისი ომი და ქართველს სხვებთან ერთად უნდა ებრძოლა იმ დიდი სახელმწიფოს დასაცავად, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ შვიდასი ათასი ომში წასული ქართველიდან ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა. საქართველომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა.

გაიღვიძა თუ არა სტალინის გულსა და შეგნებაში ძველი სამშობლოსადმი სიყვარულმა, არავინ იცის, მაგრამ ერთი კი ცხადია, მისი მითითებით ქართველები კავკასიონის მისადგომებთან, შავი ზღვის რუსეთის სასაზღვრო ჭიშკრებთან განალაგეს და უთხრეს: ზურგს უკან საქართველოა – იქ დარჩა თქვენი ოჯახი – მეუღლე, შვილები, და-ძმები და მშობლები. ვინძლო მტრებს სამშობლო არ გადაათელინოთ და არ შეაგინებინოთ წინაპართა საფლავები.

და მართლაც, ქართველები უმალ სიცოცხლეს დათმობდნენ, ვიდრე მტერს მამულისა და ოჯახის დასარბევად და ასაწიოკებლად გაუშვებდნენ.

დევიზმა: „ზურგს უკან საქართველოა!" – ასიათასობით ქართველი კავკასიონის ქედზე თუ მის მისადგომებთან, რუსეთის საზღვაო კარიბჭეებთან – სევასტოპოლსა და ნოვოროსიისკში ჩააწვინა. ისინი თავგანწირვის, გმირობის, არაადამიანური შესაძლებლობების საოცარ მაგალითებს უჩვენებდნენ. მტერი საქართველოში არ შემოუშვეს, თვითონ კი სამშობლოდან შორს ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი.

და საქართველო გადარჩა!

იტყვით, ამას ჩვენ არ მოვესწრებივართო! ომის მხილველი და ომის მონაწილე არც დღევანდელი უფროსი თაობის წარმომადგენლები ყოფილან, მაგრამ ყველაფერი ვიცით იმ გაყვითლებული და გაცრეცილი გაზეთებიდან, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხელიდან ხელში გადადიოდა და ჟურნალისტთა თაობების გულებს პატრიოტიზმითა და საქართველოს თავგანწირულ შვილთა სიყვარულით ავსებდა.

იმ სტატიების ავტორები მართლაც „დაკარგული თაობის" ჟურნალისტები იყვნენ, რომლებიც ფრონტის ხაზს წარამარა ჰკვეთდნენ, ცეცხლის გულში ტრიალებდნენ და საჭიროების ჟამს ტყვიამფრქვევს კალამზე ნაკლებ ოსტატურად არ იყენებდნენ.

არა, ეს პროპაგანდა არ იყო!

ჟურნალისტი, რომელიც ისტორიის ამ მონაკვეთს არ იცნობს, ვერაფრით გაიგებს, რა ტრაგედია დატრიალდა აფხაზეთში, იყვნენ თუ არა იქ მეომარი ჭაბუკები, ძველი თაობის ღირსეული მემკვიდრენი.

გმირებს ძიება უნდა, თემას – პოვნა.

აფხაზეთის მოვლენები ჟურნალისტურ ასახვას, განზოგადებას და ობიექტურ შეფასებას ელის.

ფაქტი კი უამრავია და ჟურნალისტს ფანტაზიისა და ოსტატობის გამოჩენისათვის შესანიშნავ საშუალებას უქმნის.

მრავალთაგან ერთი მაგალითი.

რამდენიმედღიანი შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ, ერთ-ერთ შენაერთს სხვა, დასვენებული ქვედანაყოფი შეანაცვლებს და დაღლილ ბიჭებს რამდენიმე საათით შესვენებისა და წაძინების უფლება მისცეს. ერთ-ერთ უწვერულვაშო ყმაწვილს, რომელსაც ვინ იცის როგორ ესაჭიროებოდა სასთუმალზე თავის მიდება, საომარი საჭურვლის ჩამოხსნის დროს, უცაბედად, სიჩქარეში ქამრიდან ხელყუმბარა მოწყდა და იატაკზე გაგორდა. ყმაწვილმა მყისვე შეამჩნია, რომ ხელყუმბარას დამცავი რგოლიც გამოვარდნილი ჰქონდა, აფეთქებამდე წამები რჩებოდა, აფეთქება კი ოთახში მყოფ სხვა მებრძოლებსაც გაანადგურებდა, ფანჯარაში მისი გადაგდება უფრო დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა, რადგან ეზოში ფრონტის ხაზიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ირეოდნენ.

ბიჭმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, მთელი სხეულით გადაეფარა ხელყუმბარას და საკუთარი უნებლიე შეცდომა, საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოასწორა. რა ძალამ უკარნახა ამ უწვერულვაშო გმირს დაეთმო სიცოცხლე, ოღონდ მის თანამებრძოლებს ზიანი არ მისვლოდათ!

ამ გმირობის გადმოსაცემად ორ-სამსტრიქონიანი მშრალი ქრონიკა საკმარისი არ იყო, მაგრამ არც ერთ ჟურნალისტს არ აღეძრა სურვილი, გაეგო მის შესახებ ბევრი, ეკითხათ თანამებრძოლებისათვის – როგორ იბრძოდა მათ გვერდით, გასცნობოდა მის უბედურ ოჯახს...

აი, ეს მაგალითი კი დღესაც მოსვენებას არ უნდა აძლევდეს ყველა იმას, ვინც ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხიდან უბედური დედის მონათხრობი მოისმინა:

ლტოლვილთა კოლონა აფხაზეთიდან გასვლას ჩქარობდა. ბავშვები, ქალები და მოხუცები, ფუთა და ჩანთაწამოკიდებულნი, ჩამოხეულ-ჩამოძონძილნი, დაღლილნი და დაქანცულნი ის-ის იყო აღმართს შეუდგნენ, რომ აფხაზი ბოევიკები წამოეწივნენ, მათთან ვიდეოკამერით იდგა კაცი, რომელიც ამ უღვთოდ წამებულთა სახეებს აფიქსირებდა. შემდეგ ამ კაცმა ერთ-ერთ ბოევიკს რაღაც წასჩურჩულა, ორიოდე წუთიც და გაისმა სროლა! აპარატიანი კაცის გვერდით მდგომი ბოევიკი ისროდა. ტყვია თორმეტი წლის ბავშვს მოხვდა (მოხვდა, თუ სპეციალურად მოახვედრეს), რომელსაც დედისთვის ხელი ჩაეჭიდა. ბავშვი წაიქცა. უბედური დედის კივილმა არემარე შეძრა. ამ ტრაგედიის გადმოცემა, ალბათ, შეუძლებელია. მერე ყველაფერი ასე წარიმართა: დედას „უფლება" მისცეს პირადად გაეთხარა შვილის სამარე (რა თქმა უნდა, სხვის დაუხმარებლად) და დაემარხა იგი. ზღვა მწუხარებამ ძალა გამოაცალა ქალს, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით სამარეც გაჭრა და ის ძვირფასი არსებაც მიაბარა მიწას, რომელიც რამდენიმე წუთის წინ სიცოცხლით სავსე იყო. ტელეოპერატორი ერთი წუთითაც არ მოშორებია უბედურების ადგილს და თითქმის შეუჩერებლად იღებდა ამ წარმოუდგენელ ტრაგედიასთან დაკავშირებულ ყოველ დეტალს. რამდენიმე დღის შემდეგ, რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი არხი გადასცემს რეპორტაჟს: „აფხაზი დედის ტრაგედია, რომელსაც შვილი ქართველებმა მოუკლეს".

ეჭვი არ არის, რომ ბოევიკმა ბავშვი ტელეოპერატორის დაკვეთით მოკლა, რათა „დაჩაგრული" აფხაზების ტრაგიკულ ბედზე მსოფლიოსთვის დამაჯერებლად მოეთხრო.

ამ ფაქტში მარტო დედა-შვილის ტრაგედია კი არ არის შემაძრწუნებელი, არამედ ამაზრზენია ჟურნალისტის მხეცად გარდაქმნა და ისიც მხოლოდ იმ საბაბით, რომ „კარგად მიგნებული, მართალი" რეპორტაჟით თავი გამოიჩინა არა მარტო საკუთარი შეფის წინაშე, არამედ იმ პოლიტიკოსების წინაშეც, რომლებმაც „აფხაზური კონფლიქტის" პროვოცირება მოაწყვეს შორს მიმავალი იმ შოვინისტური მიზნით, რომ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ხელს შეუშლიდა ქართველი ხალხის საუკუნოებრივ ოცნებებს თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. ამასთან, შეახსენებდა მათ, არ დაეთმოთ შავიზღვისპირეთის ეს ულამაზესი ნაწილი, რომელიც დიდი ქვეყნის ელიტური საზოგადოების დასვენებისა და გართობის კერად იყო ქცეული.

ასე მოქმედებდნენ ომის გამჩაღებლები და მათი აპოლოგეტები. ჩვენ კი დიდი ხნის განმავლობაში ინფორმაციული ომი იმიტომ წავაგეთ, რომ მსოფლიოს დროულად ვერ გავაცანით ზემოთ აღწერილი ტრაგედიის მსგავსი ფაქტები, ჭეშმარიტი სინამდვილე. იქნებ ცოტაოდენი „დამსახურება" ამაში ჟურნალისტური ტრადიციებისადმი გულგრილობას და უფროსი თაობის მემკვიდრეობის უგულებელყოფასაც მიუძღვის.

ისევ უნდა დავუბრუნდე ციტირებულ დიალოგებს.

სიბნელეში ხელის ცეცება კი არ არის საჭირო, არამედ სინათლეში თვალების ფართოდ გახელა, იმ გაყვითლებული გაზეთების კითხვა, სადაც ქართული ჟურნალისტიკის შედევრებია დაბეჭდილი, შემდეგ კი იმაზე ფიქრი და დაუოკებელი სურვილი, თუ როგორ ავიდეთ იმ მწვერვალებამდე.

ნოდარ ჯაველიძე.
(გაგრძელება იქნება).

---

**„საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა" პრივატიზებული იქნება**

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი გაიყიდება.

ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგების, საწარმოების რეაბილიტაციისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ნება დაერთო გაყიდოს „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწესდებო კაპიტალის 90 პროცენტი კომერციული კონკურსის ფორმით, სიმბოლური საწყისი ფასით – 1000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საქართველოს ქონების მართვის, ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ, დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი საკონკურსო პირობები საწარმოების საბიუჯეტო და სადაზღვევო ვალდებულებათა, სხვა კრედიტორულ დავალიანებათა სრული განაღდების გათვალისწინებით.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.

---

ბუნება

# მხოლოდ ენთუზიაზმით ტყეს ვერ დავიცავთ

(პირველი გვერდიდან)

ამასთან, ტყის ხანძრების ძირითადი გამომწვევი მიზეზი (90 პროცენტი) ადამიანია. ურბანიზაცია ტყისთვის ხანძარზე არანაკლებ საშიში მტერია. ამ მდგომარეობამ განაპირობა შექმნილიყო ტყის დაცვის სამსახური, რომელიც ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო გამკლავებოდა ხანძარს, მაქსიმალურად აეცილებინა იგი თავიდან და ეფექტურად ებრძოლა მის წინააღმდეგ. ამიტომაც დღეს ასეთი დიდი ხანძრები არ ჩნდება, თუმცა, მათი მთლიანად აცილება მაინც ვერ ხერხდება.

უწინარესად გადამწყვეტია ტყის ხანძრის პროფილაქტიკა. აშშ ამისთვის საჭირო პროპაგანდაზე ყოველწლიურად 55 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს. მართალია, აშშ ტყეების საერთო ფართობი (308,4 მლნ. ჰა) ასჯერ აღემატება საქართველოსას, მაგრამ აღნიშნული თანხის ასევე შესაბამისი თუ არა, გარკვეული თანხით დაფინანსებული პროფილაქტიკური ღონისძიებები ყოველწლიურად მაინც ხორციელდებოდა: ხანძარსაშიშ პერიოდში წარმოებდა ტყეების ავიაპატრულირება, თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკვრებოდა მხატვრულად გაფორმებული ხანძარსაწინააღმდეგო ანშლაგები, შემოისვენებოდა ხანძარსაშიში ტყის უბნები, ინიშნებოდა დროებითი მეხანძრე დარაჯები, როგორც წესი, წინასწარ დგებოდა და რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების სხდომაზე განიხილებოდა და მტკიცდებოდა სატყეო მეურნეობის ტყის ხანძრებთან ბრძოლის პროფილაქტიკური და ოპერატიული ღონისძიებების გეგმები, იქმნებოდა ტყის ხანძრებთან მებრძოლი მოხალისე რაზმები, ხანძარსაშიშ პერიოდში ეწყობოდა საუბრები, ტელე და რადიოგადაცემები, იკეტებოდა ტყეში შესასვლელი გზები, ხანძარსაშიშ უბნებამდე წინასწარ კეთდებოდა მისასვლელი, სატყეო მეურნეობები მარაგდებოდა ბარებით, ნიჩბებით, ვედროებით, ფოცხებით, ცულებით, თოხებით და ხანძართან საბრძოლველი სხვა წვრილმანი ინვენტარით, სათვალთვალო პუნქტებთან ეწყობოდა სადღეღამისო მორიგეობა და ა. შ. საამისოდ სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფდა სოლიდურ თანხას, იმის მიუხედავად, წელიწადი გვალვიანი იყო თუ უხვნალექიანი.

1990 წლიდან ჩვენში ტყის დაცვის საქმიანობა თანდათან მინელდა და დღეისათვის თითქმის შეწყდა, შეჩერდა ტყის მოვლა-გაშენების სამუშაოებიც. იგი საიმედო მეთვალყურისა და სახელმწიფოსაგან საკმარისი ქომაგობის გარეშე დარჩა. თითქოსდა მნიშვნელოვანი საქმეები კეთდება – განისაზღვრა სატყეოს პოლიტიკა და სტრატეგია, შედგა და დამტკიცდა სატყეო მეურნეობის ალორძინებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა, მიღებულია ტყის კოდექსი, დღედაღამ მუშაობს სატყეო დეპარტამენტი, დარგის განვითარების მიზნით გამოცემულია პრეზიდენტის არაერთი ბრძანებულება, მეტყევეები ყოველთვის გრძნობენ პრეზიდენტის მხარდაჭერასა და თანადგომას და ა. შ. მაგრამ ხელშესახები შედეგები არ ჩანს: შეწყდა ტყეების გაშენება; არ წყდება უნებართვო ჭრები, თუმცა, მათი რაოდენობა თანდათან მცირდება; გრძელდება მრავალი სე-ტყის სახელმწიფოსათვის არცთუ მომგებიანი გადინება; სამართალდამცავი ორგანოები გაუმართლებლად აჭიანურებენ ხე-ტყის უკანონოდ მჭრელთა საქმეების განხილვას; დარგში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 1990 წლიდან დღემდე 9444 კაცით, ანუ 72,8 პროცენტით შემცირდა; მინიმალურია ტყის დაცვის მუშაკთა შრომის ანაზღაურება, და ამასაც თვეობით ვერ ღებულობენ; იმრავლა ტყის ხანძრებმა, რომლებსაც ადრე სწრაფად აქრობდნენ, ამჟამად კი ზარალი დიდია. მარტო მცხეთა-თიანეთის რეგიონში წლეულს 10-ზე მეტი ტყის ხანძარია რეგისტრირებული და ა. შ.

მიზეზები? – თვითონ განსაჯეთ: საქართველოს სატყეო მეურნეობის ალორძინებისა და შემდგომი განვითარების 1997-2005 წლების სახელმწიფო პროგრამით, რომელიც მთავრობამ განიხილა და მოიწონა, წლეულს დარგის ალორძინებისათვის, მინიმალური გაანგარიშებით, უნდა გამოყოფილიყო 15 მილიონ 400 ათასი ლარი. ფაქტობრივად გამოიყო მხოლოდ 1.982 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის სეკვესტრირებასთან დაკავშირებით კიდევ შემცირდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო წინა წლებშიც: 1998 წელს

არ წყდება უნებართვო ჭრები, თუმცა, მათი რაოდენობა თანდათან მცირდება; გრძელდება მრავალი ხე-ტყის სახელმწიფოსათვის არცთუ მომგებიანი გადინება; სამართალდამცავი ორგანოები გაუმართლებლად აჭიანურებენ ხე-ტყის უკანონოდ მჭრელთა საქმეების განხილვას.

უნდა გამოყოფილიყო 13.842 ათასი ლარი, გამოიყო 1.659,0 ათასი, 1999 წელს – 11.530 ათასი, გამოიყო 2.814. არადა, 1989 წელს სატყეო დარგის დაფინანსებისთვის გამოყოფილი იყო 31.996 ათასი მანეთი (მათ შორის ტყის დაცვისთვის – 3 მილიონ მანეთამდე), რაც მთლიანად იქნა ათვისებული.

ერთ ტყის მცველზე, რომლის თვიური ხელფასი 20 ლარს შეადგენს, დასაცავად მოდის 1200-1500, ხშირად 4.500 ჰექტარი ტყე, ანუ თითქმის სან-მარინოს რესპუბლიკის ტერიტორიის (6100 ჰა) ტოლი ფართობი. ტყის მცველთა მთლიან შემადგენლობას დღემდე არ მიუღია 1998 წლის 4 თვის, 1999 წლის 5-6 თვის და მიმდინარე წლის 5 თვის ხელფასი. ფაქტობრივად, ტყეების დაცვა ენთუზიაზმის დონეზეა. ლაპარაკიც ზედმეტია თუნდაც წვრილმანი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენაზე, მინერალიზებული ზოლების მოწყობაზე, მეხანძრე დარაჯების დაქირავებაზე, ხანძარსაწინააღმდეგო ანშლაგების შეძენა-მოწყობაზე. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში უსახსრობის გამო ტელეფონებიც გამორთულია და ტყის ხანძრების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გაძნელებულია... ვინაიდან ტყის დაცვისათვის ეს აუცილებელი ღონისძიებები დიდი ხანია „სეკვესტრირებულია", პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ვერ დალანდავთ ტყის ხანძრებისაგან დაცვის პროპაგანდის ელემენტებს. აქ, ჩვეულებრივ, მსჯელობენ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ იჩეხება ტყე, როგორ გააქვთ ის საზღვარგარეთ, როგორ ცუდად მუშაობენ ტყის დაცვის მუშაკები და ა. შ. ყველამ (და განსაკუთრებით მწვანეთა მესვეურებმა) კარგად უნდა იცოდნენ, რომ ტყის ყველა სახის ღაზიანება ნამდვილად მოუთმენელია და დასაგმობი, მაგრამ თუ ტყის გაჩეხვა მხოლოდ აკნინებს ტყის ხარისხს და იგი თუნდაც ცუდ, მაგრამ მაინც ტყედ რჩება, არ ისპობა, ტყის ხანძარი ნამდვილი უბედურებაა, რომელიც განურჩევლად ანადგურებს თურქეთში გასაზიდად ვარგის სამასალე ხესაც და შეშასაც, ფიჩხსა თუ ხილ-კენკრას; მაგრამ ტყე მარტო შეშა და ფიცარი ხომ არაა – ტყის ხანძარი სპობს როგორც მერქნიან, ისე უმერქნო მცენარეებს, ტყის ე. წ. მკედარ და ცოცხალ საფარს, მის ჰუმუსს, ჭიანჭველებისა და ფრთოსანთა ბუდეებს (ვისაც „ქეთოს მერცხალი" არ უსწავლია, ამ უბედურების სიღრმეს ვერ ჩასწვდება), ტყის წვრილფეხა ცხოველებს და მათ სოროებს, ქვეწარმავლებს... ამიშლებს ნიადაგის ნოყიერ ზედაპირს, რომელიც ეროზიის კერა ხდება და პოტენციურად კლდე-ღრედ შეიძლება იქცეს. ტყის ხანძარი ხომ, უწინარესად, ყველაზე მშრალ ადგილებში ჩნდება, სადაც ტყის თვითაღდგენა (ხელოვნური აღდგენა) მეტად გაძნელებულია. ერთი სიტყვით, ხანძრით გამოწვეული ზიანი კოლოსალურია, მრავალწახნაგა და, ზოგ შემთხვევაში, გაუფასებელიც, იანგარიშა კი ვინმემ მარტო მცხეთა-თიანეთის რეგიონში წლეულს მომხდარი ტყის ხანძრებით მიყენებული ზარალის მეათასედს მაინც თუ შეადგენს ის ეკონომია, რომელიც ტყის დაცვაზე გათვალისწინებული თანხების „სეკვესტრირებით" დარჩა სახელმწიფოს?

1990 წლიდან ჩვენში ტყის დაცვის საქმიანობა თანდათან მინელდა და დღეისათვის თითქმის შეწყდა, შეჩერდა ტყის მოვლა-გაშენების სამუშაოებიც. იგი საიმედო მეთვალყურისა და სახელმწიფოსაგან საკმარისი ქომაგობის გარეშე დარჩა.



ჩვენი ტყე მარტო მერქანი როდია, რომლის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ოდენობით საზღვრავს ზოგიერთი ეკონომისტი და ხელმძღვანელი ჩვენი ტყეების ღირებულებას, მისი „თვითანაზღაურების" უნარს. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის „ტყემ თავისი თავი უნდა ირჩინოს", მან ქვეყანას „დიდი შემოსავალი" უნდა მისცეს. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ენით მსჯელობა, საბაზრო მექანიზმები უპირატესად ვრცელდება იმ პროდუქციაზე და მომსახურებაზე, რომელსაც აქვს საბაზრო ღირებულება, რომელთა გატანა ბაზარზე შეიძლება და რომელთა რეგულირება შეიძლება საბაზრო ფასებით, მაგრამ არის სარგებლობის და მომსახურების გარკვეული სფერო, რომელსაც ვერ გასცემ ცალკეულ მომხმარებელზე, ვერ გაიტან ბაზარზე, ვერ გაყიდი, ფასსაც ვერ დაადებ: ესაა ე. წ. „საზოგადოებრივი სარგებლობა", რომელსაც არა აქვს საბაზრო ღირებულება, რომელზედაც ბაზარი არ რეაგირებს.

ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ტყის მრავალი სოციალური და დაცვითი ფუნქცია, მისი ბიომრავალფეროვნება და სხვა. უნიკალური და მთიან რელიეფზე განფენილი, ნაკლებად მდგრადი ქართული ტყის მართვა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ბერკეტებით მისთვის დიდად საზიანო შეიძლება გახდეს; ამიტომ ამ შემთხვევაში ტყის მართვაში, ისევე, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, მან უნდა ითამაშოს მარეგულირებლის როლი. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ყოველწლიურად სოლიდურ დაფინანსებას გამოუყოფს ტყის კერძო მესაკუთრეებსაც კი, ოღონდ მათ ტყეს კარგად მოუარონ, იგი სხვა სავარგულად არ გადააქციონ. ამ თვალთახედვითაა შედგენილი ჩვენი ტყეების ალორძინებისა და განვითარების პროგრამა, რომლის მიხედვითაც ტყე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ერთი მესამედის უკუგებასღა იძლევა. ამ პრინციპებზეა შედგენილი ჩვენი ტყის კოდექსიც, ჩვენი ტყეების მართვის სტრატეგია და ტაქტიკა და ეს ყველაფერი წინასწარაა გააზრებული ჩვენი ტყეების შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენი ტყეების უდიდესი ნაწილი უაღრესად ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი, კლიმატის მარეგულირებელი და სხვა ძვირფასი, ე. წ. აუწონავი ფუნქციების მატარებელია; ტყეების სოლიდური ნაწილი კურორტების ირგვლივაა განლაგებული და მათ ნორმალურ ფუნქციონირებას ემსახურება; გვაქვს ნაკრძალები, ძვირფასი ტყის მასივები, ეროვნული პარკები და სხვა განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიები, სადაც ჩვენი უნიკალური ფლორის და ფაუნის ბიომრავალფეროვნებაა განვითარებული. ქალაქების დასვენებას და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება მწვანე ზონის ტყეები; სუბალპურ ზონაში გამოყოფილია ტყის ზოლი, სადაც ტყეთსარგებლობა კატეგორიულად აკრძალულია და ა. შ. და ა. შ.

ჩამოთვლილი კატეგორიის ტყეებში, მათი მდგომარეობის სათანადოდ შენარჩუნების მიზნით, ზოგან მთლიანად აკრძალულია ტყეთსარგებლობა, ზოგან კი მხოლოდ მოვლითი ღონისძიებების განხორციელება შეიძლება. უტყეოდ წარმოუდგენელია ჩვენი საირიგაციო ქსელის, ჰიდროელექტროსადგურების, კურორტების, მთის სოფლების ნორმალური ფუნქციონირება. სარეკრეაციო ტყეების ლამაზ პეიზაჟებს, ტყის დაცვით ფუნქციებს, ბიომრავალფეროვნებას ბაზარზე ვერ გაიტან, ვერ გაყიდი. ამიტომ ამ ფუნქციების მატარებელი ტყეები იაფფასიანია?

საქართველოს სამი მილიონი ჰექტარი ტყიდან მხოლოდ 600-700 ათას ჰექტარ ტყეში შეიძლება მერქნით სარგებლობა, საიდანაც „შემოსავალს" მივიღებთ, დანარჩენი არ დავიცვათ? არ მოვუაროთ? მათ დამცველებზე არ ვიზრუნოთ, ხელფასი არ მივცეთ? ეს 600-700 ათასი ჰექტარი ტყე კი „შეინახავს" თავის თავს, მაგრამ ვერ შეინახავს ოთხჯერ მეტ ტყეს, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები აკისრია. თუ სახელმწიფომ არ იზრუნა მათზე მომავალში, როდესაც სახელმწიფო ძალას მოიკრებს, ალბათ, რეალურად დადგება „არასაექსპლოატაციო" ტყეებიდან შემოსავლის აკრეფის საკითხი: – სარწყავმა ქსელმა, ქალაქის წყალმომარაგებამ, ჰიდროელექტროსადგურებმა, კურორტებმა, მინერალური წყლებით და ტყის ხილით მოვაჭრეებმა და სხვებმა, ვინც ტყის სიკეთით სარგებლობს, თავისი წილი უნდა დაუთმოს მას, მაგრამ ეს არ იქნება დღეს და ხვალ, მანამ ეს საკითხები არ იქნება სათანადოდ შესწავლილი და სათანადო კანონმდებლობით დარეგულირებული.

და ვის ვანდობთ ამ აურაცხელ სიმდიდრეს, ვინ იცავს მას? უთოფო, უურმო, უცხენო და უხელფასო ტყისმცველი, რომელსაც იმდენს არ ავაწვდით, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყიდოს და ტყეში ფეხშიშველა და უსაგზლოდ არ წავიდეს (საერთოდ თუ წავა). წინასწარ ხომ ვიცით, იგი კბილებამდე შეიარაღებულ ბრაკონიერს ვერ გადაუდგება, ხანძრის გაჩენს ვერ დაიჭერს.

დიდი ილია ბრძანებდა: „ტყის მოვლა-გაშენება და დაცვა, ეს არ არის რომელიმე კერძო პიროვნების საქმე, ეს მთელი ერის საქმეა. ვისაც ერის მომავლისათვის გული არ შესტკივა, ის, რასაკვირველია, ხეებს უღვთოდ გააჩანაგებს, გაკაფავს და ცეცხლსაც კი წაუკიდებს". გავხდეთ ჩვენი ერის მომავლისათვის მზრუნველი, შევუნახოთ ტყე შვილებს, ვიყოთ მისი ქომაგი.

ტიტე ჩიქოვანი,
მეტყევე-ინჟინერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

მორიგე რედაქტორის გულისტკივილი

# ყური მიუგდეთ შვილმოკლულ მამას



ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ჟურნალ „ომეგადან" გადმობეჭდეთ ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერი „როცა სიცილი ცრემლზე მწარე არ არის..." რამაც, სამწუხაროდ და რედაქციისთვის მოულოდნელად, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მშობლების უკმაყოფილება გამოიწვია და გუშინვე, საღამოს, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ დობორჯგინიძე გვეწვია.

მისი საუბრიდან იმ „ერთი ქართული არხის" შესახებაც შევიტყვეთ და იმ „უნიჭიერესი ჟურნალისტების" ვინაობაც გავიგეთ, ვინც ამ არხის გარშემო „მოიყარეს თავი".

საამაყოა, როცა ცნობილი პოეტი ნიჭიერს გიწოდებს. მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ერთგვარი ავანსი იყო. როგორც ჩანს, არც ბატონმა ტარიელმა იცოდა ის, რის შესახებაც გუშინ ბატონმა ვლადიმერმა ჩვენ გვითხრა: თურმე, იმ ცხრა საათის საინფორმაციო გამოშვების დაწყებამდე საინფორმაციო სამსახურის უფროსთან მისულა და შევედრებია, ნუ გადასცემთ ეთერში ინფორმაციას, რომ 8 თებერვალს აფხაზეთიდან თბილისში გადმოსვენებული ქეთილ შარტავასთან ერთად მოკლული ორი მებრძოლი კი არა, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სხვა დაღუპულთა ცხედრები აღმოჩნდაო.

კარგიო, მოუსმინა შვილმოკლული მამის თხოვნა „უფროსმა" და, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა გააკეთა?

მოდით, ბატონ ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერი დავიმოწმოთ:

„აი, ამ თემაზე გაისაუბრეს საღამოს ცხრა საათის საინფორმაციო გამოშვების ბოლოს დიქტორებმა: ეს ის ცხედრები არ აღმოჩნდაო, იციენეს, მაგრამ რა იციენეს! მერე ღამის საინფორმაციო გამოშვების ანონსი გაგვაცნეს, სწორედ ამ თემაზე გვექნება საუბარიო, და ისევ იციენეს, იკისკისეს".

მიჭირს სხვის ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმზე წერა.

მით უფრო, – კოლეგის ნიჭიერებაზე.

და მით უფრო, – მის პროფესიულ დეფორმაციაზე.

მე ახლაც არ დავასახელებ იმ ტელეარხსა და იმ წამყვანებისა თუ მათი უფროსის გვარს.

ვიცი, ისინი წაიკითხავენ ამ გამოხმაურებას და, ალბათ მიხვდებიან, რომ, არ შეიძლება არ შეისმინო შვილმკვდარი მამის თხოვნა.

ამ თხოვნას კი, როგორც ბატონმა ვლადიმერ დობორჯგინიძემ თქვა, ისიც ამყარებდა, რომ, თურმე აფხაზურ მხარეს უნებლიე შეცდომა მოსვლია. სინანულითაც უღიარებიათ ეს.

მაშ, ჩვენ რატომ ვიცინით? რა გვიხარია? ნუთუ შეიძლება, სხვის ტკივილზე ვიკისკისოთ და ასეთი სამწუხარო ფაქტი კომედიად გადავაქციოთ?

ამას აღარ ჰქვია პროფესიონალიზმი, არც – ნიჭიერება.

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან" ამოღებულ დიდებულ ფრაზას შევახსენებ ჩემს ტელეკოლეგებს: „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე".

ვწუხვარ, რომ ამ ჩანაწერის ჩვენს გაზეთში გადმობეჭდვით, უნებლიედ ჭრილობა გავუხსენით შვილმკვდარ მშობლებს.

და მჯერა, კვლავაც გაგრძელდება აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება.



GCF

# დაფა ზიური

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

№4 (41)

სტამბოლი — 2000

# ოლიმპიადის მოლოდინში



27 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე სტამბოლში გაიმართება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე დამტკიცდა ნაკრები გუნდის შემადგენლობა.

ქალთა ნაკრებში პერსონალურად მიწვეულ დიდოსტატებს **მაია ჩიბურდანიძეს, ნანა იოსელიანს** და **ნინო ხურციძეს** დაემატა **ნინო გურიელი**. გუნდის კაპიტანია **დავით გურგენიძე**.

ვაჟთა ნაკრებში იასპარეზებენ დიდოსტატები **ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, გიორგი ყაჭეიშვილი, თამაზ გელაშვილი** და 17 წლის საერთაშორისო ოსტატი **ბაადურ ჯობავა**. გუნდის კაპიტანია **კახი ჩიგოგიძე**.

ოლიმპიადაზე დელეგაციას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **ნონა გაფრინდაშვილი** უხელმძღვანელებს.

ნაკრები გუნდის წევრები 14 ოქტომბრიდან ბათუმის ჭადრაკის სასახლეში გაივლიან დასკვნით შეკრებას, 26 ოქტომბერს კი თურქეთში გაემგზავრებიან.

ამჟამად გუნდის წევრები სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ.

მაია ჩიბურდანიძემ წარმატებით იასპარეზა გერმანიაში წრიულ ტურნირში.

ნანა იოსელიანმა „სენიორთა და ქალბატონების“ ტრადიციულ მატჩ-ტურნირში ვაჟთა შორის დიდოსტატის ბალი მოიპოვა.

გაგვახარა ნინო ხურციძემ. მისმა ესპანეთში თამაშმა ოლიმპიადის წინ ოპტიმისტურად განგვაწყო.

ნინო გურიელი და ზურაბ სტურუა შვეიცარიის ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას და თბილისში 18 აგვისტოსთვის დაბრუნდებიან.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ესპანეთში საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა და დღეისთვის იტალიის ძალიან ძლიერ წრიულ ტურნირში ასპარეზობს.

გია გიორგაძე დღეს ესპანეთში იმყოფება. ის ჯერ ესპანეთის კლუბების ჩემპიონატში თავის კლუბს დაეხმარა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, რუსთაველი თამაზ გელაშვილი ჰოლანდიიდან თბილისში დაბრუნდება და სექტემბერში ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გიორგი ყაჭეიშვილთან და მაია ლომინეიშვილთან ერთად სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე იასპარეზებს.

ამ ტურნირების შესახებ უფრო სრულ ინფორმაციას „ლაზიერი“ დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.

ვულოცავთ

**საქართველოს მოჭადრაკეთა ოჯახში დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატთა რაოდენობა ამ დღეებში ოთხი ერთეულით გაიზარდა. – ფიდემ, სოფიკო ტყეშელაშვილს და ალექსანდრე დგებუაძეს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა, ხოლო ბაადურ ჯობავასა და ზვიად იზორიას – საერთაშორისო ოსტატისა.**

# ემატოს!

### სოფიკო ტყეშელაშვილი



ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. 21 წლისაა. სწავლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჭადრაკის თამაში ექვსი წლისამ ისწავლა. თორმეტი წლისამ პირველად მოიპოვა თავის ასაკში ევროპის ჩემპიონობა და მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალი, სხვა დროსაც არაერთხელ მიუღწევია მსგავსი წარმატებებისთვის. ოცი წლის მოჭადრაკეთა შორის ორჯერ იყო ევროპაში უძლიერესი.

### ალექსანდრე დგებუაძე



დაიბადა ზუგდიდში 1971 წელს. იქვე ეზიარა ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას. 1990 წელს 19 წლისამ საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა. მომდევნო წელს მესამე ადგილზე გავიდა. 1993 წელს უარესი კოეფიციენტით ვერცხლის მედალს დასჯერდა. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს და ერთ-ერთი საჭადრაკო კლუბის სპორტულ ღირსებას იცავს.



### ბაადურ ჯობავა



დაბადებულია 1983 წელს დაბა ჯვარში. წლების განმავლობაში მისი მშობლები გალში ცხოვრობდნენ. აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების შემდეგ მთელი ოჯახი უკრაინაში გაიხიზნა. იქ აიმაღლა თამაშის კლასი ბაადურმა. იყო ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ჩემპიონი მამაკაცებს შორის. მეოთხე წელიწადია საქართველოში დაბრუნდნენ. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ოთხჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა სხვადასხვა ასაკში. მარშან ბათუმის გუნდურ ევროპის ჩემპიონატში საქართველოს მე-2 ნაკრების პირველ დაფაზე ითამაშა. ახლახან ჩარიცხეს საქართველოს ოლიმპიურ გუნდში, რომელიც ოქტომბერში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე იასპარეზებს სტამბოლში. ბაადურ ჯობავა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელია.

### ზვიად იზორია

ხონელი ჭაბუკი დღეს საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატია, 1984 წელს არის დაბადებული. ჭადრაკის თამაში 10 წლისამ ისწავლა. 1996 წელს საქართველოს პირველობაზე თორმეტწლიანებში მე-2 ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს თოთხმეტწლიანებშიც ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო ევროპის პირველობაზე ტალინში მე-3 ადგილი დაიკავა. 1998 წელს თოთხმეტწლიანებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ევროპის პირველობაზე რუსეთელ ალექსანდრ რიაზანცევთან ერთად I-II ადგილები (კოეფიციენტით – II) გაიყო. 1999 წლის თბილისის ჩემპიონია მამაკაცთა შორის.

ზვიად იზორიასთვის წარმატებული გამოდგა წლევანდელი წელიც. გაზაფხულზე ოცწლიანთა საქართველოს პირველობაზე II ადგილი დაიკავა, ჩემპიონი გახდა თექვსმეტწლიანებში, მოსკოვში კასპაროვის თასი მოიპოვა. ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში მე-2 ადგილზე გავიდა, უმაღლეს ლიგაში კი მეექვსე იყო. ბაქოში გუნდურ საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდებს შორის საქართველოს ნაკრებმა მე-2 ადგილი დაიკავა, ზვიად იზორიამ პირველ დაფაზე ყველას აჯობა. მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელსაც ერევანმა უმასპინძლა. ახლახან იგი ილ. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

უკანასკნელ საათს

# აზმაიფარაშვილი მესამე

იტალიის ქალაქ მონტეკატინში 3 აგვისტოს დამთავრდა მე-17 კატეგორიის ტურნირი დიდოსტატების ალექსეი შიროვის, ვასილი ივანჩუკის, ევგენი ბარეევის, ზურაბ აზმაიფარაშვილის, სერგეი რუბლევსკის, ჯერონ პიკეტის, არტაშეს მინასიანის და სმბატ ლპუტიანის მონაწილეობით.

შვიდ ტურში ივანჩუკმა 5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ბარეევი. აზმაიფარაშვილი 4 ქულით მესამე ადგილზეა. ზურაბმა მოუგო შიროვს, ლპუტიანს, დამარცხდა პიკეტთან, სხვა ოთხი პარტია კი ყაიმით დაამთავრა.

# ლიდერობს ლომინეიშვილი

როდევისში მიმდინარეობს გერმანიის ქალთა ღია ჩემპიონატი. მასში 41 მოჭადრაკე მონაწილეობს. 6 ტურის შემდეგ ხუთი ქულით დაწინაურდა მაია ლომინეიშვილი.

ყურადღება!

# კალენდარში ცვლილებაა

ამ დღეებში **ფიდემ** ცვლილება შეიტანა საერთაშორისო სპორტულ კალენდარში. მსოფლიო ჩემპიონატი 10-18 წლის ასაკის მოჭადრაკეთა შორის 10-24 ოქტომბერს გაიმართება ესპანეთის ქალაქ ოროპესაში. ტურნირის ვადები დაემთხვა ევროპის ჩემპიონატს ამავე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. რომელსაც 1-10 ოქტომბერს საბერძნეთის ქალაქი კალითეა უმასპინძლებს.

კალენდარში ამ ცვლილებამ იძულებული გახადა ზოგიერთი ჩვენი ნორჩი ჩემპიონი არჩევანი გააკეთოს ამ ორ ტურნირს შორის.

ევროპის ჩემპიონატზე

# აღზევება

ფიდეს უკანასკნელ გადაწყვეტილებებს ევროპის ჩემპიონატებისა და მსოფლიო თასების შემოღების შესახებ (როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის) საჭადრაკო სამყაროში ინტერესითა და მოწონებით შეხვდნენ: რაც მეტი ასეთი მაღალი დონის შეჯიბრება იქნება, უკეთესია...

ევროპის პირველობა ვაჟთა შორის იტალიის ქალაქ სენტ-ვინსენტში გაიმართა. მართალია, მას ცოტათი ხელი დორტმუნდის სუპერტურნირმა შეუშალა, სადაც გაემგზავრნენ ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, მაიკლ ადამსი, პეტერ ლეკო, მსოფლიო ჩემპიონი (ფიდეს ვერსიით) ალექსანდრ ხალიფმანი და სხვები. ამის მიუხედავად, სენტ-ვინსენტში 120-მა დიდოსტატმა და ოსტატმა მოიყარა თავი. საინტერესოა ისიც, რომ 16 დიდოსტატს 2600 და მეტი პუნქტი ჰქონდა „რეიტინგ-ლისტში“.

ევროპის პირველობა შვეიცარული სისტემით 11 ტურად გაიმართა. წინასწარ, ფავორიტების ჯგუფს მიაკუთვნებდნენ ყოფილ მოსკოველს (საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეს, ახლა კი პოლონეთის № 1 მოჭადრაკეს) მიხალ (მიხაილ) კრასენკოვს, ისრაელის ნაკრების წევრს, ყოფილ მინსკელ ილია სმირინს, ზურაბ აზმაიფარაშვილს, ბულგარელ კირილ გეორგიევს, მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტებს ალექსანდრ ბელიავსკისა (ყოფილი ლვოველი, ახლა სლოვენიის წარმომადგენელია) და იან ტიმანს (ჰოლანდია). პროგნოზები ამჯერადაც მცდარი გამოდგა.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა ტურნირი ორი მოგებით დაიწყო, 5 ტურის შემდეგ 4 ქულა ჰქონდა და ამ მომენტისათვის პირველი ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. მეექვსე ტურში კრასნოდარელ პაველ ტრეგუბოვთან შეხვედრაში აზმაიფარაშვილმა უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ მოგებისაკენ პირდაპირი გზა არ ჩანდა.

იხ. მე-6 გვ.

## ტურნირები



### ნანა იოსელიანმა ბრწყინვალედ ითამაშა

მიუნხენში (გერმანია) დამთავრდა ტრადიციული, რიცხვით მეცხრე მატჩ-ტურნირი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალებსა და გამოჩენილ ვეტერან ვაჟ დიდოსტატებს შორის, რომელსაც სხვანაირად „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ" ეწოდება. 1992 წლიდან მოყოლებული, ამ მეგობრულ ასპარეზობას მაქს ეივეს ასოციაცია აწყობს, რომელსაც ცნობილი ჰოლანდიელი მეცენატი იოპ ვან ოსტერომი ხელმძღვანელობს. დიდხანს ასეთი მატჩ-ტურნირები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ შარშან ესპანეთის ქალაქ მარბელაში ვაჟებმა დიდი უპირატესობით მოიგეს 30,5:19,5.

ამჯერად გუნდების შემადგენლობებში ცვლილებები მოხდა: ვაჟთა ნაკრებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბორის სპასკიმ და განთქმულმა უნგრელმა დიდოსტატმა ლაიოშ პორტიშმა. ვაჟთა ხუთეული ასე გამოიყურებოდა: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილი სმისლოვი (რუსეთი), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ვლასტიმილ ჰორტი (გერმანია), მარკ ტაიმანოვი (რუსეთი) და ჰოლანდიელი საერთაშორისო ოსტატი ჰანს ბოუმაისტერი, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთ შეჯიბრებაში. ქალთა ნაკრები, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ითამაშეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ და პია კრამლინგმა (შვეცია), ასეთი შემადგენლობით ჩაება შეჯიბრებაში: მსოფლიო ჩემპიონი სიუ ჯუნი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გოგონებს შორის ჟუ ჩენი (ორივე – ჩინეთი), მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ალისა გალიამოვა (რუსეთი), შუათანა და – სოფია პოლგარი (უნგრეთი) და ნანა იოსელიანი.

როგორც ყოველთვის, მეტოქეები ორ-ორჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამჯერად ქალები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და მიაღწიეს კიდეც დამაჯერებელ საერთო გამარჯვებას, ანგარიშით 27:23. სტატისტიკის მოყვარულებს კი ვაცნობებთ, რომ ყველა ცხრავე მატჩ-ტურნირი შედეგების მიხედვით მცირე უპირატესობას მაინც ვაჟები ინარჩუნებენ – 273:265.

მიუნხენში ყველაზე უკეთ ითამაშა 69 წლის ვიქტორ კორჩნოიმ, რომელმაც 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა, მეორე წრეში მან ხუთივე პარტია მოიგო. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ნანა იოსელიანმა და სიუ ჯუნმა, 6 – გალიამოვამ, 5-5 – 79 წლის სმისლოვმა და ჟუ ჩენმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველი მოჭადრაკის ბრწყინვალე თამაში: ნანა იოსელიანმა ორ-ორი პარტია მოუგო მარკ ტაიმანოვსა და ჰანს ბოუმაისტერს, ორ-ორი პარტია დაასრულა ყაიმით ვასილ სმისლოვსა და ვლასტიმილ ჰორტთან, ვიქტორ კორჩნოისთან პირველი შეხვედრა ყაიმით დაასრულა, მერე კი მეტად შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 64-ე სვლაზე დათმო.

ამრიგად, ნანა იოსელიანმა შეასრულა ვაჟი დიდოსტატის წოდებისათვის განკუთვნილი პირველი ბალის ნორმა. ერთი ასეთი შედეგიც და...

გაგახსენებთ, რომ დღეისათვის ექვს გამოჩენილ მოჭადრაკე ქალს აქვს მიკუთვნებული დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის: ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ჟუჟა პოლგარს, იუდით პოლგარს, სიუ ჯუნსა და პია კრამლინგს.

მოგვყავს ნანა იოსელიანის მიერ შესანიშნავად წარმართული პარტია მრავალნაცად სანკტ-პეტერბურგელ მოჭადრაკესთან, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილესთან.

**იოსელიანი – ტაიმანოვი**
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6
3. d4 cd 4. მd4 მc6
5. მc3 ლc7 6. კe2 a6
7. 0-0 b5 8. მc6 ლc6
9. კf3 ლc7 10. ეe1 მe7
11. g3 d6 12. კf4 e5
13. კe3 კe6 14. ლd2 მc6
15. a4 ba 16. ეa4 კe7
17. მd5 კd5 18. ლd5 0-0
19. ეc4 ლa5 20. b4 ლd5
21. ed მb8 22. ეc7 კd8
23. ეb7 f5 24. c4 ეf7
25. ეf7 მფf7 26. c5 მg7
27. ეa1 კf6 28. ეa5 f4
29. gf ef 30. კf4 dc
31. d6 ეa7 32. bc კd8
33. ეa2 მc5 34. კe3 კb6
35. ეb2 მa4 36. კb6 ეd7
37. ეb4 ეd6 38. კd4 შავები დანებდნენ.

აქ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ სიცილიური დაცვა მარკ ტაიმანოვის საყვარელი დებიუტია, რომელსაც მან რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა.

### მეორე პრიზი – მაიას

გერმანიის ქალაქ ლიპშტადტში გაიმართა XI კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი 12 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. ორი რამ მატებდა ამ ასპარეზობის ეშხს: ერ-



თადერთი ქალის – მაია ჩიბურდანიძის და ახალი ძლიერი კომპიუტერის „პ კონნერსის" მონაწილეობა. საბოლოოდ სწორედ მაიასა და კომპიუტერის ასპარეზობა აღმოჩნდა ყველაზე უფრო საინტერესო.

მაიამ ჩინებულად ითამაშა: მოიგო 5 პარტია – დიდოსტატებთან სლობოიანსა და მიულერთან (ორივე – გერმანია), აგრეთვე საერთაშორისო ოსტატებთან მაკშეინსა (ინგლისი) ვემაიერსა და ბრენკესთან (ორივე – გერმანია), ყაიმით დაამთავრა შეხვედრები დიდოსტატებთან – ლუთერთან, დაუთოვსა (ორივე – გერმანია), ჰრაჩეკსა (ჩეხეთი) და სპილმენთან (ინგლისი), ორი კი წააგო: ერთი შვედ შლოსერის წინააღმდეგ, ერთიც კომპიუტერ „პ კონნერსთან" (გერმანია).

ტურნირში ორგანიზატორებმა ქულათა დათვლის ორიგინალური სისტემა გამოიყენეს: მოგება – 3, ყაიმი – 1 ქულა. რადგან კომპიუტერი კონკურსგარეშე ასპარეზობდა, პირველი პრიზი ჩეხ ჰრაჩეკს ხვდა წილად. მაიამ კი მეორე პრიზი მიიღო.

მოგვყავს მაიას ერთი საინტერესო პარტია

**ჩიბურდანიძე – სლობოდიანი**
ვოლგის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 c5
3. d5 b5 4. cb a6
5. b6 d6 6. მc3 მbd7
7. e4 g6 8. მf3 კg7
9. a4 ლb6 10. a5 ლb8
11. h3 0-0 12. კc4 მe8
13. 0-0 მc7 14. ლd3 ეa7
15. კd2 ეb7 16. მa4 მb5
17. ეab1 მd4 18. მd4 კd4
19. ლe2 ლa7 20. b3 ეb8
21. მფh1 მფg7 22. f4 f6
23. მb2 ლc7 24. მd3 f5
25. ef ef5 26. ლe7 ეf7
27. ლe2 მf6 28. ეbe1 კb7
29. ლf3 ლd7 30. f5 ლf5
31. ლf5 gf 32. ეf5 ეe8
33. ეef1 ეfe7 34. მf4 მe4
35. მh5 მფg6 36. კd3 მd2
37. ეe5 შამათი შემდეგ სვლაზე.

გივი გაგნიძე.

### ესპანური ნადავლით

კიდევ ცოტაც და სტამბოლში სტარტს აიღებს საუკუნის ბოლო მნიშვნელოვანი პაექრობა – მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრები. ისინი ევროპაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობებში ცდიან ძალებს.

ესპანეთის ორ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა დიდოსტატი ნინო ხურციძე. ქალაქ ბენასკაში ათმა დიდოსტატმა და საერთაშორისო ოსტატმა მოიყარა თავი. წრიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი ხურციძემ მოიპოვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ერთბაშად 3 ცნობილი დიდოსტატი ჩამორჩა. უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე გავიდა შოტლანდიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ქეთევან არახამია. მესამე-



მეოთხე ადგილები კი, შესაბამისად, რუმინელმა კორინა პეპტანმა და ჰოლანდიაში გადმოსახლებულმა ჩინელმა ჩაო ცინ პენგმა გაინაწილეს.

შემდეგ ნინომ ბალაგერის საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა, სადაც 200-მდე ქალი და კაცი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ქართველმა დიდოსტატმა 6 ქულით საერთო მე-11 ადგილი დაიკავა, ხოლო ქალთა შორის აქაც პირველი იყო.

როგორც თავად მითხრა, ნინო ხურციძემ ოლიმპიადამდე, შეიძლება, კიდევ ერთ ტურნირში მიიღოს მონაწილეობა, დანარჩენ დროს კი სტამბოლური ბატალიებისთვის სპეციალური პროგრამით მოემზადება.

ვაჟა დანელია.

## ევროპის ჩემპიონატზე

(მეხუთე გვერდიდან)

ეტყობა, ზურაბი ყაიმზე უნდა დათანხმებულიყო, მაგრამ მან განაგრძო მოგებაზე თამაში, ზედმეტმა რისკმა კი პირველი დამარცხება განაცდევინა. დარჩენილ, ხუთ პარტიაში ქართველმა მოჭადრაკემ 3 ქულა მოაგროვა. საბოლოო შედეგი – 7 ქულა მხოლოდ მეჩვიდმეტე ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი. საქართველოს ჩემპიონმა, ახალგაზრდა რუსთაველმა დიდოსტატმა თამაზ გელაშვილმა 5,5 ქულა მოაგროვა, იმდენივე, რამდენიც ყოფილმა თბილისელმა, ახლა კი იტალიის № 1-მა მოჭადრაკემ იგორ ეფიმოვმა. რაც შეეხება პირველი ადგილისათვის ბრძოლას, აქ, ბოლომდე, როგორც ეს შვეიცარული სისტემით გამართულ ტურნირებს სჩვევია, დიდი ჯგუფი მონაწილეობდა, სადაც რამდენადმე მოულოდნელი იყო გერმანელების კრისტოფერ ლუტცისა და ჰერალდ ჰარტნეკის, აგრეთვე ახალგაზრდა პოლონელ ტომაშ მარკოვსკის გამოჩენა. დასკვნით ტურებში კარგად თამაშობდნენ ვადიმ მილოვი (შვეიცარია) და ალექსეი ალექსანდროვი (ბელორუსია). უკანასკნელი, XI ტურის წინ ალექსანდროვს 8 ქულა ჰქონდა, ნახევარი ქულით უსწრებდა მარკოვსკის, რომელსაც წინადღით მოუგო. ისე ჩანდა, რომ ჩემპიონი სწორედ ბელორუსი მოჭადრაკე გახდებოდა – იგი თეთრებით თამაშობდა პაველ ტრეგუბოვთან (7 ქულა), მაგრამ...

ახლა კი სჯობს გადავხედოთ ამ პარტიას, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა.

**ალექსეი ალექსანდროვი – პაველ ტრეგუბოვი**
ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6
3. მc3 c6 4. e3 კd6
5. კd3 f5

სვლების გადანაცვლებით მივიღეთ სისტემა „ქვის კედელი", რომლის წინააღმდეგაც არაერთი რეცეპტი არსებობს, მაგრამ თეთრებს ხომ ყაიმიც ყოფნით.

6. f4 მf6 7. მf3 0-0
8. 0-0 მფh8

მსგავს სისტემას თეთრებით

### ალზევება

ხშირად მიმართავდა ცნობილი ქართველი ოსტატი არჩილ ებრალიძე, რომელიც შემდეგ ძალიან აქტიურად თამაშობდა, ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ალექსანდროვი, რომელიც უფრო ყაიმზე ფიქრობს.

9. მe5 c5 10. cd!?

რატომ? ალექსანდროვი თვით ეხმარება მეტოქეს. სჯობდა 10 ლe2

10. ... ed 11. ლf3 მc6
12. მe2 მe4 13. b3 ლb6
14. ლh5 კe5 15. de კe6

თეთრების პასიურმა თამაშმა ტრეგუბოვს საშუალება მისცა უკვე ასე მალე უკეთესი პოზიცია მიეღო.

16. ეd1 a5 17. g4?

ახლა, როცა შავები უკეთესად არიან განვითარებულნი, ასეთი ფსევდოაქტიური სვლა არაფრით არის გამართლებული.

17. ... ეad8
18. მg3 c4
19. bc dc
20. კe2 ეd1
21. ეd1 ლb4!

თეთრების პოზიცია უკვე უიმედოა.

22. მფg2 მg3 23. hg ლc3
24. gf კf5 25. ლe2 ლa1
26. ლc4 მe5! 27. fe ეc8
28. ლf4 ლa2 29. მფf3 ლd5
30. მფf2 ლd1 და თეთრები დანებდნენ. აი, რა მოუტანა ალექსანდროვს აშკარად ყაიმზე თამაშმა.

საბოლოოდ 8-8 ქულა ოთხმა მოჭადრაკემ მოაგროვა. დამატებითმა მონაცემებმა ადგილები ასე გაანაწილა: 1. პაველ ტრეგუბოვი (რუსეთი), 2. ალექსეი ალექსანდროვი (ბელორუსია), 3. ტომაშ მარკოვსკი (პოლონეთი), 4. ანდრეი ხარლოვი (რუსეთი).

ამრიგად, ევროპის ახალი (და პირველი!) ჩემპიონი გახდა კრასნოდარელი პაველ ტრეგუბოვი. მან ჯილდოდ მიიღო 8 ათასი ევრო, ახალთახალი იტალიური მანქანა „ფიატი" და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური (ეს საგზური მიიღო მეორე პრიზიორმა ალექსანდროვმაც).

საინტერესოა, რომ ტრეგუბოვი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ასეულში მხოლოდ 62-ე ადგილზეა (2620). თამაშობს ძალიან ხშირად, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული წარმატება აქამდე არასოდეს ჰქონია. ტრეგუბოვის აღიარებით, თუმცა იგი ჭადრაკს ბავშვობიდანვე ეზიარა, მწვრთნელი კი არასოდეს ჰყოლია.

გივი გამრეკელი.

სტატისტიკა

# მსოფლიო „რეიტინგ-ლისტი“ ქართული „განყოფილებით“

ძველი გამოთქმა „ადამიანებს ტანსაცმლის მიხედვით ხვდებიანო“. ამას დღევანდელ ჭადრაკს თუ მივუსადაგებთ, შეგვიძლია ვთქვათ, დიდოსტატებს ისე ხვდებიან, როგორი რეიტინგიც აქვთ. ეს რეიტინგი ხშირად იცვლება, თქვენ თავად ნახავთ, სულ ერთი წლის მანძილზე სადამდე ჩამოქვეითდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, როგორ ვერ „ეკარება“ პირველ ოცეულს მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ალექსანდრ ხალიფმანი... ჩვენს გულშემატკივრებს, გასაგებია, პირველ რიგში, ქართველი დიდოსტატების მაჩვენებლები აინტერესებთ.

ახლანდელ რეიტინგზე რომ ვილაპარაკობთ, უპრიანი იქნება, თუ მას ადრინდელსაც შევადარებთ.

ვაჟთა შორის, გასაგებია, პირველ ადგილზეა **გარი კასპაროვი** (რუსეთი), მაგრამ მკითხველი მიაქცევს ყურადღებას, რომ ადრინდელთან შედარებით მან 5 პუნქტი დაკარგა და ახლა 2849 აქვს. მაინც სად დაკარგა ეს 5 პუნქტი? თურმე ნუ იტყვით, ისრაელის ლიგაში დიდოსტატ ბორის ავრუხთან ყაიმით დამთავრებული პარტიის გამო!

მეორე ადგილზეა **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი) – 2770. თუმცა იგი დიდად ჩამოუვარდება კასპაროვს, მაინც ჩამოიტოვა ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და ალექსეი შიროვი (ესპანეთი). ალბათ, ამიტომაც მეტი გამართლება აქვს სწორედ კრამნიკის შეხვედრას კასპაროვთან. ეს მატჩი მსოფლიო პირველობაზე 7 ოქტომბერს იწყება ლონდონში.

ამჟამად მესამეა **ანანდი** – 2762, დანარჩენი ადგილები ათეულში კი ასეა განაწილებული. 4. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) – 2756. 5. მაიკლ ადამსი (ინგლისი) – 2755. 6. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 2746. 7. პეტერ ლეკო (უნგრეთი) – 2743. 8. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 2719. 9. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) – 2707. 10. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი) – 2702.

ადრინდელ ცხრილთან შედარებით გარკვეული ცვლილებებია: პირველად მოხვდა ათეულში კრასენკოვი, მეოთხედან მეექვსე ადგილზე გადავიდა შიროვი. სისტემატურად აუმჯობესებს მაჩვენებლებს ახალგაზრდა უნგრელი ლეკო.

მეორე ათეულში მხოლოდ მეთორმეტეა ანატოლი კასპაროვი (2699), სადაც 69-ე ადგილიდან მეცამეტეზე „გადახტა“ 20 წლის უზბეკი რუსტემ კასიმჯანოვი (2690), ამჟამად მეცხრამეტეა **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (2673).

ალექსანდრ ხალიფმანს (2667) – ოცდამეხუთე ადგილი უკავია, იუდით პოლგარს (უნგრეთი, 2656) – 32-ე.

ასეულში, აგრეთვე შედიან: 88. **გია გიორგაძე** (2599), 98. **მიხეილ ქობალია** (რუსეთი, 2594) და 99. **ზურაბ სტურუა** (2594).

იყო დრო, როცა **იუდით პოლგარი** ვაჟთა შორის პირველ ათეულში შედიოდა, ქალთა შორის კი ყოველთვის პირველია (2656). სხვა საკითხია, რომ სისტემატურად გაისმის პროტესტი იუდით პოლგარის ქალთა სიაში შეყვანის შესახებ, რახან იგი ქალთა შეჯიბრებებს ახლოსაც არ ეკარება და მხოლოდ ვაჟთა ასპარეზობებში გამოდის. რა თქმა უნდა, ამ პროტესტებს აზრიც აქვს, მაგრამ მას ფიდე ჯერჯერობით არ ითვალისწინებს. ვთქვათ ისიც, რომ სიიდან ამოღებულია მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ჟუჟა პოლგარის გვარი, რადგანაც რამდენიმე წელია იგი უკვე არსად თამაშობს.

რეიტინგის თვალსაზრისით, იუდით პოლგარსა და დანარჩენ დიდოსტატ ქალებს შორის ნამდვილი უფსკრულია: მეორე ადგილზეა მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი **სიე ჯუნი** (ჩინეთი) – 2568, რომელიც ამ ბოლო ხანებში ბევრს თამაშობს ვაჟთა შეჯიბრებებში და საკმაო წარმატებითაც.

მესამე ადგილზეა მსოფლიოს ექსჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** (2545), შემდეგ მოდიან: 4. ჯუ ჩენი (ჩინეთი) – 2539. 5. ალისა გალიამოვა (რუსეთი) – 2526. 6. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) – 2514. საკმაოდ მოულოდნელად მეშვიდე ადგილზე გამოჩნდა ერთადერთი ოსტატი პირველ 25 დიდოსტატს შორის (!) ჭადრაკის სამყაროსათვის უცნობი ჩინელი სიუ იუიხუა – 2505. მომდევნო ადგილებზე ასევე ჩინელები არიან: 8. ვან პინი – 2502. 9. ცინ კანინი – 2501. მეათეა სოფია პოლგარი (უნგრეთი, ახლა ისრაელში ცხოვრობს, დიდოსტატ იონა ქოსაშვილის მეუღლეა). ყურადღებას იპყრობს ჩინელი მოჭადრაკე ქალების დიდი წინსვლა – ხუმრობა ხომ არ არის, პირველ ათეულში ხუთი ჩინელია. თუ პირველ 50-ზე ვილაპარაკებთ, აქ კიდევ შევხვდებით 6 ჩინელს, თუმცა აქედან ერთმა პენ ჯაო ცინმა მიიღო ჰოლანდიის მოქალაქეობა და ახლა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გამოდის.

ცნობილი შვედი დიდოსტატი პია კრამლინგი უკან იხევს – იგი 2484 პუნქტით მეცამეტეა. **ნანა იოსელიანი** (2476) მეთოთხმეტე. მართალია, ნანა იოსელიანმა ამას წინათ დიდი წარმატებით ითამაშა ტრადიციულ მატჩში „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ“, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ „რეიტინგ-ლისტის“ შემდგომ პუბლიკაციაში აისახება და ქართველი მოჭადრაკე რამდენიმე ადგილით გადაიწევს წინ. რუსეთის ჩემპიონი ეკატერინა კოვალევსკაია (2475) მეთხუთმეტეა, ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (2450) – მეთვრამეტე.

**ქეთევან კახიანი** (გერმანია) 2448 ქულით მეცხრამეტეა, **ნინო ხურციძე** (2418) ამჟამად 29-ე ადგილზეა. **ქეთევან არახამია**, რომელიც იშვიათად თამაშობს, 2405 ქულით 34-ე ადგილზე გადავიდა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჭადრაკს დაუბრუნდა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** (2390, 41-ე ადგილი).

გივი გამყრელიძე.

მსოფლიო ჩემპიონატი

# ინდოეთსა და ირანში

ვაჟთა და ქალთა მსოფლიოს პირადი ჩემპიონატები 25 ნოემბერს აიღებს სტარტს ინდოეთის ქალაქ ნიუ-დელში.

ვაჟთა შორის ფინალური მატჩი დაგეგმილია გაიმართოს თეირანში. იმ შემთხვევაში, თუ ფინალური მატჩის ერთ-ერთი მონაწილე ისრაელის წარმომადგენელი იქნება, მაშინ ფინალს ელისტა უმასპინძლებს.

ვაჟთა ჩემპიონატის საპრიზო ფონდი სამი მილიონი ამერიკული დოლარია, ხოლო ქალთა ჩემპიონატის მონაწილენი 500 000 ამერიკულ დოლარს გაინაწილებენ.

საპრიზო ფონდის გარანტები მასპინძლები – ინდოეთის და ირანის წარმომადგენლები არიან.

* * *

სტამბოლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვებული გუნდის წევრები დოპინგ-კონტროლს გაივლიან. მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში ეს პირველად მოხდება.

ფიდემ შექმნა სპეციალური სამედიცინო კომისია, რომელსაც პედრო ბარერა უხელმძღვანელებს.

წარსულის ფურცლები

# ქართული კომპოზიციის პატრიარქი

50 წლის წინათ, 1950 წლის 20 ივლისს ბორჯომში ტრაგიკულად დაიღუპა გამოჩენილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი ალექსანდრე დობორჯგინიძე. იგი 48 წლის და დიდი ტალანტის გაფურჩქვნის ხანაში იყო.

იმ დროს ა. დობორჯგინიძე ბორჯომის ჩამოსასხმელ ქარხანაში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა. გაქნილმა საქმოსნებმა დიდი ფულის გაკეთების ოპერაცია ჩაიფიქრეს, მაგრამ პატიოსანი ბუღალტერის შიში ჰქონდათ. იცოდნენ, რომ იგი თაღლითებთან მოლაპარაკებაზე არ წავიდოდა. ამიტომაც გადაწყვიტეს მისი თავიდან მოცილება. როგორც ამბობდნენ, იგი ხაშურში „სუფრაზე“ მიიწვიეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, მოკლეს და ახალდაბის მიდამოებში მატარებლიდან გადმოაგდეს.

მაშინ ნეკროლოგის მიცემა აგვიკრძალეს – იქნებ საქმეში იყო გარეულიო, მაგრამ სასამართლომ ამხილა თაღლითები და აღიარა ა. დობორჯგინიძის უდანაშაულობა. ასე რომ, მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს დაიწერა პირველი წერილები დიდი ქართველი პრობლემისტის მოღვაწეობაზე.



ალექსანდრე დობორჯგინიძე 1948 წლის გაზაფხულზე გავიცანი. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს 1950 წლის ზამთარ-გაზაფხულზე გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში. სიმპათიური გარეგნობის, საშუალოზე მაღალ კაცს ჭკვიანი, ოდნავ სევდიანი თვალები ჰქონდა. ჩემი ახალგაზრდობის მიუხედავად, მესაუბრებოდა როგორც ტოლს. მან მომხიბლა თავისი უშუალობით, თავმდაბლობით და საჭადრაკო კომპოზიციისადმი უსაზღვრო სიყვარულით. როცა მას ვუსმენდი, თავი ზღაპრულ სამყაროში მეგონა. ალბათ, მაშინ შევიგრძენი კომპოზიციის მადლი და სამუდამოდ შევიყვარე იგი, თუმცა ამოცანებსა და ეტიუდებს თავად არ ვთხზავდი.

გამოჩენილ პრობლემისტს ავტობიოგრაფია არ დაუტოვებია. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ძირითადში აღმედგინა იგი.

აი, რა მიამბო მისმა ბიძაშვილმა, პროფესორმა შალვა დობორჯგინიძემ 1973 წელს:

– ალიოშას მამა გურიიდან იყო, ფოთში სახლობდნენ. მამა მალე გარდაიცვალა. ალიოშას ტუბერკულოზი რომ აღმოაჩნდა, დედამისმა მიატოვა ფოთი და აბასთუმანში გადასახლდა. ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო, რომ ბინა მიეღო.

ალიოშა მე 1926 წელს გავიცანი, სანატორიუმ „ზეკარის“ მშენებლობაზე მიმავლინეს. სულ ერთად ვიყავით. იგი ჭადრაკით იყო გატაცებული. მახსოვს ტურნირი გამართა. სურათიც მაქვს იმდროინდელი. მგონი 1927 წელს ალიოშამ ოსტატი დუზ-ხოტიმირსკი ჩამოიყვანა, 1928 წელს ოსტატი ილინ-ჟენევსკი. შეხვედრებს და ბანკეტებს მეც ვესწრებოდი. საამისო სახსრები არავის გვქონდა, ამიტომ შევაგროვეთ. შემდეგ ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ალიოშა აბასთუმნიდან აღარ წამოსულა“.

მერე (1990 წ.) დავადგინე, რომ ა. დობორჯგინიძე 1923-1940 წლებში აბასთუმნის სანატორიუმის, შემდეგ ლიკანის კურორტების კონტორის, ხოლო 1947-1950 წლებში ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის მთავარი ბუღალტერი იყო.

ღვაწლმოსილმა კომპოზიტორმა ყველას დაამახსოვრა თავი როგორც კეთილმა, თავმდაბალმა და უპრეტენზიო ადამიანმა. მან კარგი ოჯახიც შექმნა, ჰყავდა მეუღლე ცაცა ხუნდაძე, შვილები დავითი, ვახტანგი და ადა.

ამას წინათ მე და კომპოზიციის დიდოსტატი დავით გურგენიძე შინ ვეწვიეთ ქალბატონ ცაცას. 93 წლის მანდილოსანმა ასე გაიხსენა თავისი მეუღლე: „დიდი მშრომელი იყო. საფიცარ ხატად ჭადრაკი ჰქონდა. უყვარდა თამაში. სულ მიწერ-მოწერაში იყო. ბევრი წერილი მოსდიოდა საზღვარგარეთიდანაც. სამწუხაროდ, ვერ მოვუარეთ მის არქივს. გაიფანტა წლების მანძილზე რაც დარჩა, ხანძარმა იმსხვერპლა...

ახლა მე და დავით გურგენიძე გამოსაცემად ვამზადებთ ა. დობორჯგინიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის – მისი ამოცანების კრებულს. ვიცოდით, რომ მას 150-მდე ამოცანა ჰქონდა გამოქვეყნებული. შევუდექით მათ მოძიებას მრავალი სპეციალისტის, მეგობრის დახმარებით, აგრეთვე ომამდელი გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის საჭადრაკო ჟურნალების საშუალებით. უკვე ასზე მეტი ამოცანა შევაგროვეთ, რაც გვაძლევს იმედს 2001 წელს ჭადრაკის მოყვარულებს მივაწოდოთ „ა. დობორჯგინიძის ამოცანათა კრებული“.

* * *

ა. დობორჯგინიძე გახლდათ XX საუკუნის პირველი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, რომელიც ჭადრაკის სამყარომ გაიცნო. იგი მთელი არსებით ემსახურა ქართულ კომპოზიციას, სავსებით სამართლიანად არის აღიარებული საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ა. დობორჯგინიძემ თავისი პირველი ამოცანა 1928 წელს გამოაქვეყნა. 30-იან წლებში იგი უკვე საქვეყნოდ ცნობილი შემოქმედია. მისი ამოცანები უმაღლეს შეფასებებს იმსახურებს საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში. ჟურნალი „შახმატი ვ სსსრ“-ი (1938 წ. № 8) მას მოიხსენებს საბჭოთა კომპოზიციის ელიტაში გენიალური ა. ტროიცკისა და ო. კუბელის გვერდით. იგივე ჟურნალი (1941 წ. № 2) სიამაყით აღნიშნავს, რომ ა. დობორჯგინიძეს, ისე როგორც გამოჩენილ პრობლემისტებს ა. გულიაევს, მ. ბარულინსა და ლ. ლოშინსკის, მუდამ ვხედავთ საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებულთა შორის.

ა. დობორჯგინიძის თაოსნობით 1930 და 1933 წლებში აბასთუმნის საჭადრაკო სექციამ ორჯერ გამართა საკავშირო კონკურსი ამოცანების შედგენაში. მანამდე მსგავსი კონკურსი საქართველოში არ გამოცხადებულა.

1947 წელს საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტმა გამოაცხადა I რესპუბლიკური კონკურსი, რომლის მთავარ მსაჯად სახელოვანი პრობლემისტი მიიწვია. საანგარიშო მოხსენებაში ა. დობორჯგინიძე სიხარულით წერდა, რომ კონკურსმა გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედნი – გ. ნადარეიშვილი, ო. ტაბიძე, ი. კრიხელი, რომელთაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

სავსებით ბუნებრივია, რომ მსოფლიოს კომპოზიციის პრესტიჟულ ჟურნალ „ფიდე-ს ალბომში“ (ბელგრადი, 1971 წ.), რომელიც 1914-1944 წლების პერიოდს მოიცავს, საქართველო პირველად ა. დობორჯგინიძის ამ მშვენიერი ამოცანით არის წარმოდგენილი:

ა. დობორჯგინიძე
1940 წ.



შამათი ორ სვლაში

რთული სტრატეგიული იდეების შერწყმაზეა აგებული ეს ამოცანა. პირველი სვლით 1. ლg6 თეთრები ორ უჯრას უთავისუფლებენ შავ მეფეს (მუქარაა – 2. ლ:e6X) 1. ... მcd4 2. ლe4X; 1. ... მbd4 2. მe2X; 1. ... ლd5 2. მe4X; 1. ... ლ:d6 2. ლ:g5X.

აი, ასეთი იყო დიდი ქართველი პრობლემისტი, რომლის სახელი ყოველთვის დაამშვენებს ქართული ჭადრაკის მატიანეს.

თენგიზ გიორგაძე.

## გვეხმაურებიან

# „ჭაშნიკი"

„ლაზიერის" წინა გამოშვებაში გადავწყვიტეთ ახალი რუბრიკის „ჭაშნიკის" გახსნა, რომელშიც მხოლოდ დამწყები საჭადრაკო კომპოზიტორების ნაწარმოებებს დავბეჭდავთ.

„ლაზიერის" ამ იდეას ჩვენი მკითხველები უკვე გამოეხმაურნენ და დღეს გთავაზობთ ორი მათგანის კომპოზიციას.

ამოცანის ავტორია ცნობილი დირიჟორი რევაზ ტაკიძე. დღემდე მას მხოლოდ რამდენიმე ეტიუდი და ამოცანა აქვს გამოქვეყნებული.

მეცნიერ-მუშაკი კობა მესტიაშვილი ხუთფიგურიანი ეტიუდების შედგენით არის დაინტერესებული. დღეს მისი დებიუტია. რაიმე ახალის პოვნა ასეთი მცირე მასალით მუშაობის დროს ძნელია, მით უმეტეს, წასახალისებელია კობა მესტიაშვილის მცდელობა.

**№ 1 რევაზ ტაკიძე**
**იბეჭდება პირველად**



**შამათი ოთხ სვლაში**

**№ 2 კობა მესტიაშვილი**
**იბეჭდება პირველად**



**თეთრები იგებენ**

საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულებს ვთხოვთ გამოგვიგზავნონ თავიანთი პირველი ნაწარმოებები. „ლაზიერის" რედაქცია კვალიფიციურ კონსულტაციას გაუწევს მათ და თუ ამოცანა ან ეტიუდი საჭადრაკო კომპოზიციის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ მას „ლაზიერში" გამოაქვეყნებს".

***ამოცანები ან ეტიუდები გამოგვიგზავნეთ რედაქციის მისამართზე ან მოგვაწოდეთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში. მისამართი: თბილისი, კოსტავას ქუჩა, 37 ა, ტელეფონი: 99-95-21.***

## ტურნირი

# ბრძენთა თამაშის სიყვარულით

სამი წლის წინ ყაზბეგის ქუჩის მიმდებარე პარკში ჭადრაკის მოყვარულთა თაოსნობით საჭადრაკო კლუბი შეიქმნა. კლუბის წევრებმა საკუთარი ხარჯებით კეთილმოაწყეს ბაზა.

თითქმის ყოველდღე, საღამოს საათებში და შაბათ-კვირას, კლუბი სავსეა ჭადრაკის მოყვარულებით. მათ შორის ჩვენი საზოგადოებისთვის ბევრი ცნობილი პიროვნებაა: აკადემიკოსი გურამ ტატიშვილი, პროფესორი რევაზ სიგუა, გოგი ცაგარეიშვილი, ლევან დალაქიშვილი, ბექან წულაძე და სხვები.

ივლისში ვაჟა ჯანგირაშვილის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ბორის წოწონავას ხსოვნის ტურნირი გაიმართა.

ბატონი ბორისი კლუბის აქტიური წევრი გახლდათ. წრიულ ტურნირში 18 მოჭადრაკე ჩაება. ისინი ერთმანეთის ორ პარტიას ეთამაშებოდნენ.

28 ქულით ტურნირში რევაზ სიგუამ გაიმარჯვა. მას ქულანახევარით ჩამორჩა ტარიელ ჯაბაური.

მესამე ადგილზეა პაატა ლუტიძე – 24,5 ქულა. ტურნირში გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

დაწესებული იყო, აგრეთვე სპეციალური პრიზები. კორექტული მოთამაშის პრიზი მიიღო გოგი ცაგარეიშვილმა, „პერსპექტიული" მოთამაშის პრიზი – სოსო მათირიშვილმა, პრიზიორებთან საუკეთესო შედეგისათვის – შოთა გელოვანმა.

ტურნირის ორგანიზატორის და მთავარი მსაჯის ვაჟა ჯანგირაშვილის ძალისხმევით გამართულმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

თბილისში ასეთი ტიპის რამდენიმე კლუბი ჰრსებობს. ურიგო არ იქნება, თუ ისინი ხანდახან ერთმანეთსაც შეერკინებიან.

## კომპოზიცია

# ნაყოფიერი გავლენა

„ვისაც გავლენის ეშინია და გაურბის მას, უხმოდ აღიარებს საკუთარ სულიერ სიღატაკეს".

ანდრე ჟიდი.

ცნობილია, რომ ყოველი შემოქმედი განიცდის ამა თუ იმ ავტორის ან მიმდინარეობის გავლენას, მაგრამ ამ წერილის მიზანი აღნიშნული საკითხის გამოკვლევა არ გახლავთ. ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, როდისაა ესა თუ ის გავლენა ნაყოფიერი და როდის შეიძლება ნაწარმოები ჩაითვალოს მოცემული იდეის გაღრმავებად ან მოცემული იდეის ნოვატორულ დამუშავებად.

ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საჭადრაკო კომპოზიტორი ყოველთვის ვერ ახერხებს მის მიერ „ნაპოვნ" იდეას შესაბამისი ფორმა ან შესატყვისი ხორცშესხმა მოუნახოს. სხვა შემთხვევაში, კარგად დამუშავებული და ერთი შეხედვით კარგად გაფორმებული ეტიუდიც შინაგანად შეიცავს პოტენციურ შესაძლებლობას, აღნიშნული იდეა გაღრმავდეს ან შეივსოს ახალი ნიუანსებით.

ახლა რამდენიმე მაგალითზე დაყრდნობით, ვნახოთ როდის არის გაღრმავება ან გაუმჯობესება მნიშვნელოვანი. კლასიციზმის პერიოდის ცნობილმა ეტიუდისტმა ლ. კუბელმა გამოაქვეყნა ეტიუდი, რომლის გადაწყვეტა ასეთია:

**ლ. კუბელი, 1927 წ.**



**ყაიმი.**

1. ეb3 მფd4 2. ეb4 მფd5
3. ეb5 მფd6 4. ეb6 მფd7
5. ეb7 მფc8 6. ეb5! c1ლ
7. ეc5 ლc5 პატი.

მრავალი წლის შემდეგ ჩეხმა კომპოზიტორმა ფ. პროკოფმა აღნიშნული იდეა წარმოადგინა ორი ექო – ქამელეონური პატით, რაც იდეის მნიშვნელოვანი გაღრმავებაა. ვნახოთ მისი გადაწყვეტა, რომელიც საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს.

**ფ. პროკოფი, 1943 წ.**



**ყაიმი.**

1. ეb8 მფc7 2. ეb5 მფd6
3. ეb6 მფd7 4. ეb7 მფc8
5. ეb5! c1ლ 6. ეc5! ლ:c5
პატი № 1.
II ვარიანტი: 1. ... ეa5
2. მფa5 მფc7 3. ეb4 c1ლ
4. ეc4! ლc4 პატი № 2.

თავის დროზე დიდოსტატმა ჰ. კასპარიანმა გამოაქვეყნა საკმაოდ მოკრძალებული ეტიუდი ცნობილი საშამათო ფინალით.

**ჰ. კასპარიანი, 1936 წ.**



**თეთრები იგებენ.**

1. h5 მფh6 2. მf7 მფh5
3. ეe5 მფh5 4. მg5 f1ლ
5. მf3 მფh3 6. ეh5 მფg2
7. ეh2X

ამ მოხდენილ შამათზე მრავალი საინტერესო ნაწარმოებია შექმნილი, მაგრამ შემდგომში იგი ზ. ბირნოვმა იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მის მიერ შექმნილი ნაწარმოები ერთხმად იქნა აღიარებული ამ იდეაზე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებად.

**ზ. ბირნოვი, 1947 წ.**



**თეთრები იგებენ.**

1. ეg7 მფb6 2. a8მ! მფc6
3. მc7 მფa5 4. ეg1 კg5!
5. ეg5 d5 6. ეd5 მფa4
7. მb5 c1ლ 8. მc3 მფa3
9. ეa5 მფb2 10. ეa2X!

საინტერესო, დინამიური თამაშის წყალობით, ეტიუდისტმა მოახდინა შამათის, სუსტი გაყვანისა და „რომის" თემის სინთეზი. ნაწარმოები თამამად შეიძლება ჩაითვალოს იდეის ნოვატორულ დამუშავებად. როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით უნაკლო ეტიუდებიც, ნიჭიერი ხელოვანის ხელში ახალ სიმაღლეზე შეიძლება იყოს აყვანილი.

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

## ინფორმაცია

# რუსთაველი სტუდენტის წარმატება

ჭადრაკის სასახლეში 2-3 ივლისს გაიმართა საქართველოს XI პირველობა საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში.

ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა რუსთაველმა სტუდენტმა **მიხეილ ყოჩიაშვილმა.** მან 90 შესაძლებლიდან 66 ქულა მოაგროვა.

მეორე ადგილზეა თბილისელი **მიხეილ გაბესკირია** – 46 ქულა.

დუშეთის წარმომადგენელმა **რუზველტ მარცვალაშვილმა** 36,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

საჭადრაკო კომპოზიციები შეარჩია პირველობის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ვაჟა ნეიძემ.

## ასეც მომხდარა...

### ჭადრაკი და... ჯაშუშები

ძალიან იშვიათად ხდება, როცა კაბარეს მომღერალ ქალებს ჭადრაკი აინტერესებთ. ამ მხრივ ანდრიენა რიზა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ციურიხის ერთ-ერთ კაბარეში მღეროდა, გამონაკლისი იყო. როდესაც თავის სიმღერებს ამთავრებდა, იგი მოჭადრაკეთა მაგიდებთან მიდიოდა და გულდასმით სწავლობდა დაფებზე შექმნილ პოზიციებს.

ერთხელ მისი ყურადღება მიიპყრო მოჭადრაკემ, რომელიც ისეთ გზუგებარ სვლებს აკეთებდა, რომ ყველა გაოცებული რჩებოდა. ბოლოს ეს პარტია შეწყვიტეს. „ეტყობა, ეს კაცი გაგიჟდა", – დაასკვნეს გულშემატკივრებმა, რომლებიც კაბარეში დადიოდნენ.

შემდეგი დღიდან ანდრიენა რიზა უკვე აღარ გამოდიოდა კაბარეში. მისი გაქრობა მაინცდამაინც არავის შეუმჩნევია. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამბები იპყრობდნენ საყოველთაო ყურადღებას. ფრანგების შეტევა ჩაიშალა, რაც სენსაციურ მოვლენად მიაჩნდათ.

მრავალი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ რიზა გერმანელების ჯაშუში იყო, თითქოსდა გიჟი მოჭადრაკე კი – მისი თანამოაზრე და თანამშრომელი, როდესაც ფრანგების შეტევის გეგმა შეიტყო, მან იგი მომღერალ ქალს გადასცა იმ „უცნაური" საჭადრაკო სვლების საშუალებით. ანდრიანა რიზამ ეს გეგმა გერმანელთა დაზვერვას გადასცა და, ამის გამო, ფრანგების შეტევა ჩაიშალა.

ანდრიანა რიზას ისტორია შემდეგ შვეიცარიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

### „სჯობს ჭადრაკი ითამაშოთ"

„რა დავუკრათ თქვენს პატივსაცემად? – ჰკითხა ერთხელ რესტორნის ორკესტრის დირიჟორმა ბერნარდ შოუს. ამ დროს შოუ ძალიან უკმაყოფილო იყო მუსიკით, რომელიც მეგობართან ლიტერატურაზე საუბარში ხელს უშლიდა. „მე მირჩევნია, თქვენ რამე კი არ დაუკრათ, არამედ ჭადრაკის პარტია ითამაშოთ".

### უვარგისი ვარჯიში

ირლანდიის ერთ-ერთი ფეხბურთის კლუბის მოთამაშეები სიამოვნებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭადრაკში. კლუბის ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ ჭადრაკის თამაშის დროს ფეხბურთელები არა მარტო კარგად ისვენებდნენ, არამედ საზრიანობაც უნვითარდებოდათ, რაც ფეხბურთის მინდორზე გამოადგებოდათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

გავიდა ხანი. მწვრთნელმა აუკრძალა ფეხბურთელებს ჭადრაკის თამაში. მან მიიჩნია, რომ მოთამაშეები ძალიან დიდხანს ფიქრობდნენ „სვლებზე", რომელსაც... ფეხბურთის მინდორზე აკეთებდნენ.

### ფიასკო

ერთმა მოჭადრაკემ ორი მოგებით დაიწყო ტურნირი და ორი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მაგრამ ოთხი ტურის შემდეგ იგი, სრულიად მოულოდნელად, უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა. ორივე მოჭადრაკე, ვინც მან დაამარცხა, ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გავიდა (ორი ქულა დაიკარგა!), მესამე და მეოთხე ტურში კი ყოფილი ლიდერი დამარცხდა.

### როგორ დაამარცხა რეჟისორი

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი იგორ ილინსკი ერთ ფილმში მონაწილეობდა. მას არც სცენარი მოსწონდა და არც რეჟისორის ჩანაფიქრი. ერთხელ, მოღრუბლულ ამინდში, ილინსკი და მისი რეჟისორი ჭადრაკს თამაშობდნენ. თამაში ძალიან გაჭიანურდა, რადგან რეჟისორი დიდხანს ფიქრობდა და თანაც ილინსკის თხოვდა არ აეჩქარებინა იგი. ბოლოს, საათნახევრის ფიქრის შემდეგ მან გააკეთა სვლა და ილინსკის პირდაპირ დაუსვა... ლაზიერი.

„აი, ასე დგამთ თქვენ ფილმს" – თქვა მოთმინებიდან გამოსულმა ილინსკიმ.

**გივი გამრეკელის**
**კურიოზების კოლექციიდან**

GCF ლაზიერი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№210. შაბათი, 5 აგვისტო, 2000 წელი

მემუარები

კონსტანტინე სიმონოვი

# ჩემი თაობის კაცის თვალით



სტალინის სიტყვის მთავარი თავისებურება ის იყო, რომ მან არ მიიჩნია საჭიროდ, ზოგადად ელაპარაკა ეაქკაცობაზე ან შიშზე, სიმტკიცესა და კაპიტულანტობაზე. ყველაფერი, რასაც ამბობდა ამის შესახებ, მან დაუკავშირა კონკრეტულად პოლიტბიუროს ორ წევრს, აქვე, ამ დარბაზში, მის ზურგს უკან, მისგან ორ მეტრში მყოფ ადამიანებს, რომელთა შესახებ, მაგალითად მე, ყველაზე ნაკლებად ველოდი მომესმინა ის, რასაც სტალინი ამბობდა მათზე.

ბრალდებებისა და ეჭვების მთელი ამ სინოდიკის შემდეგ, მან მთელი რისხვა თავს დაატეხა მოლოტოვს, დაადანაშაულა სიმხდალეში, მერყეობაში, დასწამა ლაჩრობა, კაპიტულანტობა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჯერ ყურებს არ დავუჯერე, ვიფიქრე, მომესმა ან ვერ გავიგე-მეთქი. მაგრამ, თურმე არ მომჩვენებია. სტალინის სიტყვიდან გამომდინარეობდა, რომ ადამიანი, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე მეტად ამჟღავნებდა კაპიტულანტობისაკენ მიდრეკილებას, და ამ თვალსაზრისითაც ყველაზე სახიფათოდაც მიაჩნდა, იმ საღამოს, იმ პლენუმზე იყო მოლოტოვი, არა ვინმე სხვა, არამედ მოლოტოვი.

იგი დიდხანს და დაუნდობლად ლაპარაკობდა მოლოტოვზე, მოჰყავდა მისი უმართებულო მოქმედების რაღაც მაგალითები, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებული იყო იმ პერიოდებთან, როდესაც იგი, სტალინი შვებულებაში იმყოფებოდა ხოლმე, მოლოტოვი კი მას სცვლიდა და არასწორად წყვეტდა საკითხებს. სახელდობრ რა საკითხებს, არ მახსოვს, არ დამამახსოვრდა ალბათ, ნაწილობრივ, იმიტომ, რომ სტალინი ლაპარაკობდა აუდიტორიისათვის, რომელიც უფრო გარკვეული იყო ამ საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ნიუანსებში, ვიდრე მე. ყოველთვის როდი მესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი, არ მესმოდა, ალბათ, კიდევ იმიტომ, რომ ბრალდებები ბუნდოვანი, გაურკვეველი და დაუკონკრეტებელი იყო. ჩემს აღქმაში ეს ასე დარჩა.

ვერაფრით ვერ მივხვდი, რაში იყო დამნაშავე მოლოტოვი. მხოლოდ ის გავიგე, რომ სტალინი ბრალად სდებდა მთელ რიგ მოქმედებებს ომისშემდგომ პერიოდში, განრისხებული ადანაშაულებდა მას, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა მოლოტოვისთვის მეტად სახიფათო ის საბოლოო დასკვნები, რომლებიც, თუ წარსულს გავიხსენებთ, მოსალოდნელი იყო სტალინისაგან. არსებითად, სტალინის სიტყვის მთავარი შინაარსი, სიმხდალისა და კაპიტულანტობის ბრალდებებისა და ლენინის სიმამაცისა და შეუპოვრობისათვის მოწოდებათა მთელი სისტემა მოლოტოვის ფიგურის გარშემო ტრიალებდა: მას ბრალად ედებოდა ყველა ის ცოდვა, რომელთაც ფეხი უნდა მოეკიდებინათ პარტიაში, თუ დრო თავისას გაიტანდა და პარტიის სათავეში აღარ იდგებოდა სტალინი.

მთელი მრისხანების მიუხედავად, რომელსაც თავშეუკავებლობის ელფერიც კი დაჰკრავდა, სტალინის ნალაპარაკევში იგრძნობოდა მისთვის დამახასიათებელი რკინისებური კონსტრუქცია. ასეთივე კონსტრუქცია ჰქონდა მისი სიტყვის მომდევნო ნაწილსაც, რომელიც მიეძღვნა მიქოიანს, იგი უფრო მოკლე იყო, მაგრამ მასში მეტი ბოღმა და უპატივცემულობა იგრძნობოდა.

დარბაზში შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა, მეზობლებისთვის არ შემიხედავს, მაგრამ ვუყურებდი პოლიტბიუროს ოთხ წევრს, რომლებიც იმ ტრიბუნის უკან ისხდნენ, რომელზეც სტალინი იდგა. ოთხივეს გაქვავებული, დაძაბული, გაყინული სახე ჰქონდა. მათ არ იცოდნენ, ისევე, როგორც ჩანს, სად და როდის, რაზე შეჩერდებოდა სტალინი, მოლოტოვისა და მიქოიანის შემდეგ, კიდევ ვინმეზე ხომ არ მიიტანდა იერიშს. მათ არ იცოდნენ, კიდევ რისი მოსმენა მოუწევდათ სხვებზე, შესაძლოა, საკუთარ თავზეც: მოლოტოვი და მიქოიანი მიცვალებულივით გაქვავებულ-გაფითრებულები ისხდნენ. ასეთივე სახე ჰქონდათ მაშინაც, როდესაც სტალინმა დაამთავრა სიტყვა, დაბრუნდა და მაგიდას მიუჯდა, ისინი კი – ჯერ მოლოტოვი, შემდეგ მიქოიანი – გაემართნენ ტრიბუნისაკენ, სადაც ეს-ეს არის სტალინი იდგა, და იქ შეეცადნენ აეხსნათ სტალინისთვის თავიანთი მოქმედება და საქციელი, თავი ემართლებინათ, ეთქვათ მისთვის, რომ ეს ასე არ არის, რომ ისინი არასდროს არ ყოფილან მხდალები, არც კაპიტულანტები და არც ახლა შეუშინდებიან ახალ შეტაკებებს კაპიტალიზმის ბანაკთან და არც ფარხმალს დაყრიან მათ წინაშე.

სტალინის დაუნდობელი და სასტიკი გამოსვლის შემდეგ, მოლოტოვი და მიქოიანი ჰგავდნენ იმ განსასჯელებს, რომლებსაც საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცეს, ისინი კი, თუმცა უარყოფენ თავს დატეხილ ყველა ბრალდებას, მაგრამ რაიმე ცვლილების იმედი გადაწურული აქვთ, რადგან სტალინმა უკვე გადაწყვიტა მათი ბედი. მახსოვს, რომ უცნაური გრძნობა დამეუფლა მაშინ. ისინი სიტყვას წარმოთქვამდნენ, მაგრამ თითქოს ის ადამიანები კი არ იყვნენ, რომლებიც საკმაოდ ბევრჯერ და ახლოს მინახავს, არამედ მათ სახეებს მიმსგავსებული თეთრი ნიღბები, რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ.

არ ვიცი, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის უკანასკნელ სიტყვაში სტალინმა უნდობლობის ორ მთავარ ობიექტად რატომ აირჩია მაინცდამაინც მოლოტოვი და მიქოიანი. ერთი რამ უეჭველია, რომ აშკარად უნდოდა მის შემდეგ ერთ-ერთი პირველი ყველაზე ისტორიული ფიგურების კომპრომეტირება, დამცირება. უნდოდა დაეკნინებინა ისინი, განსაკუთრებით მოლოტოვი, არარად ექცია ის შარავანდი, რომელიც მოლოტოვს ადგა, რადგან მოლოტოვი შარავანდმოსილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, მნიშვნელოვანწილად ჩამოაშორეს საქმეებს, მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს, უკვე რამდენიმე წელი, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ვიშინსკი, მიუხედავად იმისა, რომ საპატიმროში იჯდა მისი ცოლი, მიუხედავად ყოველივე ამისა, უამრავი ადამიანი – და რაც უფრო გავაფართოებთ წრეს, მით უფრო მეტი გამოჩნდება ასეთი – მოლოტოვს ასახელებდა ან ახსენებდა უშუალოდ სტალინის შემდეგ. როგორც ჩანს, სწორედ ეს არ მოსწონდა სტალინს. სწორედ ეს სურდა ეგრძნობინებინა ყველასათვის და მიეხვედრებინა ისინი, ვინც შეიკრიბა პლენუმზე, ცენტრალური კომიტეტის ყველა ძველი თუ ახალი წევრი, ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოების ყველა ძველი და ახალი წევრი, რომლებიც ჯერ კიდევ უნდა აერჩიათ. რატომღაც არ სურდა, რომ მოლოტოვი მის შემდეგ, თუ მას რამე დაემართებოდა, პირველ ფიგურად დარჩენილიყო სახელმწიფოში და პარტიაში.

თარგმნა **ლია გოგიჩაიშვილმა.**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 181-185; 187-209.**

**(გაგრძელება იქნება).**


# განცხადება

## ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-9 მუხლის საფუძველზე და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1999 წლის 4 აგვისტოს № 54 ბრძანებით დამტკიცებული დებულების „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" მე-10 მუხლის შესაბამისად, აცხადებს ღია ტენდერს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული შენობისათვის საოფისე ავეჯის შესყიდვის თაობაზე.

– საოფისე ავეჯი უნდა შეიცავდეს სამუშაო მაგიდებს, კარადებს, სკამებსა და სხვა აქსესუარებს.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

– მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

– მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი, ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

საკვალიფიკაციო მონაცემები მიიღება სახაზინო სამსახურში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 15 კალენდარული დღის შემდეგ მაგრამ არა უგვიანეს მ/წლის 25 აგვისტომდე.

შესასყიდი საოფისე ავეჯის მიწოდება უნდა მოხდეს ქ. თბილისში მ. ალექსიძის ქ. № 1 კორპუსი 11 (აკადემქალაქი).

ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებმა სატენდერო პაკეტის მისაღებად სატენდერო კომისიაში უნდა შეიტანოს სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარი (მოსაკრებელი უკან არ დაუბრუნდებათ).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სატენდერო კომისიაში ი. აბაშიძის 70. ტ: 25-03-87.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელით, სატენდერო კომისია.**

# განცხადება

სს „ტრანსფერი"-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ ამა წლის 25 აგვისტომდე. მის. ქ. თბილისი, ახვლედიანის II ჩიხი №10 ან დაგვიკავშირდეთ ტელ: 30-17-86; 92-09-07.

**ადმინისტრაცია.**

# საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს განცხადება

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობი" იწყებს საქართველოს X$^{C}$, X$^{D}$ და XIII სალიცენზიო ბლოკის აღმოსავლეთ ნაწილში სეისმურ გამოკვლევებს. ეროვნული კომპანიის მიერ მომზადებული სეისმური გამოკვლევების ჩატარების პროექტი, გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შეფასების ჩათვლით წარმოდგენილია სახელმწიფო სააგენტოში. საზოგადოების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს აქვთ საშუალება გაეცნონ აღნიშნულ მასალებს და წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოში 2000 წლის 20 აგვისტომდე, შემდეგ მისამართზე:

**ყაზბეგის გამზირი 45, მე-3 სართული, ტელეფონი: 25-33-11, 25-33-99.**


იალტიდან მალტამდე

ცივი ომის ისტორიიდან

# ბირთვული საშიშროება



**„დღეს, ბირთვული ხანის დაწყებიდან პირველად, რუსული რაკეტები აღარ არის დამიზნებული ამერიკელი ბავშვებისათვის".**

ეს ოპტიმისტური ფრაზა აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა წარმოთქვა თავისი წარმატებული მეორე საარჩევნო კამპანიის დროს, 1996 წელს. მაგრამ ყველაფერი როდია ისე სასიკეთოდ, როგორც იგი ცდილობდა, წარმოესახა. ცივი ომის დამთავრებამ დაზღვრო ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ტოტალური ომის საფრთხე, მაგრამ ბირთვული ინციდენტის შესაძლებლობა, რაც შეიძლება მოწყობილობის თუ ადამიანების შეცდომამ გამოიწვიოს, კვლავინდებურად რეალობად რჩება.

ცივი ომის ეპოქაში ორივე მხარეს ჰქონდა ბირთვული იერიშის შემთხვევაში ადეკვატური პასუხის ზუსტი გეგმები. შეერთებულ შტატებში ეს გეგმები იდო საფუძვლად გარანტირებული ურთიერთგანადგურების დოქტრინას, რომელიც ბირთვული შეკავების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას შედეგად მოჰყვა ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობის უპრეცედენტო გაუმჯობესება. მაგრამ ბირთვული გაშვების მექანიზმები თითქმის არ შეცვლილა ყველაზე გაავეთრებული დაპირისპირების ეპოქის შემდეგ.

ყველაზე საოცარი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ მალე შეიძლება ჩაირთოს ბირთვული კონფლიქტის მექანიზმი, მოხდა 1995 წლის 25 იანვარს, როდესაც რუსეთის ადრეული გაფრთხილების სისტემებმა, დააფიქსირეს რაკეტა, რომელიც ნორვეგიის ზღვის თავზე გამოჩნდა. ეს მყისვე მოახსენეს პრეზიდენტ ბორის ელცინს, მიუტანეს ბირთვული ჩემოდანი და თავდაცვის მინისტრს დააკავშირეს.

რამდენიმე დაძაბული წუთის განმავლობაში ელცინი და მისი ხელქვეითები სულმოუთქმელად მოელოდნენ დამატებით ცნობებს. ნუთუ, რუსეთმა ნამდვილად განიცადა წყალქვეშა ნავის ბირთვული იერიში და ახლა იძულებული იქნება, მიაყენოს საპასუხო დარტყმა?

გამოირკვა, რომ რუსეთის რადარებს დაუფიქსირებიათ ნორვეგიის საკვლევი რაკეტა, რომელიც მეცნიერებმა გაუშვეს ჩრდილოეთის ციალის შესასწავლად.

ინციდენტის კვლევამ ცხადყო, რომ ნორვეგიელებმა რუსეთი რამდენიმე კვირით ადრე გააფრთხილეს გაშვების მზადების შესახებ, მაგრამ ბიუროკრატიულ ჯაჭვში არსებული ხარვეზების გამო ამ ინფორმაციამ ვერ მიაღწია ადრეული გაფრთხილების სისტემებს.



ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცრუ განგაში ამერიკაში ატყდა 1979 წლის ნოემბერში – ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო თავდაცვის სისტემის – ნორად-ის სარდლობის თანამშრომელმა შემთხვევით ჩადო საწვრთნელი ლენტი სისტემის ცენტრალურ ბლოკში. ეს მოხდა ნორად-ის ერთ-ერთ ცენტრში, რომელიც კოლორადოს მთებშია განლაგებული. და ამ შეცდომის გამო ადრეული გაფრთხილების სისტემის კომპიუტერმა გადაწყვიტა, რომ შეერთებულ შტატებს ემუქრება მასირებული საბჭოთა სარაკეტო იერიში, რაც აცნობა ნორად-ის სარდლობას.

რამდენიმე წუთში ყველა მიხვდა, რომ შეცდომა მოხდარა. ეს ინციდენტი იყო ერთ-ერთი გაფრთხილების სისტემის იმ ხუთ დარღვევათაგან, 1979-80 წ.წ. რვა თვის განმავლობაში რომ მოხდა. მთავრობამ საბოლოოდ კომისია დანიშნა ნორად-ის ეფექტიანობის შესამოწმებლად.

„არის საშიშროება, რომ ასეთი შეცდომები დროის მიხედვით შეიძლება დაემთხვეს სხვა კრიზისს, – ამბობს ფრედ მაიკლი, რეიგანის ადმინისტრაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ამჟამად სამხედრო ისტორიკოსი. – თუ თქვენ გაქვთ დრო, შეცდომა შეიძლება გამოსწორდეს".

ნორად-ისა და კოსმოსური ძალების სარდლობის პრესცენტრის წარმომადგენელი, მაიორი პერი ნუისი ამბობს, რომ ამერიკელმა სამხედრო სპეციალისტებმა თანამიმდევრულად უნდა გამართონ სამი ხანმოკლე ბრიფინგი, რათა განსაზღვრონ, ემუქრება თუ არა საფრთხე შეერთებული შტატებისა და კანადის უშიშროებას, და შეიმუშაონ კონტრღონისძიებანი. მისი თქმით, მესამე ბრიფინგი – რომელმაც, შესაძლოა, აშშ ბირთვულ ომში ჩაითრიოს, – არასდროს არ გამართულა.

პერსონალის შეცდომის ან მექანიკური უწესივრობის შესაძლებლობა, რომელსაც შეიძლება დამანგრეველი მოვლენების მთელი ჯაჭვი მოჰყვეს, ერთობ რეალურია. რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, რადარული გაფრთხილების სისტემები, უკვე მრავალი წელიწადია, აღარ განუახლებიათ. გარდა ამისა, ყოფილი საბჭოთა რადარებიდან ბევრი ამჟამად რუსეთის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა.

სტივენ მაიერს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პოლიტოლოგიის პროფესორს და ბუშისდროინდელი ცენტრდაზვერვის მრჩეველს მოჰყავს იმის მაგალითი, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს ბირთვული არსენალებისადმი კონტროლისა და უამრავი დაბრკოლებების სისტემის მიუხედავად.

მისი თქმით, 1984 წლის აგვისტოში საბჭოთა წყნარი ოკეანის ფლოტის უმცროსმა ოფიცერმა ვლადივოსტოკის შტაბბინიდან ყველა საბჭოთა ხომალდს გადასცა ბრძანება, გადასულიყვნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე. 30 წუთის განმავლობაში, სანამ არ დადგინდა, რომ განგაში ყალბია, საბჭოთა კაპიტნები შტაბს აყრიდნენ შეკითხვებს და იმავდროულად საბრძოლველად ემზადებოდნენ. ამ მომენტში ამერიკისა და იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები ასევე გადავიდნენ მომეტებული საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმზე.

ამ და ბევრი სხვა ანალოგიური ინციდენტის გამო სულ უფრო პოპულარული ხდება საერთოდ ბირთვული იარაღის მთელი სისტემების საბრძოლო მორიგეობის შეწყვეტის კონცეფცია. როგორც პრეზიდენტმა კლინტონმა თქვა, ამერიკისა და რუსეთის რაკეტები აღარ არის დამიზნებული ერთურთის ქალაქებისა და სამხედრო ობიექტებისათვის.

ბრიუს ბლერი, ყოფილი მერაკეტე ოფიცერი, ამჟამად კი ბრუკინგსისის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ამბობს, რომ ცივი ომის შემდგომ ეპოქაში მთავარი საფრთხე სულაც არ მომდინარეობს რუსეთის ან შეერთებული შტატების შეგნებული იერიშებისაგან.

„თავდაცვის ორივე სისტემა რეაგირებს უმცირეს იმპულსზე, – თქვა მან, – ორივე მხარეს შეუძლია, სულ რამდენიმე წამში, კლავიშზე თითის დაჭერით, აამოქმედოს ახალი გაშვების ბრძანება".

**ბრიუს კენედი,**
**სი-ენ-ენის მიმომხილველი.**



# ასტროლოგი აჭიკჭიკდა

**როგორც ირკვევა, დროდადრო ყველა პოლიტიკური ლიდერი მიმართავს ხოლმე კონსულტაციისათვის ვარსკვლავებსა და ვარსკვლავთმრიცხველებს. „მეფის კარის ასტროლოგის" ცნება დღესაც არ მოძველებულა. ოღონდ, ერთი განსხვავებით – ახლა მომავლის წინასწარმეტყველნი ლაღად ცხოვრობენ და არავის ეუბნებიან უარს მომსახურებაზე.**

პოპულარული ფრანგული ჟურნალის ცნობის თანახმად, გენერალი დე გოლი ხშირად ეთათბირებოდა ვინმე მორის ვასეს. როგორც აღმოჩნდა, ეს ასტროლოგი 1944-1969 წწ. პერიოდში აქტიურად უწინასწარმეტყველებდა მომავალს არა მარტო ფრანგ გენერალს, არამედ საბჭოთა კავშირის ლიდერებსაც. უფრო ზუსტად, ხრუშჩოვსა და ბრეჟნევს. ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ დაეხმარა მორისი ბრეჟნევს, დაეგეგმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მზაკვრული ოპერაცია, ასტროლოგმა უპასუხა: „მე ხალხს ვეხმარები, გაუგონ ვარსკვლავებს, ხოლო რა



ხდება შემდეგ – ეს არ არის ჩემი საქმე". დღეს ბატონი ვასე 85 წლისაა. ყოფილმა სამხედრომ, გენერალ დე გოლის თაყვანისმცემელმა, გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს ამცნოს მსოფლიოს, რა ჯადო ადგას ასტროლოგს. „მე გენერალს 1944 წელს შევხვდი ტულონში. მისმა ნახვამ ისე გამაოცა, რომ გადავწყვიტე, ჰოროსკოპი შემედგინა. გავუწოდე დე გოლს ვარსკვლავების რუკა და ვუთხარი: თქვენი ვარსკვლავი მაღლა დგას! როდესაც თავისი მომავალი წაიკითხა, გენერალმა მდუმარედ დამიკრა თავი. ეტყობა, არ დამიჯერა, მაგრამ 1968 წლის რეფერენდუმის ჩაშლის შემდეგ ჩვენ განუყრელნი გავხდით", – ამბობს ვასე.

ასტროლოგმა უპასუხოდ დატოვა კითხვა სსრ კავშირის პარტიულ ლიდერებთან თანამშრომლობის შესახებ. „მე ვალდებულად ვთვლი თავს, ყველაფერი საიდუმლოდ შევინახო, ვინაიდან ფიცი დავდე, მე ოფიცერი ვარ და, მაშასადამე, მესმის, რას ნიშნავს სიტყვა „ფიცი". მომავლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მხოლოდ სასიკეთო ნიშნით, და არა ჯაშუშობის გულისათვის", – ხაზი გაუსვა მორის ვასემ.



საერთოდ, ასტროლოგია იდუმალი მეცნიერებაა. ამ დარგში მუშაობისას ვასე ბევრს მიხვდა. იგი არ არის არც გულთმისანი და არც ექსტრასენსი. მისთვის არ არსებობს საზღვრები, ეროვნებანი და პოლიტიკური მრწამსი. „არასოდეს მიმაჩნდა სსრ კავშირის პოლიტიკა სწორად, მაგრამ მე შემეძლო, მხოლოდ გამეფრთხილებინა ან რჩევა მიმეცა", – ამბობს იგი, და არ მალავს, რომ დღესაც უწევს კონსულტაციებს ბევრ რუს პოლიტიკოს, თუმცა, არ ამხელს – ვის. „ყველაფერს თავისი დრო აქვს", – ამბობს ვასე.



# პუტინის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება

**ვლადიმერ პუტინს წაუყენეს ულტიმატუმი: ან პრეზიდენტი შექმნის იმ სახელმწიფო საბჭოს, რომელიც გუბერნატორებს სჭირდებათ (და რომელსაც იგი ნამდვილად შეჰპირდა გუბერნატორებს), ანდა მთელ რიგ რეგიონებში დაიწყება სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის მკვეთრი გაძლიერება. აქედან გამომდინარე, ყველა შედეგითურთ. მოფიქრებისათვის პუტინს ერთი თვის ვადა მიეცა.**

გუბერნატორთა ძირითად მასასთან პუტინის ურთიერთობა სულ უფრო მეტად იხლართება – კიდევ ცოტაც, და ისინი საერთოდ შეწყვეტენ ერთმანეთთან ურთიერთობას და გადავლენ ღია წერილების რეჟიმზე. მიზეზი ის არის, რომ პუტინი სიტყვით ერთს ჰპირდება რეგიონულ ლიდერებს, ხოლო საქმით – იღებს სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილებას. ბოლო მაგალითია, ჯერ არშობილი სახელმწიფო საბჭოს ისტორია. პუტინი ერთი თვის წინათ სიტყვიერად შეჰპირდა ეგორ სტროევს, რომ საბჭოში შევა ყველა გუბერნატორი და იგი მიიღებს რეალურ სახელისუფლებო ბერკეტებს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რეგიონული ლიდერების ამ სამაშველო ნავში ყოფილა სულ 20 ადგილი, და – არავითარი ძალაუფლება.

საქმის ასეთმა შემობრუნებამ საბოლოოდ გააღიზიანა ყველაზე [illegible] ანი [illegible]ტერიტეტული გუბერნატორების ჯგუფი. შედეგი – 3 აგვისტოს კრემლმა მიიღო ჩუვაშეთის პრეზიდენტის ნიკოლოზ ფედოროვის ღია წერილი, რომელიც ფაქტობრივად ულტიმატუმს უყენებს პრეზიდენტს. და თუმცა, ხელმოწერა ერთია, სინამდვილეში – ეს არის კოლექტიური მრისხანე გაფრთხილება. რა სწადიათ პრეზიდენტისაგან „ბოიარებს"?

ფედოროვმა პუტინს შეახსენა, რომ რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, ფედერაციის ყველა სუბიექტი თანასწორუფლებიანია, ეს კი ნიშნავს, რომ რეგიონების 89-ვე მეთაური „უნდა შედიოდეს" სახელმწიფო საბჭოში. თუ პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილება სხვაგვარი იქნება, მაშინ, როგორც გადაკვრით ამბობს ჩუვაშეთის მეთაური, ამით დაირღვევა რუსეთის ძირითადი კანონის პირველი და მეხუთე მუხლები. ეს დიპლომატიური ნართაული შეიცავს უშუალო მუქარას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სადავოს გახდიან პუტინის ყველა საკვანძო გადაწყვეტილებას სახელმწიფო საბჭოს თაობაზე, ხოლო ამ დავას შეიძლება იმპიჩმენტის პროცედურა მოჰყვეს.

წერილის მეორე კრიტიკული მომენტია გაფრთხილება, თავი შეიკავოს იმ რეგიონების გადარჩევის „არაკონსტიტუციური კრიტერიუმებისაგან", რომელთა ლიდერები მიიღებენ ადგილებს სახელმწიფო საბჭოში. ამას არ უნდა ჰქონდეს არც ეკონომიკური, არც გეოპოლიტიკური, არც ეროვნული და არც რაიმე სხვაგვარი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ აფრთხილებს პრეზიდენტს ფედოროვი, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორები შექმნიან „დამატებით საბაბს და ხელშემწყობ პირობებს რეგიონებში ახალი ნაციონალისტური და სეპარატისტული განწყობილების პროვოკაციულად გამოწვევისათვის". ამაზე უკეთ მართლაც ვერ იტყვი. ყველაფერი აბსოლუტურად მკაფიოდ და გასაგებად არის ნათქვამი. ამ სახელმწიფო საბჭოში შევა ყველა გუბერნატორი, ანდა, კრემლს უკან მოუბრუნდება ისეთი „დომინოს ეფექტი", რომ სანანებლად გაუხდება თავისი გადაწყვეტილება.

და, ბოლოს, ფედოროვის ულტიმატუმის მესამე პირობაა – სახელმწიფო საბჭოს სათავეში უნდა ჩაუდგეს პირადად პუტინი. თვით ამ პუნქტის გაჩენა მოწმობს, რომ ამჟამად სახელმწიფო საბჭოს მეთაურად დასმას ვიღაც სხვას უპირებენ და ეს უკვე მივიდა ფედოროვის ყურამდე. ეს შეიძლება იყოს, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური, ისე საბჭოში მოხვედრილ გუბერნატორთაგან ერთ-ერთი, ანდა, ეს ადგილი შეიძლება დარჩეს რუსეთის ერთ-ერთ უმაღლეს წარჩინებულს, მაგალითად, გენადი სელეზნიოვს ანდა საკონსტიტუციო სასამართლოს მეთაურს მარატ ბაგლაის. თუ ეს უკანასკნელი დანიშნეს, ამას ვერც ერთი სასამართლო ინსტანციაში ვერ გაასაჩივრებ. ასე რომ, ფედოროვი დაჟინებით მოითხოვს, სახელმწიფო საბჭოს პირადად ვლადიმერ ვლადიმერის ძე უნდა ჩაუდგეს სათავეში.

მაგრამ იმისათვის, რომ პუტინს მიეცეს შესაძლებლობა, არ იქონიოს უშუალო ურთიერთობა გუბერნატორებთან, რომლებმაც ასე მოაბეზრეს თავი, ფედოროვი სთავაზობს კომპრომისს – შემოიღოს სახელმწიფო იერარქიაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობა, რომელიც გაუძღვებოდა, ასე ვთქვათ, რუტინულ კანცელარიულ და სხვა სამუშაოს. მას ასეთ სახელმწიფო მდივნად ესახება ფედერაციის საბჭოს „მამამთავარი" – ორიოლის ოლქის გუბერნატორი ეგორ სტროევი.

ამ ულტიმატუმზე პუტინის რეაქციას შეიძლება ნულოვანი ეწოდოს. უფრო მეტიც, როდესაც წერილი უკვე კრემლში მოხვდა, ვალდაიში მყოფმა პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ ფედერაციის საბჭოს არავითარი გაუქმება არ იქნება. ეს კი, სხვათა შორის, კიდევ ერთი პუნქტია ფედოროვის ულტიმატუმისა. სხვა პუნქტებზე მას ჯერჯერობით აზრი არ გამოუთქვამს. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პუტინს არ უყვარს, როდესაც ასეთ ენაზე ელაპარაკებიან. იგი მყისვე იწყებს თავაზიანობას და შეიძლება სიცოცხლეც გაუმწაროს ასეთ კატეგორიულ მთხოვნელს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ ფედოროვმა და იმ გუბერნატორებმა, რომლებიც ფარულად უჭერენ მხარს, სულ ტყუილად წამოიწყეს ესოდენ დემონსტრაციული დემარში. თუმცა, მეორე მხრივ, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა რაღაც, – წერს დასასრულ ალექსანდრე კორნილოვი „გაზეტა.რუ"-ს გუშინდელ ნომერში.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე. ლევან ბოჭორიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 210. შაბათი, 5 აგვისტო, 2000 წელი.

## ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში მიხეილ კოტოვი (მარცხნივ), გამოჩენილი კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი და მისი პოეზიის ქართულად მთარგმნელი გურამ გოგიაშვილი. მოსკოვი, 1969 წელი.

ფოტო მოგვაწოდა იულონ ჭეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## ცოდნის სკივრი

მსოფლიოში პირველი სანაყინე კაფე გაიხსნა პარიზში, 1660 წელს. ნაყინის მრავალ სახეობათა შორის, ნოყიერებით და გემოთი გამოირჩევა – „პლომბირი". მისი სახელწოდება დაკავშირებულია საფრანგეთის ქალაქ პლომბიეროსთან (ამჟამად პლომბიერ-ლე-ბენი).

1880 წლის 18 აპრილს ქობულეთთან ზღვამ გამორიყა ჭრელი ვეშაპი. იგი მოკლეს შავი ზღვის პოლკის ჯარისკაცებმა. ერთხანს ჩონჩხი ბათუმში ინახებოდა და მას პოლიცია მეთვალყურეობდა, შემდეგ კი – „12 ფურგონით ჩამოუტანიათ თბილისში, კავკასიის მუზეუმში" (ამჟამად ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. დაცულია დღესაც).

ვიქტორ ჰიუგო საქართველოს „ლამაზი ქალებით განთქმულ ქვეყანას" ეძახდა.

ილია ორბელიანმა დუელში გამოიწვია თავისი დისშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნათესავ-მეგობრების ჩარევითა და მცდელობით, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

დედამიწა სუნთქავს. დღე-ღამის განმავლობაში, მისი ქერქი ამოიბურცება და შემდეგ 80 სანტიმეტრით დაბლა ჩადის.

პირველი ქართველი მფრინავი ქალი გახლდათ ნინო ხუბულავა.

ძველად, ეგვიპტელებს კატა თუ მოუკვდებოდათ, პატრონი მწუხარების ნიშნად ძაძას იცვამდა და წარბებს იპარსავდა.

თბილისის მეტროპოლიტენს დღეში, საშუალოდ, ოთხასიოთხასორმოცდაათი ათასი მგზავრი გადაჰყავს.

1900 წელს ინდოეთში გარეულმა მხეცებმა იმსხვერპლეს 2.400 ადამიანი და 64.500 შინაური ცხოველი. მიუხედავად იმისა, რომ ამავე წელს 500 ათასი შხამიანი გველი გაანადგურეს, მათი ნაკბენისაგან მაინც დაიღუპა 21.412 ადამიანი.

## გვწერენ

### სურათებით მოყოლილი ისტორიები

რა შინაარსიანი და კარგი კუთხე გაქვთ გაზეთში – „ალბომი". ავიღებ თუ არა „საქართველოს რესპუბლიკას", კითხვას მერვე გვერდიდან, ამ რუბრიკიდან ვიწყებ. ერთი წუთით ვეთიშები დღევანდელ მძიმე დღეებს და წარსულის გახსენებით გულს ვიხალისებ. ზოგჯერ ამ გახუნებული სურათებით წარსულის მთელ მოთხრობას ვკითხულობთ, განსაკუთრებით კი ჩვენ, შინ გამოკეტილი მოხუცები.

მადლობა ყველას, ვინც ამ სიამოვნებას გვანიჭებს.

ქეთევან გაბისონია
თბილისი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## ტელევიზია – შაბათი, 5 აგვისტო

10.00 დილის პაემანი 11.30 „თბილისის დროით" 11.50, 19.40, 20.45 უ-თუ-ოდ 12.00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 მულტსერიალი „ჩუპი" 12.35 მუსიკა ეთერში 12.50 „მისის დაუტფაიერი" 15.00 „ვეტნიკი 15.10 რეგიონი 15.35 კონცერტი 16.00 ეძიე ქალი 16.20 „მაკარენა" 18.00, 20.00, 00.00 „მოამბე" 18.10 „50-50„ 18.45 „ინტეგრალი" 19.10 სტადიონი 19.40 „ბასტი-ბუბუ" 21.50 „ქალლი-მოჩვენება - სამურაის გზა" 23.40 „TV-მობილი" 00.10 „სექსუალური უმანკოების დაკარგვა".

19.00 ინფორმაცია 19.30 „საზღვაო პოლიცია" 20.20 მულტფილმები 20.40 „მოპარული ნუკველა" 22.10 ძველი ალბომი 22.20 ახლო ხედი 22.30 „მოთამაშე".

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 მულტსერიალი 10.40 საბავშვო ფილმი 12.00 მუსიკა 12.15 „კოლომბო" 12.45 სიმფსონები 13.15 „სიყვარულის ერთგულება" 14.00 მხ. ფ. 18.00, 01.00 კურიერი 18.20 „კომპიუტერული ომები" 18.40 „რობინზონების ოჯახის თავგადასავალი" 19.10 დოკ. ფ. 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.00 კურიერი 22.00 „იდიოტები" 01.10 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 01.40 ღამის ჯაზი.

იბერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი" 09.15 სტუდიადიალოგი 10.00 „ძალაძი" 10.25 ქართული პანგები 10.35 „ყველა ჩემი შვილი" 11.20 მხ. ფ. 19.00, 22.00 „ახალი ამბები" 19.20 ნახ. ფ. 19.45 მუს. ტალღა 20.45 ძვ. პანგები 21.15 „სახეები" 21.30 მრწამსი 22.30 მხ. ფ. 00.35 „ნოსტალგია" 00.40 მხ. ფ.

12.00 „დიდი დიქტატორი" 13.40, 17.30 დოკ. ფ. 14.55 მულტფილმი 15.25 „თვითმარქვიები" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 „მსოფლიო სპორტი" 19.20 „გალეირნება თბილისში" 21.00 „ვარსკვლავები" 22.00 „სიკვდილის ვიზა" 23.50 მუსიკა 00.20 „რამდენიმე დოლარით მეტი".

ევრიკა 12.00 „სამი მამაკაცი და ჩვილი ბავშვი" 13.45 მუსიკალური კოლაჟი 14.00 „სამი მამაკაცი და პატარა ლედი" 15.45 მუსიკალური კოლაჟი 16.00 „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" 17.00 „ვირუსი" 19.00 „თქვენი ადვოკატი" 20.00 „თინეიჯერი" 21.00 „მოულოდნელობა" 23.45 მუსიკალური კოლაჟი 00.00 „ველური რამეები".

08.00 „ტონიკი" 10.30 „ნიჟიერი მისტერ რეალი" 12.45, 16.10, 20.30, 22.40, 01.00 კლიპ-მიქსი 13.00 მულტფილმი 14.25 „იაპონელი ჯადოქარი" 18.00 მულტფილმები 19.00 „განძთა კუნძული" 20.50 „ის, ვინც მიფრთხილდება" 22.55 „შეწყვეტილი ცხოვრება" 01.15 „გაქრობა" 03.00 ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.10, 18.10 „ტოკ ვურის მულტფილმები" 09.35 „ბილოქსის ბლუზი" 11.15, 12.40, 00.10 მუსიკა 11.40, 21.00 დოკ. ფ. 12.55 „შეყვარებული შექსპირი" 15.05, 18.35 „დისქავერი" 16.30 „ბეჟედი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 21.55 „ბელისიმო" 22.10 „ბადე" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.30 „რაზმი".

09.30 „დღეს" 10.00, 19.00 მულტფილმები 11.00 „შეწყვეტილი სიმღერა" 12.35 კონცერტი 13.30 „უკანონო შეჭრა" 15.30 დოკ. ფ. 16.30 გასართობი პროგრამა 17.30 მხ. ფ. 19.45 „მეტიჩარა" 21.10 დოკ. ფ. 22.00 „დღეს" 22.35 „უბრალო ისტორია" 00.30 მუსიკა 00.40 გოძილა და დამანგრეველი".

## პრესა

# ჯერ მხოლოდ რვა ნომერი გამოიცა

თუ საქართველოში გვაქვს ევროპული პეწის ჟურნალი ძალიან ქართული ხელწერით, „ომეგაა".

ალფა და ომეგა – თავი და ბოლო ყველაფრის, რისი გამოხატვაც სიტყვით შეიძლება.

ასეთი ტიპის პერიოდიკას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემებს უწოდებენ. „ომეგა" ამ განსაზღვრებაში ვერ ეტევა: მთავარი რედაქტორის როსტომ ჩხეიძისა და სარედაქციო საბჭოს მცდელობით მისი საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოებულია და ლიტერატურულ-კულტურული, საგანმანათლებლო აქცენტებით მძლავრობს.

კითხულობ და ხედავ: ქვეყნის კულტურული ცხოვრება არც დაცემულა, არც დაკნინებულა, ზოგიერთ შემთხვევაში, ევებ, პირიქითაც არის.

მაგალითები?

ინებეთ: ბაჩანა ბრეგვაძე („ჩემ მიერ თარგმნილი წიგნების გამოცემას ორნახევარი საუკუნე დასჭირდება" ქეთევან სადღობელაშვილის); ტარიელ ჭანტურია (მისი ჩანაწერები „დინოზავრიდან დიზაინამდე"); ნანა ფაჩუაშვილი („არ მინდა ვინმემ გამასწროს, თუ გამასწრებს, უნდა დავეწიო"... გიორგი ჩართოლანის); მამია მალაზონია („მოგზაურობა ხატაეთს" ლელა ოჩიაურის); როსტომ ჩხეიძის ცინცხალი ჩანახატი – „ვერნისაჟი, უსათუოდ ვერნისაჟი" – მხატვრების უნიკალურ კოპორტაზე.

თუნდაც – ანტონ მაიაშვილის საინტერესო წერილი „მხატვრული აზროვნება ვირტუალურ სამყაროში" – ჩვენს საზოგადოებაში ნაკლებად ცნობილი, მაგრამ უკვე პრაქტიკულად არსებული კომპიუტერული გრაფიკის შესახებ, რომელიც გია არაბულის (სტამბა „ომეგა-თეგის" გრაფიკოსი – დიზაინერი) შემოქმედების განხილვით არის წარმოდგენილი.

თქვენ მიხედით (ან რა დიდი მიხვედრა უნდა), რომ ამ სტრიქონების ავტორი რეალურ კონკრეტიკას ეყრდნობა.

რა თქმა უნდა. და ეს არის „ომეგას" ნომრები, უფრო ზუსტად, მისი მერვე ნომერი, რომელსაც სტამბის საღებავის სურნელი ჯერაც არ გაჰქრობია.

რვა ნომერი ტენდენციებისა და აქცენტების დანახვის საშუალებას იძლევა.



ტენდენცია (მგონი, მთავარი) პოლიტიკურ ცხოვრებაზე მოდური ლანძღვა-გინებისა და ქირქილის გარეშე წერა. ინტელიგენტური პოზიცია.

აქტუალური თემებისა და პრობლემების წარმოჩენა. თუნდაც, კუს ტბის დაცვაში განივთებული მეგაპოლისის მცხოვრებთა სატკივარი და სულიერი სილატაკე ობივატელის (ნაირა გელაშვილი, „კუს ტბა"). ან იმავე ნომრიდან ელგუჯა ბერიშვილის „ავდგეთ და ვთქვათ", იმის შესახებ, თუ „საით მიდის ჩვენი საფეხბურთო მატარებელი".

მთავარი აქცენტი (ერთ-ერთი მაინც) საინტერესო (მართლა საინტერესო) ავტორების მოზიდვა და გამორჩეული პიროვნებების წარმოდგენა ჟურნალის მიერ. ლაპარაკია, უწინარესად, საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეებზე, აგრეთვე, ჩვენს თანამედროვეებზე. დასტურად რუსუდან ნიკოლაძის „მოგონებები ნიკო ნიკოლაძეზე" წაიკითხეთ (№ 8).

დიოგენეს ფანრით ეძებო, უინტერესო პუბლიკაციას ვერ იპოვნი ჟურნალში (ან რატომ უნდა ეძებო?!). ნუგზარ მატაიძის „ნანგრევებზე" – მშვენიერი პროზა, თუ ნათელა გრიგალაშვილის ფრიად მეტყველი ჟანრული ფოტოსურათები. რა ამპლიტუდაა!

მოულოდნელი რაკურსები – ქართული ბონების ისტორიით დაწყებული და, თუნდაც, ასეთი ფაქტით დამთავრებული:

იცით, რატომ გადარჩა ფაშისტების დაბომბვას რუსული ქალაქი ლიპეცკი 1941-1945 წლების ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ აქ მძლავრი თავდაცვითი ინდუსტრიის ცენტრი ყოფილა? იმიტომ, რომ გერმან გერინგმა გერმანელ მფრინავებს მისი დაბომბვა კატეგორიულად აუკრძალა. რატომ?

წაიკითხეთ „ომეგას" მერვე ნომრის „მოზაიკა" და გაიგებთ, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს საინტერესოს და ყურადსაღებს.

ჯერ მხოლოდ რვა ნომერი დაისტამბა. სექტემბერში მეცხრე გამოვა. დროზე, დაუგვიანებლად და ესეც ძალიან კარგია.

**არმაზ სანებლიძე.**



სურათებზე: „ომეგას" მე-8 ნომრის გარეკანის პირველი გვერდი; ნათელა გრიგალაშვილის ფოტოეტიუდი „საუბარი".

## ღიმილის დოზა



ორი მონადირე საუბრობს:

– ამას წინათ აფრიკაში ვიყავი და ვეფხვებზე ნადირობის ეფექტიანი საშუალება აღმოვაჩინე. უნდა ინადირო ღამე – ვეფხვის თვალები სიბნელეში ანათებს. უნდა დაუმიზნო თვალებს შორის და – მორჩა!

– ბევრი მოკალი?

– არც ერთი. ვეფხვებმა წყვილ-წყვილად და ცალთვალდახუჭულად დაიწყეს ღამ-ღამობით სიარული.

* * *

ჟირინოვსკის გამოსვლის შემდეგ მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე ეკითხება:

– აი, თქვენ, ვლადიმერ ვოლფოვიჩ, ამბობდით, რომ რუსეთის ყველა მოქალაქე თავისუფალი იქნება. როგორ მოხდება?

– რუსეთის მოქალაქე ხარ?

– დიახ.

– წადი, თავისუფალი ხარ!

# განცხადება

## ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით მდინარე არაგვზე ბუფერულ აუზთან ქ. თბილისის წყალმომარაგების სარეზერვო სათავე ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე

ქ. თბილისის მერიის შპს „თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს მდინარე არაგვზე ბუფერულ აუზთან ქ. თბილისის წყალმომარაგების სარეზერვო სათავე ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

**შესყიდვის ობიექტის — შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება:**

1. ტიროლის ტიპის კამხალი რკ. ბეტონის ნაგებობისაგან, რომლის ტანშიც მოთავსებულია წყალმიმღები გალერეა.

კამხალის სიგრძეა 220 მეტრი. აქედან წყალსაშენი ნაწილისა – 150 მეტრი, ხოლო წყალმიმღებიანი ნაწილისა – 70 მეტრი;

2. რკ. ბეტონის გალერეა დუშეთის ხევის ქვეშ სიგრძით 168 გრძ. მეტრი;

3. მიმყვანი რკ. ბეტონის არხი სიგრძით 2283 გრძ. მეტრი.

სამუშაოების შესრულების ადგილია ჟინვალჰესის მიმდებარე ტერიტორია.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი ნებართვის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს.

აღნიშნული სამუშაოებიდან 2000 წელს უნდა შესრულდეს პირველი რიგის სამუშაოები. ხოლო დარჩენილი სამუშაოები სპეციფიური პირობების გათვალისწინებით უნდა დამთავრდეს 2001 წლის 1 აპრილამდე.

2000 წლის საქალაქო ბიუჯეტში აღნიშნულზე გამოყოფილი ფინანსირების სიმცირის გამო ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს სამუშაოების საკუთარი სახსრებით წარმოების ფინანსური რესურსები, რომელიც შემდგომ ანაზღაურებული იქნება 2001 წლის ბიუჯეტის ხარჯზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისათვის ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული ინფორმაცია შემდეგზე:

– ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე;

– ტექნიკური კვალიფიკაციის, ტექნიკური აღჭურვილობის და კვალიფიციური შრომითი რესურსების შესახებ;

– მოცემული მომენტისათვის განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა და გარანტია საკუთარი დაფინანსებით სამუშაოების შესრულების შესახებ;

– ფინანსური საქმიანობის ანალიზი ბოლო ორი წლის მანძილზე (საგადასახადო ინსპექციის მიერ დამტკიცებული ბალანსების ჩათვლით);

– ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

– ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

– ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

– ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ საწარმოს ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

საკვალიფიკაციო შერჩევის შემდეგ გამოვლენილ პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 18 კალენდარული დღე. ტენდერი ჩატარდება მ/წლის სექტემბრის თვეში, ამასთან, სატენდერო წინადადებების მიღებისა და ტენდერის ჩატარების კონკრეტული ვადები პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად.

საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ადგილია: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, II სართული, ოთახი №28, შპს „თბილწყალკანალის" სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონია: 99-67-82.

**შპს „თბილწყალკანალი".**

## ხსოვნა

### თეიმურაზ ჯაფარიძე



საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება, ჩვენი ქვეყნის დიდი მოჭირნახულე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **თეიმურაზ ჯაფარიძე.**

თეიმურაზ (თეზიკო) ჯაფარიძე დაიბადა 1922 წლის 27 ივნისს ქ. თბილისში. 1948 წელს დაამთავრა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი ხიდებისა და გვირაბების ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. ახალგაზრდობაში მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ნაკრები გუნდის წევრი. 1948-58 წლებში ძირითად საქმიანობას – მშენებლის პროფესიას უთავსებდა. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციაში სპორტული ტანვარჯიშის მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი სულითა და სხეულით ლამაზი ახალგაზრდის სპორტული ცხოვრებისეული წარმატებანი, რომელთათვისაც იგი მისაბაძი იყო, როგორც სპორტსმენი და პროფესიონალი მშენებელი. სწორედ საყოველთაო სიყვარულმა და საქმიანმა თვისებებმა გახადა იგი რიგითი სამუშაო მწარმოებლიდან ონის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1957 წლამდე.

1957 წლიდან თეიმურაზ ჯაფარიძე მუშაობს საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროში გაერთიანების უფროსად, ხოლო შემდეგ საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროში საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და ტექნიკური ინვენტარიზაციის სამმართველოს უფროსად.

თავის მოღვაწეობის ყველა უბანზე თეიმურაზ ჯაფარიძე გამოირჩეოდა, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ის შრომისმოყვარე, ენერგიული და საქმისადმი თავდადებული პიროვნება იყო.

თეიმურაზ ჯაფარიძე – სიყვარულით, სიკეთითა და მადლით სავსე პიროვნება, ქართველი კაცის ყველა ღირსეული თვისებებით შემკული, ღრმა პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით გამოირჩეოდა. იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით. მისი ნათელი მოგონება დიდხანს დარჩება მრავალრიცხოვანი მეგობრების, თანამშრომლებისა და აღზრდილების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო.**

---

დედა ელენე, მეუღლე ქეთევან სამნიაშვილი, შვილები ზაზა, ნინო, ლელა, და მზია, ძმისწულები გრიგოლი, რევაზი, ლეონი, დისწულები ალექსი, ზურაბი, რძლები დოდო შევარდნაძე, მანანა ყიფიანი, მარინა რამიშვილი, სიძეები ტარიელ კაკაშვილი, თემურ ქებაძე, შვილიშვილები ზაზა, ზურაბი, ქეთევანი, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ გრიგოლის ძე რამიშვილი

პანაშვილი 6, 7 VIII, 6 სთ., გამოსვენება 8 VIII, 2 სთ. ქარელი, ყაზბეგის ქ. № 50.

---

ოთარ მამესწარაშვილი, გოგიტა გურასპაშვილი, დიტო სამნიაშვილი, თამაზ მარჯანიძე, გია ძირტკბილაშვილი, ვანო კაცელაშვილი და ბონდო მძინარაშვილი ოჯახებით მწუხარებით თანაუგრძნობენ ზაზა რამიშვილს მამის

ანზორ რამიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის დირექტორის თემურ კალანდაძის მამა

ბესარიონ კალანდაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. თბილისის მიხეილ გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის დირექტორის თემურ კალანდაძის მამის

ბესარიონ კალანდაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს №4 სამშობიარო სახლის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თემურ კალანდაძეს მამის

ბესარიონ კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

---

შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ თემურ კალანდაძეს მამის

ბესარიონ კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოს ყოფილი ტექნიკური ინსპექტორი

იმედო სხილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გიორგი მეკოკიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

გოგი გზირიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გივი რუხაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 6 VIII, ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი № 14, ბინა 4.

**გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი**

„საქართველოს რესპუბლიკა"

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.